ჯურხა ნადირაძე

# ადამიანი და პირამიდა

ავტორი მიზნად ისახავს, მკითხველს მოუთხროს ეგვიპტის ზოგიერთ ძეგლსა და საქვეყნოდ გახმაურებულ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე. იგი პირად შთაბეჭდილებებს ემყარება და ძირითად ხაზებში იმ მეცნიერთა გამოკვლევებს მისდევს, რომლებიც არქეოლოგიურ გათხრებს ხელმძღვანელობდნენ და წლების მანძილზე შეისწავლიდნენ ნილოსის სანაპიროს უძველეს ცივილიზაციას.

პ ი რ ვ ე ლ ი   გ ა მ ო ც ე მ ა

© „ნაკადული", 1978

## ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ!

ამ დალოცვილ დედამიწაზე რამდენი საინტერესო ქვეყანაა! რამდენი ქალაქი და ნაქალაქარი, რამდენი ტაძარი და სასახლე, ქვაბული და კატაკომბა, მღვიმე და კოშკი!

ყველაფერს რას ნახავ! სხვა რომ არაფერი აკეთო და ხულ იარო და იარო, მაინც, მეასედსაც ვერ ნახავ იმისას, რის ნახვაზეც გიოცნებია.

როგორ დაიჯერო, ძვირფასო და საყვარელო მეგობარო, რომ მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთი აკვნის — ძველი ეგვიპტის ნახვაზე არ გიოცნებია! წინათ შენი წინაპრები, — ტყვედ ჩავარდნილნი თუ გაყიდულნი, — უცხო სახელმწიფოთა დროშებქვეშ მდგარნი, — სისხლს აქცევდნენ ეგვიპტის მცხუნვარე მზის ქვეშ.

ძველი ეგვიპტე აღარ არის, მაგრამ არსებობს კაცობრიობის ცოდნა, ცოდნა ძველი ეგვიპტის კულტურისა, მატერიალური, სულიერი კულტურისა.

შენ ხელში გიჭირავს წიგნი ძველ ეგვიპტეზე, ათასწლეულების წინათ შექმნილ ძველეგვიპტურ კულტურაზე, ხელოვნებაზე.

ამ წიგნის ავტორი შენი თანამემამულეა — ჯურხა ნადირაძე, მან თავისი თვალით ნახა იმ დიდებული ძველი ეგვიპტის ნაშთები — ნაშთები რომ ასეთი გრანდიოზული და გასაოცარია, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა ის კულტურა და ხელოვნება, ის ცივილიზაცია აყვავების, გაფურჩქვნის ეპოქაში.

მაგრამ ძველ ცივილიზაციაზე, ათასწლეულების წინათ შექმნილ კულტურაზე რომ საინტერესო წიგნი დაწერო, ამისთვის მხოლოდ ტურისტული მოგზაურობა არ კმარა. მანამდეც, ვიდრე იმ ძველი ცივილიზაციის შემქმნელ ქვეყანას შენი თვალით ნახავ, მასზე ბევრი რამ უნდა იცოდე, ძველეგვიპტურ ცივილიზაციაზე კი ზღვა ლიტერატურა არსებობს. ჯურხა ნადირაძე ისტორიკოსი — არქეოლოგი გახლავთ და, კაცმა რომ თქვას, მას ეგვიპტეში წაუსვლელადაც შეეძლო მასზე წიგნის დაწერა. მაგრამ ეს მან მხოლოდ მაშინ გაბედა, როცა თავისი თვალითაც, —

არა მარტო გონებით! — იხილა ეგვიპტე. ამიტომაც იკითხება მისი წიგნი „ადამიანი და პირამიდა" ასე ცნობისწადილით.

ჯურხა ნადირაძე უკვე კარგახანია, თხრის საქართველოს მიწის წიაღს, რომელიც ბევრზე ბევრ საიდუმლოს ინახავს. მისი არქეოლოგიური ჩანაწერები, ნარკვევები, გამოკვლევები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ თუ საკავშირო ჟურნალ-გაზეთებსა და სამეცნიერო ორგანოებში. 1975 წელს გამოსცა მან წიგნი „ყვირილას ხეობის არქეოლოგიური ძეგლები", რომელშიც რამდენიმე არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალებია შესწავლილი.

ძვირფასო მკითხველო! ამ წიგნში კი საუბარია მეცნიერთა თაობების მიერ საბოლოოდ დადგენილ-გამოკვლეული თუ ჯერ კიდევ იდუმალებით მოცული, მოვლენების სამყაროზე, — ესაა ძველი იმპერიებისა და მათი სატახტო ქალაქების, პირამიდებისა და სფინქსების, ფარაონებისა და ქურუმების სამყარო.

შეაბიჯეთ ამ სამყაროში; იოცნებეთ და ეზიარეთ მას, ეზიარეთ გულით და გონებით — ეზიარეთ წიგნებით — ამ წიგნითაც! — და ვინ იცის, დროით, იქნებ თავადაც დაწეროთ მასზე მშვენიერი წიგნები!

ჯუმბერ თითმერია

## ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ

ლამპიონებით განათებულ აეროდრომზე ქარი ნამქერს წივილით მიერეკება სინათლის ზოლის მიღმა ჩამოწოლილ უკუნ ღამეში. თვითმფრინავზე მიდგმული ტრაპის საფეხურებზე შემონამქრული ფიფქი უკანასკნელად ჭრაჭუნობს ფეხქვეშ... მერე... მკრთალად განათებულ თბილ სალონში ღამენათევ სხეულს დაღლილი ფიქრი მოსვენებას უკარგავს. თვითმფრინავი უკვე ასცდა ღრუბლებს, ფრთებით ვარცხნის ვარდისფერი ნისლის ოკეანეს, ნელ-ნელა მიიწევს მაღლა. მერე მზეს მხარი გაუსწორა და გეზი სამხრეთისაკენ აიღო. ორიოდე საათის შემდეგ მზით გაჩახჩახებული სალონის შუაგულში მდგომმა სტიუარდესამ მგზავრებს ამცნო: უნგრეთის საზღვარი გადავკვეთეთ და ბუდაპეშტის თავზე მივფრინავთო. გადავუფრინეთ ბელგრადსაც, მაგრამ მიწის ერთი მტკაველიც არ გამოჩენილა.

ევროპა ღრუბლების სქელი ფენით იყო დაფარული. სადღაც, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, რამდენიმე სოფელს მოვკარით თვალი. ღრუბლები თანდათან შეთხელდა, შემდეგ სულ გაქრა და თვითმფრინავი ზღვარწაშლილ, უკიდეგანო სივრცეში შეფრინდა. არსად ჩანდა დასალიერი. აქ ცა ზღვაზე იყო გადმომხობილი და თვალსაწიერი ლურჯი სივრცის უსასრულობაში ინთქმებოდა. დროდადრო გამოჩნდებოდა სამხრეთისაკენ მიმავალი ყვითელი კრეისერები; აქაფებული ზოლი თეთრად ჩხაპნიდა ხმელთაშუა ზღვის ზურმუხტოვან ზედაპირს.

შვიდი საათის ფრენის შემდეგ მივაღწიეთ აფრიკის კონტი-

ნენტს. ზღვის სილურჯე უდაბნოს უკაცრიელობამ შესცვალა. ამ გადაბუგული მიწისთვის ღმერთს სილა, მზე და ქარი უბოძებია მხოლოდ. ქარი აქ გამუდმებით ებუღრავება გასურებულ ქვიშას და ხან აქ დგამს ქვიშის მთას, ხან იქ. თვითმფრინავიდან ნათლად მოჩანს უდაბნოს სიბრტყეზე ამოზიდული დიუნები. მუქ-ჩრდილებით აჭრელებულ დიუნების დაღარულ ფერდობებს მზე ოქროსფრად აელვარებს და უდაბნოს მოწითალო სივრცეში დაჩესილი მწვერვალების შავ სილუეტებს სატავს.

მგზავრები მოლუშულნი ჩაჰყურებდნენ მკაცრ უდაბნოს. როდესაც რუსი ჰორიზონტების მიღმა ეგვიპტის მწვანე ველი ამოტივტივდა, სალონი გახალისდა, მგზავრები ილუმინატორებიდან გაბრწყინებული თვალებით გაჰყურებდნენ ბაღ-ბოსტნებით გადასახსახებულ ქვეყანას, რომლის შუაში ცისფრად ლივლივებს დიდი ნილოსი. ამ ველმა და ამ ცისფერმა მდინარემ კაცობრიობას უბოძა მსოფლიოს უდიდესი და უძველესი ცივილიზაცია. ძირს, გიზის ზეგანზე, მოჩანს ამ ცივილიზაციის უტყვი მოწმენი — პირამიდები. ისინი ოთხიათასი მეტრის სიმაღლიდან თვალის ერთი მოკვრითაც კი დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ და მათი ნახვის მოლოდინში ადამიანს მოკრძალებული შიში ეუფლება.

დედამიწის ყველა კუთხეში, სადაც კი მოსწავლის მერხი დგას, მილიონობით ადამიანს ბავშვობიდანვე ასწავლიან და მოუთხრობენ მსოფლიოს იმ საოცრებათა შესახებ, რომლებიც უხსოვარ დროში ფარაონებმა აღმართეს ნილოსის სანაპიროზე. უმრავლესობისათვის ეგვიპტის ძეგლები სამუდამოდ რჩება შორეულ ოცნებად. სიმართლე რომ ვთქვა, არც მაშინ — საშუალო სკოლის საკლასო ოთახში, როდესაც მასწავლებელი პირამიდების შორეულ და ზღაპრულ ქვეყანაზე გვესაუბრებოდა, და არც შემდეგ, დიდხანს, იმედი არ მქონია, რომ ფეხს დავადგამდი ნილოსის სანაპიროზე.

თვითმფრინავი ბორბლებით შეეხო მსოფლიოს უძველესი ქალაქის უახლესი აეროდრომის დასაფრენ ბილიკს.

შავ ფორმაში გამოწყობილი შავგვრემანი არაბი მესაზღვრეები ღიმილით ვვილებენ თავიანთი ქვეყნის კარს. მზით გაჩახჩახებული აეროდრომისწინა მოედანზე ტანადი ნუბიელი ზანგები შეფარული ღიმილით უთვალთვალებენ ჩრდილოელ სტუმრებს, რომ-

ლებსაც მკლავზე გადაკიდებული ქურქები და მძიმე პალტოები ზედმეტ ბარგად უჩანთ აფრიკის გავარვარებული მზის ქვეშ. როდესაც ქალაქს მივუახლოვდით, მძღოლმა სიჩქარეს უკლო და ავტობუსმა საზეიმო ნელი სვლით ჩაუარა კაიროს გარეუბნებში სხვადასხვა არქიტექტურული სტილით ნაგებ ლამაზ კოტეჯებს. ამბობენ, მათი მფლობელები აღმოსავლეთის ქალაქს საკუთარ იერს უკარგავენ — ყველაფერს რომისა და პარიზის გარეუბნების ყაიდაზე აწყობენო. როგორც არ უნდა იყოს, წითლად მობრდღვიალე ვარდის ბუჩქებსა და პალმის ხეებს შორის ჩადგმული მზისფერი სახლები, რომელთა აივნებზე ხშირად მოჩანს ხელის ღრმა სავარძლები, დაღლილ მგზავრებზე სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ვიდრე სასტუმროს მივაღწევდით, ავტობუსის ფანჯრიდან თვალი მოვკარი ქალაქის ციტადელსა და ცაში ატყორცნილ მეჩეთის მინარეთებს, რომელთა ძირში ასობით დიდი და მცირე ზომის შუა საუკუნეების ნაგებობებია შეყუჟული. ქალაქს მოშავო-მორუხო ფერი გადაჰკრავს, ვიწრო ქუჩების კუთხეებში აქა-იქ მიყრილია ნაგვის გროვები.

სხვა სანახაობა იშლება თვალწინ სასტუმრო „ელნილის“ აივნიდან. მდინარის სანაპიროზე ჩარიგებული მრავალსართულიანი სახლების გასწვრივ, შავად მოკრიალე ასფალტზე, ელვასავით დაჰქრიან ათასნაირი მარკისა და ფერის უცხოური მანქანები. ყველა მძღოლს ხელი საყვირის ღილაკზე აქვს დაჭერილი და ქუჩები მჭახე, გაბმული ხმებითაა სავსე. მწვანედ მოხასხასე სკვერების მიღმა, ნილოსის ცისფერ ზედაპირზე, აფრიანი ნავები დასრიალებენ, წყლის ძველისძველი ტრამვაი ქოთქოთით მიიკვლევს გზას გრძელი ხიდების თაღებისაკენ.

ოთახის აივნიდან იშლება კაიროს ხედი. აქ შეგიძლია, ხელის სკამზე ჩამოჯდე და ცოტა რამ გაიხსენო აფრიკის ამ უძველესი და მრავალჭირნახული ქალაქის ისტორიიდან. მის ქუჩებში სისხლი დაუნთხევია ყველა დროის ცნობილ დამპყრობელს. დღიდან დაარსებისა, მტერი ქალაქს უთვალთვალებდა და ქალაქი მტერს.

ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე დიდი ხნით ადრე დღევანდელი კაიროს ტერიტორიაზე დამპყრობელმა გადაბუგა მაშინდელი მსოფლიოს ერთი უძველესი ქალაქი. ჩვენს დროში მის არსებობას არაფერი ამჟღავნებდა, გარდა ცაში აღმართული გრანი-

ტის ობელისკისა, რომელიც დიდხანს უყურადღებოდ იდგა კაიროს გარეუბანში.

1912 წელს აქ ინგლისელი არქეოლოგი ფლინდერს პიტრი მოვიდა. მან მიწაში დაუწყო ძებნა მეორე ობელისკს, რომელიც ტაძრის შესასვლელში მის გვერდით უნდა მდგარიყო. არქეოლოგმა ობელისკიც იპოვა და გრანდიოზული კედლის ნაშთებიც. ეს იყო უძველესი ქალაქის ნანგრევები. მას ბერძნებმა ჰელიოპოლისი დაარქვეს, ხოლო თვითონ ეგვიპტელები ეინრეს * — მზის საბრძანებელს, მზის საცხოვრისს უწოდებენ. ამ ქალაქში არსებობდა მსოფლიოს უძველესი უნივერსიტეტი. ძველი სამყაროს მეცნიერული აზრი დიდად იყო დავალებული მისგან. აქ, ეგვიპტელ ქურუმებთან სწავლობდნენ ისინი, ვისი სახელებიც კაცობრიობამ სამუდამოდ დაიმახსოვრა.

ამ ქალაქში დიდხანს ცხოვრობდა პლატონი, ხოლო მისმა მოწაფემ, ასტრონომმა ევდიკოსმა ეინრეს მეცნიერთაგან ისწავლა დღე-ღამის ზუსტი გაზომვა და დაადგინა წელიწადის სანგრძლივობა, რაც ბერძნებისათვის უცნობი იყო. ეგვიპტიდან ათენში დაბრუნების შემდეგ სწორედ მან—ევდიკოსმა გამოიგონა მზის საათი. ბერძენმა სწავლულებმა განსაკუთრებით ბევრი რამ შეიძინეს ეინრეს სამედიცინო სკოლის მეცნიერთაგან, და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც იქ ძველი კულტურის ნაღვერდალი ბჟუტავდა მხოლოდ და ქალაქი თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ნათელი აზრის დაბნელებას დასაბამი სპარსელებმა დაუდეს. კიროსის მრისხანე შვილმა კამბიზმა ძველი წელთაღრიცხვის 525 წელს მოსრა და მიწასთან გაასწორა ზემო და ქვემო ეგვიპტის საზღვარზე აგებული ქალაქი ეინრე. გავიდა წლები, იქ კვლავ აკიაფდა მეცნიერების ჩირაღდანი, მაგრამ ქალაქს ძველი დიდება აღარ დაბრუნებია, მისი მზე ეგვიპტის ძლიერებასთან ერთად ჩაესვენა.

ძველი წელთაღრიცხვის 25 წელს მკვდარი ქალაქის ნანგრევებს შორის ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი დააბიჯებდა და სამშობლოში დაბრუნებული წერდა, რომ მან ნახა უზარმაზარი სახლები, სადაც ქურუმები ცხოვრობდნენ. წარსულში იქ ისინი ასტრონო-

---

* ქალაქის ბერძნული სახელი ეგვიპტურიდანაა თარგმნილი. ჰელიოპოლისი მზის ქალაქს ნიშნავს.

მიასა და ფილოსოფიას სწავლობდნენ, მაგრამ ახლა მათი მოღვაწეობის კვალიც კი არ ჩანსო. სტრაბონსავიწყდებოდა, ან არ უნდოდა გაეხსენებინა, რომ ეგვიპტელი ფილოსოფოსებისა და ასტრონომების ნაკვალევზე იდგნენ ბერძნები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გულმოდგინედ ცდილობდნენ ელინურ კულტურაში ეგვიპტური ნააზრევის მიჩქმალვას. თვით ბერძნული მითოსიც კი ეგვიპტურ გავლენას განიცდის. ელინური ხელოვნების ზოგიერთი მუზა ნილოსის სანაპიროზე ცხოვრობს, რაც იმას მოწმობს, რომ ისინი ერთ დროს ეგვიპტური პოეზიის ან მუსიკის მუზები იყვნენ და არა ბერძნულისა.

მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელმა ეგვიპტე დაიპყრო, მეცნიერულ აზრთან ერთად, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებისაკენ უხვად მიედინებოდა ამ ქვეყნის სიმდიდრე. მოგვიანებით რომაელებმა, თავიანთ ქვეყანაში პურეულისა და სხვა დოვლათის გასატანად, ზემო და ქვემო ეგვიპტის საზღვარზე ციხე და მცირე ნავსაყუდელი ააშენეს. ციხის გარშემო დასახლება გაჩნდა და იგი შემდეგ დიდ ქალაქად გადაიქცა. მემატიანენი იმ დროიდან იწყებენ კაიროს ისტორიას.*

ადრეულ და გვიანფეოდალურ ხანაში კაირო მსოფლიოს გზათაშესაყარი იყო. საუკუნეების განმავლობაში, წყლითა და ხმელეთით, მისკენ აურაცხელი სიმდიდრე მიედინებოდა. იგი აზიის, აფრიკისა და ევროპის კონტინენტებს შორის მდგარ უზარმაზარ ბელელსა და კომერციულ ბანაკს წარმოადგენდა. ვაჭრობის შედეგად გამდიდრებული კაირო ათას ერთი ღამის ზღაპრულ ქალაქად იქცა.

მე არ ვაპირებ, სიტყვა განვაგრძო ფეოდალური ხანის კაიროს ისტორიაზე. ეს წიგნი არც საზღვარგარეთ მოგზაურობის შედეგად მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარებას ისახავს მიზნად, რადგან ქართულად ძალიან ცოტა რამაა დაწერილი და თარგმნილი ეგვიპტის გრანდიოზულ ძეგლებზე. ჩვენი მიზანია ახალგაზრდობის ნაწილს მაინც ზოგადი წარმოდგენა შევუქმნათ ნილოსის სანაპიროს

---

* კაირო გვიანდელი წარმოშობის არაბული სიტყვაა, კახირ (ალ-კახირ) ციხესიმაგრეს ნიშნავს. 969 წელს ფატიმიდების დინასტიის სარდალმა, ყოფილმა მონამ გასურამ, დიდი ქალაქის ფოსტატის ჩრდილოეთით, დღევანდელი კაიროს ცენტრში დააარსა სამეფო რეზიდენცია და ახალი ქალაქი.

იმ უდიდეს ცივილიზაციაზე, რომლისგანაც ესოდენ დავალებულია მსოფლიო კულტურა, მათ შორის — ქართულიც.

ამბობენ, კაიროში წელიწადში მხოლოდ ორიოდე დღე იცისო წვიმიანი. არ ვიცი, რომელ დღეს იღრუბლება ქალაქის ცა, 26 დეკემბერი კი მზიანი გათენდა. კელნერმა თავაზიანად გაგვიღო დარბაზის კარი და ოქროსფერ სიფთანებში გამოწყობილმა შავმა ნუბიელებმა ვერცხლის სინებით მოგვართვეს ნილოსის წყლით გაცოცხლებული მიწის ნაყოფი: ახალი კარტოფილით, მწვანე სალათით, შუშა კიტრით, მწიფე პამიდვრითა და მზესავით ბრიალა ფორთოხლებით გაწყობილი სუფრა ჩვენთვის საცნაური იყო, მაგრამ დეკემბრის დღეებში მაინც უჩვეულოდ გამოიყურებოდა.

ერთი საათის შემდეგ კაიროდან მემფისისაკენ მიმავალი გზის ორსავე მხარეზე ჩვენ გვხვდებიან ამ დოვლათის შემქმნელი ადამიანები. ჩალაშემომხმარ სიმინდის ყანებსა და ლობიოთი გადაბარდნილ მწვანე კვლების თავში მკლავგრძელი ფელახები მძიმედ ატრიალებდნენ სანახევროდ არხში ჩაშვებულ ხაპიან ხის ბორბლებს. მღვრიე წუმპით სავსე ხაპები არხზე სახელდახელოდ გადებულ დარზე პირქვავდება და წყალი ჩუხჩუხით მიედინება ბოსტნის კვლებში. მდინარის გაყოლებით, ალაგ-ალაგ, შავი ხნულების გასწვრივ, რქებაშოლტილი წითელი ხარები მიწაში შეთხრილ სახსნისს დინჯად ეზიდებიან დაბეგვილი ქედებით. შავ პელტზე მოფორხილე, გაჭირვებული ფელახი გუთნისდედა კი წითელ ხარებს დროდადრო უმოწყალოდ უხათქუნებს დაფლეთილ ტყავის მათრახს. ექვსიათასი წელიწადია, ეს სურათი განუყრელად ამშვენებს ნილოსის სანაპიროს პეიზაჟს. დაახლოებით ორმოცდათორმეტი საუკუნის წინ, როდესაც ფარაონმა მენესმა ქვეყანა გააერთიანა და ზემო და ქვემო ეგვიპტის საზღვარზე თავი მოუყარა მშენებელთა უზარმაზარ არმიას, რათა საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოს უძველეს ქალაქ მემფისისათვის, ეგვიპტელი გლეხები თოხითა და კავით ხელში, მაშინაც ასე გულმოდგინედ შრომობდნენ: კრეფდნენ ყურძენს, მკიდნენ პურეულს, წნავდნენ ხახვისა და ნივრის გალებს. ღვინით, რძით, შუშა კიტრითა და ქორფა ბოლოკით დატვირთული ნავები განუწყვეტლივ მისრიალებდნენ მემფისისაკენ. მხოლოდ მაძღარ მუშებს, მეპათქაშეებსა და ქვით ხუროებს, განე-

პავრებულ ინჟინრებს, მხატვრებსა და ხუროთმოძღვრებს შეეძლოთ, შეექმნათ გრანდიოზული ნაგებობანი და ხელოვნების ის ბრწყინვალე ძეგლები, რომლებიც ამშვენებდნენ ძველ მსოფლიოში სახელგანთქმულ ეგვიპტის პირველ დედაქალაქს.

გზა, რომლის ორივე მხარეს მაღალი პალმებია ჩარიგებული, ქალაქის კარიბჭესთან თავდება. შესასვლელში, რკინა-ბეტონის პავილიონის ქვეშ, რამზესის ოცმეტრიანი ქანდაკებაა ზურგზე დაცემული. იგი აქ ერთ დროს კვარცხლბეკზე მდგარა, წაქცეულა და ფეხზე აღარ წამოუყენებიათ; ღმერთკაცის ეს უზარმაზარი კოლოსი სიმბოლურად გამოხატავს დამხობილი ქალაქის გარდასულ დიდებას.

ქალაქს, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულის დასასრულს ააშენეს, ეგვიპტელები ხეთ-კა-პთხას ეძახდნენ, ხოლო ბაბილონელები — ჰე-კუ-პთხას. ამ უკანასკნელის მიხედვით ბერძნებმა ქალაქს, შემდეგ კი მთელ ქვეყანას, ეგვიპტოსი უწოდეს და ამ დროიდან მოყოლებული ნილოსის ქვემო დინების სანაპირო მთელი მსოფლიოსათვის ამ სახელითაა ცნობილი.

. დაახლოებით ათასი წლის მანძილზე იდგა ქალაქ ხეკუპთხაში ფარაონთა ტახტი. აქ მეფობდნენ ყველაზე ძლიერი მეფეები, რაც კი კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე ახსოვს. მათ შუბლს ამშვენებდა ზემო და ქვემო ეგვიპტის ორმაგი გვირგვინი. ნილოსის უზარმაზარ ველზე ისინი ზეიმობდნენ, როგორც მეფენი და როგორც ღმერთები. ფარაონთათვის უცხო იყო რაიმე მიწიერი სიამოვნების უარყოფა. მათ კარზე თავმოყრილი ათასი ჯურისა და ხელობის ადამიანები ცდილობდნენ, უზენაესისათვის ამქვეყნიური სამოთხე შეექმნათ და თვითონაც მის გვერდით შესაფერი ადგილი დაემკვიდრებინათ. ხეკუპთხაში ლივლივებდა ტბები, პყვაოდა ბაღები, მზეზე ბრწყინავდა მარმარილოს სასახლეები მაღალი, ნათელი დარბაზებით, ვიწრო დერეფნებით, საიდუმლო გასასვლელებითა და მყუდრო ოთახებით. ქალაქს ამშვენებდა ხემირებისა და ქურუმების, მხატვრებისა და ხუროთმოძღვრების, მეცნიერებისა და მწერლების, სახელმწიფო მოღვაწეებისა და კურტიზანების სახლები და სასახლეები. სუფთა, მოკირწყლული ქუჩები ფართო მოედნებს უერთდებოდა. მოედნებზე კი აღმართული იყო ქანდაკებები. ერთი მათგანი დღესაც აქ დგას. დილიდან შებინდებამდე გარს ეხვევიან ტურისტები.

ოქროსფერი ქვიშაქვისაგან გამოკვეთილი ლომკაცის ქანდაკება მძიმედ წევს გრანიტის კვარცხლბეკზე. ნადირთა მეფე ადამიანის თავითაა გამოსახული — იგი ფარაონის სახეს გამოხატავს; დგას, ვითა სიმბოლო დიდებულებისა და ძლიერებისა. ბაგეზე მშვიდი ღიმილი შერჩენია. მას არ აღშფოთებს ნანგრევებად ქცეული საკუთარი ქალაქის სამარისებური დუმილი. წუთისოფელივით დროებითი იყო. იგი უნდა დადუმებულიყო, და დადუმდა კიდეც. მაგრამ ის, რაც ფარაონმა იმქვეყნიური მარადისობისათვის შექმნა, როგორც ღვთაებამ, შეურყევლად დგას ათასეული წლების მანძილზე. ნილოსის მწვანე ველის მიღმა, ლურჯი ცის ფონზე გამოკვეთილი პირამიდების მარადისობის რწმენაა აღბეჭდილი ფარაონის შუბლზე!..

ქალაქის ნანგრევებს შორის აღმართული ქვის უზარმაზარი დაფები აჭრელებულია იეროგლიფებით. რამდენიმე ნიშნის ცნობა თუ მაინც იცი, უსათუოდ შეეცდები, კარტუშში ჩასმული ასოების მიხედვით რომელიმე მეფის ან დედოფლის სახელი ამოიკითხო.

შუა საუკუნეებში მემფისის ნანგრევებს განცვიფრებაში მოჰყავდა ადამიანები. მეცამეტე საუკუნის ერთი არაბი მოგზაური წერს, რომ „მემფისის ნანგრევები საოცრებათა ისეთი შერწყმაა, რომელიც თრგუნავს ადამიანის გონებას, მის აღწერას ტყუილად შეეცდება ყველაზე უფრო მჭევრმეტყველი ადამიანიც კი. რაც უფრო მეტს აკვირდები ამ ნანგრევებს, მით უფრო ძლიერდება აღმაფრენის გრძნობა. ადამიანი აქ ყოველ ნაბიჯზე აწყდება განსაცვიფრებელ საგნებს“. ქალაქის ნანგრევები რომ ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით გადაეკვეთათ, მოგზაურები ნახევარ დღეზე მეტს ანდომებდნენ. მათი აღწერილობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქალაქში თითქმის არაფერია დარჩენილი. სამაგიეროდ, შუა საუკუნეების კაირო მემფისის ნანგრევებისაგანაა აღმართული. მეჩეთებისა და მინარეთების კედლებში ახლაც შენიშნავ იეროგლიფებით აჭრელებულ უზარმაზარ ქვებს. ეს ქვები ისლამის დაბადებამდე ოთხიათასხუთასი წლის უკან ამშენებდა ფარაონთა ტაძრებსა და სასახლეებს. ისინი არაბებმა მუკატტამის მთებზე აიტანეს და მაჰმადიანური ხუროთმოძღვრების ყალიბს მოარგეს.

# მსოფლიოს უძველესი ნაგებობა

ავტობუსი განივად ჭრის ნილოსის ველს და დასავლეთისაკენ მიემართება. უკან გარბიან აქოჩრილი პალმის ხეები. რამდენიმე სნის შემდეგ უდაბნოს საზღვართან ვწერდებით. აქ ბაღიდან გამოტანილ ცვრიან მანდარინს არაბი გლეხი მუშტრებს აწონებს. თუ ფული არა გაქვს, ვაჭრობა ნატურით შეიძლება: ორ კილოგრამ ოქროსფერ ნაყოფს სიამოვნებით გაგიცვლიან ერთ კოლოფ სიგარეტში. აფრიკის მზის ქვეშ დაღლილი მგზავრისათვის ეს დიდი წყალობაა, მით უმეტეს, რომ სასმელი წყალი ახლო-მახლო არსად იშოვება. ძეძვის ღობის გადაღმა, რომლითაც მანდარინის ბაღია შემორაგული, ათიოდე ნაბიჯს გადაადგამ და ფეხები სილაში ჩაგეფლობა. ეს უდაბნოა. ამ მიწას დავიწყებული აქვს წვიმის სიხარული. სიცარიელე და მდუმარება, რომელიც თან მიჰყვება ოქროსფერ, მკვდარ ქვიშას, უსასრულობაში ინთქმება... და ადამიანს ბუნება აგრძნობინებს, რომ იგი სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე დგას. სწორედ აქ, ნილოსის დასავლეთ სანაპიროზე, სიცოცხლის დამბადებელ ველსა და მკვდარი უდაბნოს გასაყარსა და თავშესაყარზე, მემფისელმა ფარაონებმა უსხოვარ დროში დაარსეს თავიანთი სამარადისო განსასვენებელი. აღმართს რომ აათავებ, სამხრეთ-დასავლეთით, უდაბნოს სიღრმეში აილანძება გრანდიოზული ნაგებობის რუხი სილუეტი. ეს ფარაონ ჯოსერის საფეხურებიანი პირამიდაა. იგი მედიდურად ბატონობს საკარის ზეგანზე. საკარა* ეგვიპტის უძველესი ნეკროპოლია. მეოთხე ათასწლეულის დასასრულიდან აქ მოღვაწეობდნენ გენიოსი ადამიანები. ისინი აგებდნენ და ხატავდნენ ფარაონთა განსასვენებლებს და თავიანთი გამოგონებებითა და შემოქმედებით წარუშლელი კვალი დააჩნიეს კაცობრიობის ისტორიას.

ზეგანზე აღმართული პირამიდა ნაპირს მოახლოებული გემივით თანდათან იზრდება და... უცბად მაღალი კედლის იქით უჩინარდება. კედელი, რომლითაც ნეკროპოლია შემოზღუდული, თხუთმეტი მეტრი სიგანისაა და ათი მეტრი სიმაღლის. მოპირკეთებულია ნილოსის გაღმა მხრიდან მოტანილი თეთრი კირქვის

---

* ფთახა-საქორ-ოზირისი იყო ფარაონთა სულისა და განსასვენებლის მფარველი ღმერთი. მისი სახელისაგან წარმოდგება სახელწოდება საკარა.

ფილებით. ეს კედელი, ისევე, როგორც ჯოსერის პირამიდა, ქვით აშენებული უძველესი და უპირველესი ნაგებობაა დედამიწის ზურგზე. ოთხიათას რვაასი წელია, რძისფრად კიაფობს იგი უდაბნოს რუხ ჰორიზონტზე. ახლა სანახევროდ დაქცეული * გალავნის თავზე ოდესღაც მძიმედ დააბიჯებდნენ ეგვიპტელი გუშაგები და გარდაცვლილი ფარაონის სამარადისო მყუდროებას დარაჯობდნენ. აღმოსავლეთის კედელს სამხრეთ ნაწილში ჰქონდა და აქვს ერთადერთი შესასვლელი. იგი მონუმენტური კარის სადარადაა გაფორმებული, მაგრამ გასასვლელი მეტად ვიწროა. ფეხს დაადგამ საძირკველს, კარებს გასცდები და თვალწინ აღიმართება სვეტები, რომელთაც ლერწმის კონის ფორმა აქვთ. შენობის სახურავში აქა-იქ მზის სხივები იღვრება. ექვსი მეტრი სიმაღლის ორმოცი თეთრი ბოძი, ორმოცდახუთი მეტრის სიგრძეზე რომ არის ჩარიგებული, თითქოს გკარნახობენ, მოკრძალებითა და დუმილით იარო წინ — ოზირისის საუფლოსაკენ. აქ ტურისტებიც კი არ სმაურობენ და სიჩუმეში გესმის, როგორ ხრაშუნობს ფეხქვეშ ქვიშანარევი უდაბნოს სილა. ოდესღაც აქ მის მაგივრად თეთრი ქვის ფილების იატაკი ეგო და ყველაფერი თეთრად ქათქათებდა. ხუროთმოძღვარს, რომელმაც პირველად შექმნა ქვის ბოძები, მათ გასაფორმებლად მანამდე ეგვიპტეში არსებული ხის არქიტექტურის ფორმები გამოუყენებია და მათთვის ლერწმის კონის ფორმა მიუცია. ქვაში გაცოცხლებულ ლერწამს რელიგიური მნიშვნელობაც ჰქონდა, რადგან ლერწამი იყო მარადმწვანე სიმბოლო ღვთაება ოზირისისა, ოზირისი კი იყო ღმერთი სიკვდილ-სიცოცხლისა.

დერეფანს რომ გაივლი და მარჯვნივ შემოტრიალდები, თქვენს წინ ისევ აღიმართება „პირამიდების დედა". მის საფეხურებზე უდაბნოს ქარს ოქროსფერი სილა შემოუნამქრავს. ღმერთის ამ მარადიულ საბრძანებელს წმინდა ქარსნარევი სილა საუკუნეების ჭაღარასავით აქვს შუბლზე შემოვლებული.

ფარაონ ჯოსერის პირამიდა აშენებულია ოთხიათას რვაასი წლის წინათ, ძველი წელთაღრიცხვის ოცდამერვე საუკუნეში. იგი ცისკენ აღმართული პირველი ნაგებობაა ეგვიპტის მიწაზე.

---

* შემორჩენილი კედლის სიგრძე 721 მეტრია.

მანამდე ფარაონთა განსასვენებლები ალიზით აშენებული, სწორკუთხედის ფორმის დაბალი შენობები, ე. წ. მასტაბები იყო, რომლის ცენტრში მოთავსებულ აკლდამაში * განისვენებდა მიცვალებულის მუმია.

მასტაბებს მომდევნო ეპოქაშიაც აშენებდნენ მეფეთა კარის დიდებულები. ქვით ნაგები პირამიდები კი მხოლოდ ფარაონთა წილხვედრი იყო. პირველი ასეთი ნაგებობა შექმნა ხუროთმოძღვარმა იმხოტეპმა. არქეოლოგი ზაქარია მოჰამედ ღონეიმი, რომელიც გათხრებს აწარმოებდა საკარის ნეკროპოლში, ჯოსერის საფეხურედი პირამიდის მშენებლობის პროცესს ასე წარმოგვიდგენს: „თავდაპირველად ფარაონის ხუროთმოძღვარმა ააგო დიდი მასტაბა, რომელიც ფარაონ ჯოსერისათვის ** ზემო ეგვიპტეში, ბეთ-ხალაფში, აგებულ ანალოგიურ სამარხს ჰგავდა, მაგრამ ბეთ-ხალაფის მასტაბისაგან განსხვავებით, რომელიც ალიზით ნაგები მოგრძო შენობა იყო, საკარის მასტაბას კვადრატული ფორმა მისცეს და ქვის ბლოკებისაგან ააშენეს. ჯოსერის მმართველობის წლებში ქვის მასტაბა გააფართოვეს, მაგრამ მინაშენი დაბალი გააკეთეს, და წარმოიქმნა ორი საფეხური. შემდეგ ხუროთმოძღვარმა კეცმა მეცვალა და სამარხი დააგრძელა. როგორც ჩანს, ვერც ამან დააკმაყოფილა მისი ბატონი და თვით ხუროთმოძღვარიც, რადგან მან მეოთხეჯერ გააფართოვა შენობა, ხოლო შემდეგ შექმნა ისეთი რამ, რაც მანამდე არც ერთ მშენებელს არ გაუკეთებია. იმხოტეპმა უზარმაზარი ბრტყელი მასტაბის მოედანზე ააგო კიდევ ერთი სერია სამი მასტაბისაგან, რომელთაგან თითოეული წინაზე პატარა იყო. ასე აღიმართა პირველი საფეხურედი პირამიდა — ეგვიპტის პირამიდების დედა. ***

იმხოტეპმა კაცთაგან პირველმა დადო ქვა ქვაზე, კედელი აიყვანა და გრანდიოზული ნაგებობა შექმნა.

* ადრეული დინასტიის ფარაონთა აკლდამები საკმაოდ დიდი მოცულობის ნაგებობებს წარმოადგენდნენ. ფარაონ გორ-ახას აკლდამას 561 კვ. მ. ფართობი ეკავა, ჯეთას აკლდამას — 672, 5 კვ. მ. ხოლო პირველი დინასტიის უკანასკნელი მეფის კახ აკლდამა სიდიდით ორჯერ აღემატებოდა.

** ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ მესამე დინასტიის პირველი ფარაონი ნებკა იყო.

*** პირველი დინასტიის მეფობის ხანა მოიცავს ძვ. წ. 3200-2980 წ., II დინასტიისა — ძვ. წ. 2980-2780 წწ., III დინასტიისა — ძვ. წ. 2780-2680 წწ.

ისევე, როგორც ისრის, ბორბლისა და იალქნის გამოგონებას კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ქვითკედლის შენების გამოგონებამაც წარუშლელი კვალი დაამჩნია კაცობრიობის განვითარებას. ამ ხელოვნებამ ათასწლეულებს დაუმარცხებლად გადმოაბიჯა და, თუ დღეს ისარი და იალქანი მხოლოდ სპორტის საკუთრებად იქცა, დედამიწის ყველა კუთხეში ქვითხუროები ჯერ კიდევ იმხოტეპის ნაკვალევზე დგანან.

უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ჩრდილოეთ სასახლის კედელზე აღმართული თეთრი ბოძების მწკრივი, რომლებსაც პაპირუსის გაშლილი ფოთლების მსგავსი კაპიტელები ამშვენებენ. ნატიფი ჩუქურთმებით თავდამშვენებული სვეტები პირველად იმხოტეპმა გამოიყენა შენობის გასაფორმებლად და შემდეგ, ასეული წლების მანძილზე, მრავალი თაობის ხუროთმოძღვართათვის წარმოადგენდა შთაგონების წყაროს. ამიტომ იქცნენ ისინი მომდევნო ეპოქებში ეგვიპტური არქიტექტურის მუდმივ თანამგზავრებად, ხოლო ჩვენს დროში მსოფლიოს მრავალი ხალხის არქიტექტურამ შეითვისა პირდაპირი ან იმპროვიზებული სახით.

რელიეფური ხელოვნების განვითარებაში ასევე დიდი როლი შეასრულა ჯოსერის ანსამბლის დეკორატიულმა კედლებმა. მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ეზოს სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში სამლოცველოს კედელზე გამოსახული წმინდა გველების ბრწყინვალე ფრიზი.

ცეცხლის მფრქვეველი გველები ეგვიპტურ მითოლოგიაში მეფეებისა და ღმერთების მფარველად ითვლებოდა. ისინი აქ გარდაცვლილი ფარაონის მაგიურ მცველებს განასახიერებენ, მაგრამ ფარაონებს მაინც ვერაფერმა უშველა. მათი მყუდროება დარღვეულია, აკლდამები შელეწილია და სარკოფაგები დამსხვრეული. გადარჩა მხოლოდ გენიის ნაყოფი; ოთხიათას რვაასი წლის წინათ ტიტანური ნიჭის ადამიანი დააბიჯებდა აქ, მზით გავარვარებულ საკარის ზეგანზე, და მის გონებაში ისახებოდა ტაძრებით გარშემორტყმული, ცაში აწვდილი თეთრი პირამიდა. ვინ მოთვლის, რამდენი ქვიშა მოიტანა და წაიღო მას შემდეგ უდაბნოს ქარმა საკარის ზეგნიდან, მაგრამ ის, რაც იმხოტეპმა შექმნა, დღესაც აქ დგას და დიდების შარავანდედით მოსავს კაცობრიობის იმ შორეული წინაპრის ხსოვნას.



ფარაონ ჯოსერის პირამიდა. ძვ. წ. XXVIII ს.



ფარაონი ჯოსერი.



გიზის პირამიდები.
ძვ. წ. XXVII ს.

ხეოფსის პირამიდა, ძვ. წ. XXVII ს.







სფინქსი. ძვ. წ. XXVII ს

ხეოფსის პირამიდის ხუროთმოძღვარი ხემიუნი. ძვ. წ. XXVII ს.





სუროთმოძღვარი ჰესირა.
ძვ. წ. XXVIII ს.

ფარაონი ხეფრენი. ძვ. წ.
XXVII ს.

იმხოტეპი სიცოცხლეშივე დიდი პატივით სარგებლობდა. საკარის ნეკროპოლში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ერთ საპეჭდავზე იკითხება, რომ იგი იყო მშენებლობის უფროსი, ფარაონის პირველი ვეზირი* და უმაღლესი ქურუმი. ხუროთმოძღვარი ამავე დროს დიდი ექიმი და ასტრონომიც იყო. სიკვდილის შემდეგ ხალხმა გააღმერთა იგი და პატივს სცემდნენ, როგორც ღვთაება ფ თ ა ხ ა ს შვილს. შემდგომ საუკუნეებში, ვინც კი წერას შეუდგებოდა, უპირველეს ყოვლისა, სიტყვას წარმოთქვამდა მის სადიდებლად. როდესაც ბერძნები ეგვიპტეს გაეცნენ, იმხოტეპი მკურნალობის ღმერთ ესკულაპესთან გააიგივეს და პატივს სცემდნენ, როგორც ბერძნული პანთეონის ღვთაებას.

ჯოსერის პირამიდა შიგნითაც ძალზე რთულადაა ნაგები. თუ მოგვიანო ხანის ფარაონთა დასაკრძალავი აკლდამები ნაგებობის შუაგულში მდებარეობდა, მიწის პირიდან რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე, ჯოსერის პირამიდის ფუნდამენტის შუაგულში, კლდეში ჩაიხრილია 27 მეტრის სიღრმის ჭა, რომლის ფსკერზეც ასუანის გრანიტით ნაგები აკლდამაა მოთავსებული. იგი ფარაონის მუმიის დაკრძალვის შემდეგ ოთხტონიანი გრანიტის ლოდით დაუხურავთ და დაახლოებით ოთხასი წლის მანძილზე ხელუხლებლად ყოფილა შემონახული. ჭა უკავშირდება საიდუმლო გასასვლელებს, რომლებიც პირამიდის სიღრმეში ოთხივე მხარეს მიემართება ლაბირინთებად დახლართულ დერეფნებში. ლურჯი შორენკეცებით მოპირკეთებული დერეფნების მიღმა ურიცხვ ოთახებში ინახებოდა ფარაონთა აურაცხელი სიმდიდრე. ძველეგვიპტური რელიგიის მიხედვით, რაც ფარაონს ამქვეყნად გააჩნდა, იმქვეყნიური, მარადიული ცხოვრებისთვისაც საჭირო იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ეგვიპტის რელიგიაზე ადრე დაიბადნენ უძველესი პროფესიის რწმენაშერყეული ადამიანები, რომლებსაც არ სჯეროდათ იმქვეყნიური მარადისობისა. ქურდები გამუდმებით უთვალთვალებდნენ ფარაონის სიმდიდრეს. მათმა სიბეჯითემ ჩვენს დროში მრავალი არქეოლოგი გააოცა და სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა.

* ვეზირი არაბული სიტყვაა. ამ თანამდებობის პირს ძველეგვიპტურად „წათი" ეწოდებოდა.

ახლა დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ჯოსერის დაკრძალვიდან 400 წლის შემდეგ გამდიდრების ჟინით შეპყრობილი ადამიანები შეუდგნენ მძიმე და საბედისწერო სამუშაოს. მათ კლდეში ხვრელი გამოთხარეს, ფარაონის აკლდამას მიაგნეს და სიმდიდრე გაიტაცეს.

ეგვიპტის არქეოლოგიის გარიჟრაჟზე, გერმანელთა ექსპედიციაში მომუშავე იტალიელმა არქეოლოგმა მენუ-ფონ მინუტოლიმ, რომელსაც ჯოსერის აკლდამის საიდუმლო ლაბირინთებში შეაღწია, ერთ-ერთ გასასვლელში იპოვა ოქროს ფურცლებით დაფარული თავის ქალა და ფეხის ტერფი. ფიქრობენ, რომ ეს იყო უმნიშვნელო ნაწილი ფარაონის ნეშტისა, რომელიც შიშით შეპყრობილ აჩქარებულ მძარცველებს სიბნელეში დაეკარგათ.

თავის ქალა გერმანელებმა სათუთად შეახვიეს და სამშობლოში გაგზავნეს, მაგრამ გემმა ვერ მიაღწია რეინის ნაპირებს. ხმელთაშუა ზღვის ბობოქარმა ტალღებმა შთანთქეს იგი და დიდებული ფარაონის თავის ქალაც ზღვის სიღრმეში ჩაიკარგა.

საკარის ნეკროპოლის ეზოები და შემოგარენი სავსეა ქვაღორღისა და მიწის გორებით. ეს არქეოლოგების მიერ ამოთხრილი ათასწლეულების „ფერფლია", რომელიც წინათ აქ ტაძრებს, სასახლეებსა და პირამიდებს ეყარა. საუკუნეზე მეტია მუშაობენ არქეოლოგები საკარის ნეკროპოლში. სხვადასხვა დროს აქ გათხრებს აწარმოებდნენ ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, ამერიკელები, ეგვიპტელები. მეცნიერებმა: ფერსმა, კვიბელმა, ფეკეიმ, ლაურმა, ედვარდისმა, ბრესტედმა და სხვებმა ბრწყინვალე ნაშრომები უძღვნეს საკარის ნეკროპოლის ძეგლებს. ისინი ზოგჯერ გულისტკივილით იგონებენ დღეებს, როდესაც დაღლილი არქეოლოგები იმედგაცრუებულები ტოვებდნენ მასტაბებისა და პირამიდების სიღრმეებში დიდი ხნის დაძაბული მუშაობის შემდეგ მიგნებულ დაცარიელებულ ოთახებსა და სარკოფაგებს. საკარის ნეკროპოლის არქეოლოგიის ისტორიაში ყველაზე დრამატული ამბები მოხდა 1951-54 წლებში, როდესაც ეგვიპტელმა არქეოლოგმა მოჰამედ ზაქარია ღონეიმმა ჯოსერის ტაძრების მახლობლად აღმოაჩინა დაკარგული პირამიდა.

ღონეიმმა, რომელმაც კაიროს უნივერსიტეტი დაამთავრა და დიდხანს მუშაობდა ეგვიპტის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტში,

1951 წელს გათხრები დაიწყო საკარის ნეკროპოლში. იგი ფიქრობდა, რომ აქ დამარხული უნდა ყოფილიყვნენ ჯოსერის მემკვიდრე მესამე დინასტიის სხვა ფარაონები. დიდი ფანტაზია უნდა ჰქონოდა არქეოლოგს, რომ საკარის ზეგანზე დაეწყო ძებნა მეორე ისეთი ნაგებობისა, როგორიც ჯოსერის პირამიდაა. სად უნდა ყოფილიყო ასეთი ნაგებობა? საკარაში არსად ჩანდა ქვიშის მთები, რომლის ქვეშ შესაძლოა მოყოლილიყო დიდი პირამიდა. მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ეგვიპტის არქეოლოგიაში ღრმად ჩახედული კაცი იყო და, თუ გულწრფელად წერს, რომ მაინცდამაინც ჯოსერის მემკვიდრეების განსასვენებელს ეძებდა, ამ შემთხვევაში მას მხედველობაში უნდა ჰქონოდა სილისაგან დაფარული, დანგრეული ან დაუმთავრებელი პირამიდა. არქეოლოგმა იპოვნა იგი და ამ ამბავმა მსოფლიო შეძრა.

როდესაც ღონეიმმა გათხრებისათვის საჭირო თანხა იშოვა, ზემო ეგვიპტეში, სოფელ კოპტოსში წერილი გაუგზავნა ძველ მეგობრებს. კოპტოსელებმა დიდი ხანია ბალჩა-ყანების თოხი და კავი არქეოლოგის ბარზე გაცვალეს და არქეოლოგიის სპეციალისტებად არიან ცნობილნი. ძველეგვიპტელთა შთამომავალნი კიდევაც ამაყობენ ამით და დიდი აღმოჩენების ამბებს ლეგენდებივით მოუთხრობენ თავიანთ შვილებსა და შვილიშვილებს. კოპტოსელები მუდამ უცხოელთა არქეოლოგიურ ექსპედიციებში თანამშრომლობდნენ და, რა თქმა უნდა, თანამემამულის წინადადება სიხარულით მიიღეს. ჰოფნი იბრაჰიმმა, რომელიც 1914 წლიდან მუშაობდა გამოჩენილ ინგლისელ არქეოლოგ ფლინდერს პიტრისთან, თავი მოუყარა გამოცდილ „არქეოლოგ“ მიწის მთხრელებს და 1951 წელს მოჰამედ ზაქარია ღონეიმს ეახლა საკარის ზეგანზე.

მე, როგორც არქეოლოგს, რა თქმა უნდა, მაინტერესებდა საუკუნეების მანძილზე ბნელით მოცული და შემდეგ არქეოლოგების მიერ გამომზეურებული პირამიდის ნახვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენმა გიდმა დანამდვილებით არ იცოდა ადგილი, სადაც ეგვიპტელთა ექსპედიცია თხრიდა. გამახსენდა, რომ ღონეიმი ჯოსერის ანსამბლის სამხრეთით მუშაობდა. ქვა-ღორღიან გორაკებს შორის მიმავალ ბილიკებს გავყევი და ზედაპირდატალღული უდაბნოს ჰორიზონტზე ძებნა დავუწყე დაკარგულ პირამიდას. მზე ზე-

ნიტზეა და შორს, უდაბნოს ბუდის მიღმა, ლეგენდებივით დგანან აბუსირის პირამიდები. ფესი ღრმად ეფლობა ცხელ სილაში, დრო კი ცოტა მაქვს: სწორედ ამის გამო უფრო გამიხარდა თეთრად მოკიაფე კედლის დანახვა, რომელსაც 1951 წელს პირველად მიაგნო ეგვიპტელთა ექსპედიციამ. 18 მეტრი სიგანის კედელი თითქმის შვიდას მეტრზეა გადაჭიმული ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ღონეიმს გათხრების დასაწყისშივე გაუღიმა ბედმა — ბარის პირველივე დაკვრით აღმოაჩინა გრანდიოზული კედლის საძირკველი.

ღონეიმმა მეცნიერული თავგანწირვის ფასად ეგვიპტის უძველეს ცივილიზაციას კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი შესძინა და ფარაონ სეხემხეთთან ერთად საუკუნოდ უკვდავყო თავისი სახელი...

ზღუდის შიგნით გათხრები რომ დაიწყო არქეოლოგმა, იქ უამრავი პატარ-პატარა ნაგებობის საძირკვლები აღმოაჩინა. ისინი ფარაონ ჯოსერის გალავნის შიგნით ადრე გათხრილ ცრუ ნაგებობების გეგმას შეუდარა და მიხვდა, რომ მანამდე უცნობი ფარაონის პირამიდის ეზოში იდგა. როგორც თვითონ წერს, იმ დროს ცოტა ვინმეს სჯეროდა მისი. „ვინც 1952 წლის პირველ თვეებში ჩვენს გათხრებს ნახულობდა, აქ თეთრი კედლების გარდა მნიშვნელოვანს ვერაფერს ხედავდა; ქვა-ღორღსა და ქვებს შორის შიშველ პლატოზე პირი დაეღო რამდენიმე შახტს. ერთი მათგანიდან მუშები მიწას ეზიდებოდნენ. პირამიდა სადღაა, — ღიმილით მეკითხებოდნენ ჩემი კოლეგები და მეც ვერაფერს ვპასუხობდი, გულს მხოლოდ შინაგანი რწმენა მიმაგრებდა და მჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან ქვიშის უსასრულო საფარქვეშ უსათუოდ ვიპოვიდი, რასაც ვეძებდი."

ხშირად ნიჭიერი და ფრიად განსწავლული ადამიანებიც კი ვერ ფარავენ პროფესიულ შურს და მეცნიერული სიდინჯით შეფარულ შხამს ანთხევენ კოლეგების ნაშრომებსა და ახალ აღმოჩენებს. ერთი არქეოლოგის ბიოგრაფიისათვის საკარის ზეგანზე მოქათქათე თეთრი, გრანდიოზული კედელიც კმაროდა, მაგრამ 1952 წლის სეზონის ბოლოს ღონეიმმა გალავნის ცენტრში პირამიდის კედელი რომ აღმოაჩინა, ბევრს გაუცუდდა იქედნური ღიმილი. მომდევნო სეზონში საკარაში თავი მოიყარეს აფრიკის, აზი-

ის, ევროპისა და ამერიკის ჟურნალების, გაზეთებისა და რადიოს კორესპონდენტებმა და ფოტოკორესპონდენტებმა. ყველა მათგანი ცდილობდა, თუნდაც ერთი წუთით გამოლაპარაკებოდა მანამდე ყველასათვის უცნობ მოჰამედ ზაქარია ღონეიმს. გარს უვლიდნენ არქეოლოგის მიერ აღმოჩენილ პირამიდას და საღამოობით კაიროს ტელეგრაფებსა და სატელეფონო ქსელებს მთელ მსოფლიოში მიჰქონდა ამბები ეგვიპტეში მომხდარი ახალი დიდი აღმოჩენების შესახებ.

ღონეიმი განაგრძობდა მუშაობას და... ფიქრობდა. საფიქრალი და სამუშაო კი ძალზე ბევრი ჰქონდა. მან იპოვა მესამე დინასტიის რომელიღაც ფარაონის მშენებლობის პროცესში მიტოვებული, დაუმთავრებელი პირამიდა. იგი შვიდ საფეხურად იყო ჩაფიქრებული და ჯოსერის პირამიდაზე დიდი უნდა ყოფილიყო. რატომ არ დაამთავრეს ეს გრანდიოზული განსასვენებელი? იყო თუ არა აქ ფარაონი დამარხული? ეს კითხვა მოსვენებას უკარგავდა მკვლევარს. იგი გულმოდგინედ ეძებდა აკლდამისაკენ მიმავალ შესასვლელს. იპოვა კიდეც ასეთი შესასვლელი და ადამიანები პირამიდის სიღრმისაკენ დაიძრნენ.

ერთ-ერთი ჭის გასუფთავების დროს დაცურებულმა ლოდმა თან ჩაიტანა სუთი კაცი. ერთი მათგანი გარდაიცვალა და საკარის ზეგანი გაირინდა. ნილოსის მხრიდან ლანდებივით ამობობღდნენ დათალხული არაბი დედები და ზარით ტირილმა შეძრა უდაბნოს მდუმარება. მუშებმა უარი თქვეს გათხრების გაგრძელებაზე. სალხი ამბობდა, დიდი ფარაონის სული გააბოროტეს და იგი ყველას დაღუპავსო.

ექსპედიციამ მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეძლო სამუშაოთა განახლება. არქეოლოგები დიდი სიფრთხილით წმენდდნენ შესასვლელ დერეფანს და ალაგ-ალაგ, დრო და ჟამის სიმძიმისაგან ჩამონგრეულ თაღებს ბიგით ამაგრებდნენ. ისინი ფრთხილად დაფორთხავდნენ მიწის პირიდან ორმოცი მეტრის სიღრმეზე, სიცხითა და სიბნელით მოცულ დერეფნებში, და ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ — საიდუმლოებით მოცულ საუკუნეთა სიღრმეში.

ერთ დღეს ჭერიდან ჩამოცვენილი ქვა-ღორღი გაწმინდეს და დერეფანში, რომლის ორსავე მხარეს ასობით მცირე და დიდი ზომის საკუჭნაო იყო გამოკვეთილი, სხვადასხვა ჯიშის ქვისაგან

გაკეთებული ათასგვარი ფორმის ჭურჭელი იპოვეს. მერე ოქროს ბრწყინვალებამ გაჰკვეთა ბნელი და, ღონეიმმა მიწაში ჩაყრილი ოცდაერთი ოქროს სამაჯური დათვალა. აქვე იყო ოქროს ნამგლისებური კვერთხი, ოქროს სანელსაცხებლე ყუთი, სამკლაურები და სხვა ნივთები. ძვირფასი სამკაული ფარაონის მახლობელი რომელიღაც ქალბატონის საკუთრებად მიიჩნიეს. მკვლევარებმა ამ აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭეს იმის გამო, რომ ეგვიპტის ადრეული ხანის არქეოლოგია შედარებით ღარიბია საიუველირო ნაწარმით.

მეცნიერებისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო თიხის პატარა საბეჭდავები, რომლებიც დოქის საცობებს წარმოადგენდნენ და რომლებზედაც ფარაონის ვინაობა ეწერა. როგორც შემდეგში ღონეიმი წერდა, ამ საბეჭდავების აღმოჩენა უდრიდა თვით პირამიდის აღმოჩენას. ეგვიპტის მეფეთა სიას უცნობი ფარაონის სეხემხეთის სახელი შეემატა. მის მოღვაწეობაზე მანამდე არავინ არაფერი იცოდა. აშკარაა, რომ სეხემხეთი ძლიერი ფარაონი იყო. მან წინაპართან შედარებით უფრო დიდი განსასვენებლის აღმართვა განიზრახა, მაგრამ მბრძანებლის ცხოვრება, ჩანს, ტრაგიკულად დამთავრდა და მისი მოღვაწეობა, ისე როგორც მისი განსასვენებელი, 4800 წლის მანძილზე სილამ და სიბნელემ დაფარა.

1954 წლის 31 მაისს არქეოლოგები მიადგნენ ლოდებით დახუფულ აკლდამას, რომლის მიღმა შესაძლოა სარკოფაგი ყოფილიყო ფარაონ სეხემხეთის მუმიითა და საგანძურით. მათ გამოანგრიეს აკლდამის შესასვლელში აღმართული ლოდები. ამ დაუვიწყარ წუთებს ასე იგონებს მოჰამედ ზაქარია ღონეიმი: „კედელში გაჭრილი შესასვლელი უზარმაზარი თაღოვანი ჭერის ბოლოში გადიოდა. ჩემ წინ პირი დაეღო შავ სიცარიელეს. უყოყმანოდ გადავეშვი შიგ და სანახევროდ ჩავცურდი, სანახევროდ ჩავგორდი მიწისქვეშა სასუფევლის იატაკზე. უკან ჰოფნი მომყვა. როცა გამოვერკვიეთ და ფარნები ჩავრთეთ, ჩვენ წინ საუცხოო სანახაობა გადაიშალა: ტლანქად გამოკვეთილი ოთახის შუაგულში, თითქოს სტუმრებს ეგებებაო, ნახევრად გამჭვირვალე, ბაცი ოქროსფერი ალებასტრის სარკოფაგი კიაფობდა.

მივუახლოვდით. პირველად ეს გავიფიქრე: ხელუხლებელია თუ არა-მეთქი? ელექტრონის ფარნის შუქზე სწრაფად დავიხარე

სახურავისაკენ. მაგრამ სად იყო სახურავი! მთელი სარკოფაგი სახურავიანად ერთი მთლიანი ლოდისაგან იყო გამოკვეთილი... სარკოფაგის გაპრიალებული ზედაპირი ჭერიდან ჩამოცვენილი სვინჭკის მუქ ფენას დაეფარა. ირგვლივ უფრო დიდი ქვები ეყარა. ყოველ მათგანს ჩამოვარდნისას შეეძლო გაეტეხა ან ძალზე დაეზიანებინა ალებასტრის ყუთი, მაგრამ იგი რაღაც სასწაულით იყო გადარჩენილი.

სარკოფაგზე იდო სამკუთხედის მსგავსად განლაგებული რომელიღაც ბალახისა თუ ბუჩქის გამხმარი და დანახშირებული ნარჩენები. იგი ძალიან ჰგავდა დასაკრძალავ გვირგვინს, რომელიც აქ ოთხიათასშვიდასი წლის წინ მოიტანეს ჭირისუფლებმა.

ყველაფერი იმდენად საოცარი იყო, რომ არც კი გვჯეროდა! რამდენიმე ხანს მე და პოფნი გაკვირვებული შევცქეროდით ამ ტლანქად გამოკვეთილ, დაუმთავრებელ აკლდამაში მოულოდნელად აღმოჩენილ, ობლად შთენილ ალებასტრის სარკოფაგს.

ამ ხნის განმავლობაში დანარჩენი მუშები ერთი მეორის მიყოლებით მოცოცავდნენ ხვრელში. მღელვარებისაგან თითქოს მთლად დავკარგეთ გონი. ვეღარც მე ვუწევდი ჩემს თავს კონტროლს და ახლა გზა მივეცი დიდი ხნის შეკავებულ გრძნობებს. სარკოფაგის ირგვლივ ვცეკვავდით და ერთმანეთს ვეხვეოდით. ლოყებს ცრემლები გვისველებდა. ეს იყო საოცარი სცენა მიწისქვეშა სასუფეველში, უდაბნოს ზედაპირიდან ორმოცი მეტრის სიღრმეზე".

არქეოლოგმა ერთი თვე მოანდომა მოსამზადებელ სამუშაოებს. ამ ხნის განმავლობაში მისი სახელი არ სცილდებოდა მსოფლიოს პრესას. ახლა მასთან მწერლებსა და ჟურნალისტებს აგზავნიდნენ სხვადასხვა ქვეყნების დიდი გამომცემლობების, ტელეკომპანიებისა და რადიომაუწყებლობის მესვეურები. ღონეიმი უამრავ ტელეგრამას იღებდა მსოფლიოს ყველა კუთხიდან, ტელეფონით ურეკავდნენ ნიუ-იორკიდან, ბერლინიდან, პარიზიდან. ამერიკის ერთ-ერთმა გაზეთმა მას საკმაოდ სოლიდური თანხა შესთავაზა გათხრების განსაგრძობად. მას შემდეგ, როცა აკლდამა ასობით ჟურნალისტმა ინახულა, 26 ივლისს სიძველეთა დაცვის დეპარტამენტის წევრებთან და მუშებთან ერთად, ღონეიმი აკლდამაში შევიდა სარკოფაგის გასახსნელად. საგანგებოდ მოწყობილი ამწეების თოკებზე გამობმული კავები მუშებმა სახურავს ჩააბეს. არქეოლოგმა

ნიშანი მისცა. გაისმა ლითონისა და ქვის ღრჭიალი, სახურავს ბერკეტი შეუდეს და, როდესაც ნათურამ ბნელით მოცული სარკოფაგი გაანათა, არქეოლოგმა თვალებს არ დაუჯერა — კირისა და თაბაშირის ხსნარით ჩადუღაბებული სარკოფაგი, რომელიც სრულიად ხელუხლებელი იყო, ცარიელი აღმოჩნდა.

ღონეიმს სიმწრის ოფლმა დაასხა. იგი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. დაცარიელდა საკარის ზეგანი. არქეოლოგი მალე ყველამ დაივიწყა. ერთ დღეს ნილოსში ჩავიდა საცურაოდ და... მას შემდეგ აღარავის უნახავს.

არქეოლოგს სარკოფაგის საიდუმლო ამოუხსნელი დარჩა, მაგრამ საკარის ზეგანზე საუკუნოდ დევს ხესემხეთის დაუმთავრებელი განსასვენებელი. სილა და ქარი ლამობს მის დამარხვას, მაგრამ ეგვიპტის სიძველეთა დაცვის დეპარტამენტი, სადაც ღონეიმი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა, გულმოდგინედ იცავს და ასუფთავებს „დაკარგულ პირამიდას" *.

## პირამიდები ლიბიის ზეგანზე

საკარიდან კაიროში მიმავალმა ავტობუსმა ალაყაფის ჭიშკარში შეუხვია და მოლიან ეზოში გაჩერდა.

დუქანი, სადაც უნდა ვისადილოთ, მწვანეშია ჩაფლული. ნილოსის მხრიდან მონაბერ გრილ ნიავს ეკეკლუცებიან მარაოსმსგავსი პალმის ტოტები. შორს ჩამავალი მზის სხივები აფერადებენ ვეება პირამიდების რუხ სილუეტებს.

მავთულის ღობეს იქით კარგად გაფხვიერებულ შავ მიწაზე ჩიტებივით სხედან ახლად დარგული კომბოსტოს ჩითილები, ხოლო ცოტა მოშორებით მოყვითალო მწვანე ბუჩქებზე მთვარესავით ღვივის მწიფე პამიდორი. ნილოსის ლამით განაყოფიერებულ ამ მადლიან მიწას სიყვარულითა და მოკრძალებით ელოლიავებოდ-

* ღონეიმი ნილოსში დაიხრჩო 1959 წლის დასაწყისში. მან საკარის გათხრებს მიუძღვნა პოპულარულად დაწერილი წიგნი — სათაურით „დაკარგული პირამიდა". წიგნი თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე. მისი ქართული თარგმანი გამოქვეყნდა 1965 წელს.

ნენ ეგვიპტელები. ეს მიწა შავია და ამის გამო სამშობლოს „ქემის“ ეძახდნენ, რაც შავს ნიშნავს. ხოლო თავიანთ თავს „რემი-ენ ქემის“ — შავი მიწის ხალხს.

აღმოსავლეთის უძველესი ერები ეგვიპტეს „მისრს“ უწოდებდნენ. ეს სიტყვა აღნიშნავს მჭიდროდ დასახლებულ ადგილს, ქალაქს ან ქალაქებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ამ ნოყიერი მიწის წყალობით გაშენდა და აღმოცენდა ნილოსის სანაპიროზე. ცისფერი მდინარის ცივილიზაცია უკვე იმთავითვე აოცებდა სხვა ქვეყნის შვილებს.

ძველმა ბერძნებმა ამ ცივილიზაციის გვირგვინად დიდი პირამიდები მიიჩნიეს და მსოფლიოს შვიდ საოცრებათა რიცხვში პირველი ადგილი დაუთმეს.

ქრისტეს დაბადებამდე დიდი ხნის წინათ გადახმა და დაინგრა სემირამიდას დაკიდული ბაღები, რომელიც ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორ მეორემ ტერასებზე გააშენებინა თავისი მეუღლის — მიდიის მეფის ასულის პატივსაცემად. *

ძველი წელთაღრიცხვის 356 წელს პატივმოყვარე და გაიძვერა ჰეროსტრატემ, თავისი სახელის უკვდავსაყოფად, ცეცხლს მისცა არტემიდეს დიდებული ტაძარი, რომელიც ღმერთისა და ადამიანური ნიჭის სადიდებლად ხუროთმოძღვარმა ქერესფორმა ააგო ეფესში.

ძვ. წელთაღრიცხვის 278 წელს მოქანდაკე ჰარესმა როდოსის ყურეში აღმართა ჰელიოსის 36-მეტრიანი ქანდაკება. 567 წლის შემდეგ ეს ულამაზესი კოლოსი მიწისძვრამ ლოდებად დაახვავა როდოსის კუნძულზე. ასევე დაიღუპა ფიდიასის მიერ ოქროსა და სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი ზევსის ქანდაკება.

ძვ. წელთაღრიცხვის 280 წელს ალექსანდრიაში კუნძულ ფაროსზე სოსტრატ კნიდელმა ააგო 120 მეტრის ** სიმაღლის შუქურა. მაშინდელი მსოფლიოს ეს უმაღლესი ნაგებობა 17 საუკუნის განმავლობაში უნათებდა გზას ხმელთაშუა ზღვაში მოქარავნე, ალექსანდრიისაკენ მიმავალ გემებს და მერე, დროჟამისაგან დამძიმებული — მიწისძვრამ წყალში გადაისროლა.

XV საუკუნეში ჯვაროსნებმა დაანგრიეს და წმინდა პეტრეს

* მეფობდა ძვ. წ. 605–562 წწ.

** შუქურის სიმაღლე ზოგიერთი ავტორის მიხედვით 170 მ. იყო.

ციხე-სიმაგრის მშენებლობაზე გამოიყენეს სუროთმოძღვარ პითეუმისა და სატირომოსის მიერ ჰალიკარნასში აგებული მეფე მავზოლის დიდებული განსასვენებელი. ასე დაიღუპა მსოფლიოს ექვსი საოცრება. ამ საოცრებათა შორის ყველაზე უხნესს — ზევსის ქანდაკებას — გენიალური ფიდიასი რომ აქანდაკებდა, პირამიდები უკვე ღრმად მოხუცები იყვნენ, უდაბნოს ქართან ორმოათას ორასწლიანი ბრძოლა ჰქონდათ მოგებული და შემდეგ კიდევ ოცდახუთი საუკუნე ქროდნენ მის თავზე სილიანი ქარები.

კაიროდან გიზაში მიმავალი კაცი ხედავს, ლიბიის უდაბნოს მოყვითალო ფონზე როგორ იზრდებიან და მაღლდებიან ძველი მსოფლიოს ლეგენდარულ საოცრებათა შორის საღღეისოდ დედამიწის ზურგს შემორჩენილი სიზმარეული გიგანტები. მზის სხივები ოქროსფრად აფერადებენ მათ უზარმაზარ ფერდობებს და გონებას წვდება მეცნიერის აზრი, რომელმაც პირამიდები მიიჩნია ჯაჭვის უკანასკნელ შემაერთებელ რგოლად ადამიანისა და ბუნების მიერ შექმნილ კოლოსებს შორის. კაიროს მხრიდან, ზეგანის ძირში მისული კაცის წინ, აღიმართება ხეოფსის გრანდიოზული განსასვენებელი. იგი ჯერ კიდევ არ ჩანს მთლიანად. აღმართს შეუყვები და სილაშემონამქრული ფერდობების თავზე ზღაპრულად იზრდება ქვის უზარმაზარი მთა. შენ უკვე მის ძირში ხარ, აღფრთოვანებულიც და შეძრწუნებულიც. აქ სილის ნამცეცის ტოლიც კი აღარ ჩანხარ. კაცი ჭიანჭველას ემსგავსები, მაგრამ თავს იმით ინუგეშებ, რომ ამასვე გრძნობდნენ და მერე ხმამაღლა ამბობდნენ ყველაზე გულზვიადი ადამიანები. მათ შორის იყვნენ მეცნიერები, მწერლები და იმპერატორებიც კი. პირამიდები არის სიმბოლო ეგვიპტისა, სიმბოლო ღვთაებრივი ხელოვნებისა, და დიდი საკაცობრიო ცივილიზაციის დასაწყისისა. მათ წინაშე უძლური აღმოჩნდა დრო და ადამიანები არ თაკილობენ, ქედი მოიხარონ მარადისობის წინაშე.

ხეოფსის პირამიდა აშენებულია ორმილიონ-ნახევარი ბლოკისაგან.* ამბობენ, რომ პირველი რიგის ქვების წონა 15-30 ტონას

* ეს რიცხვი თითქმის არც ერთ წიგნში არაა ერთნაირად მითითებული. ზოგიერთი ავტორის აზრით იგი 2 300 000 ბლოკისაგანაა აშენებული, ზოგიერთი 300 000 000 — საც მიუთითებს. ყველაზე მართებული ჩანს ლაუერის მოსაზრება, იგი ბლოკების საშუალო სიმძიმედ იღებს 2,5 ტონას. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ ხეოფსის პირამიდა აშენებულია 2 600 000 ბლოკისაგან.

აღწევს, ხოლო აქ არც ერთი ქვა არ დევს ორტონა-ნახევარზე ნაკლები სიმძიმისა.

ადვილი წარმოსადგენი იქნება ამ ნაგებობის სიდიადე, თუ გავითვალისწინებთ, რომ სიმაღლეზე დაწყობილი ერთი მილიონი ვაგონის ფურცელი 14-სართულიანი სახლის სახურავს უტოლდება. ხეოფსის პირამიდას ირგვლივ რომ შემოუარო, კილომეტრზე მეტი უნდა განვლო. მისი ერთი ფუძის სიგრძე 230 მეტრს უდრის, ხოლო სიმაღლე — 146 მეტრი იყო. *

4 ათასი წლის განმავლობაში ასეთი სიმაღლის არც ერთი ნაგებობა არ აღუმართავთ დედამიწის ზურგზე.

გვიანფეოდალურ ხანაში ევროპაში აგებულმა რამდენიმე ტაძრის გუმბათის წვერმა მიაღწია 140 მეტრს. ხეოფსის პირამიდას ორმოცდათორმეტი ათასი კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. ამ ვეებერთელა ფართობზე დალაგებული ყოფილა ქვის წყობის 220 რიგი. პირველი რიგის ქვის ბლოკების სიმაღლე 1,5 მეტრს უდრის, მეორე რიგისა 1,25 მეტრს, ხოლო ყველაზე მცირე ზომის ბლოკების სიმაღლე 1 მეტრსა და 55 სანტიმეტრს შორის მერყეობს.

ქვების ეს უზარმაზარი მასა შვიდ-ნახევარ მილიონ ტონას იწონის. ჩვენს დროში ვინმეს რომ მოენდომებინა მისი სხვა ადგილზე გადატანა, ამისათვის საჭირო იქნებოდა 7 ათასი მძიმე წონის მატარებლის შემადგენლობა ან ერთი მილიონი თვითმცლელი.

ხეფრენის პირამიდა ზომებით ოდნავ ნაკლებია, მისი ერთი ფუძის სიგრძე 215 მეტრია, ხოლო სიმაღლე — 143 მეტრი. **

ამ გიგანტების გვერდით მდგარი მიკერინასის პირამიდა კიდევ უფრო მცირე ზომისაა. მისი სიმაღლე 66 მეტრს აღწევს, ხოლო ერთი ფუძის სიგრძე — 108 მეტრს.

ნაპოლეონმა გამოითვალა სამივე პირამიდის ქვების რაოდენობა და დაასკვნა, რომ ამ ქვებისაგან შესაძლებელი იქნებოდა

---

* ხეოფსის პირამიდის სიმაღლე ამჟამად 137 მეტრია.

** პირამიდაზე შექმნილ აუარებელ სამეცნიერო ლიტერატურაში ტექნიკური მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა. ამ მხრივ შედარებით ზუსტია ფრანგი მკვლევარის ჟან-ფილიპ ლაუერის წიგნი „Загадки египетских пирамид". იგი ფრანგულად 1948 წელს გამოვიდა, ხოლო რუსულად — 1966 წ.

საფრანგეთისათვის გარს შემოევლოთ სამი მეტრის სიმაღლისა და ოცდაათი სანტიმეტრის სისქის კედელი. როგორც ლაუერი წერს: „ადამიანს ანცვიფრებს არა მარტო ნაგებობათა გრანდიოზულობა, არამედ მშენებლობის დროს გულმოდგინედ შესრულებული წვრილმანი დეტალები. დიდი პირამიდების კედლების წყობა ყველა დროის საამშენებლო ტექნიკის ნამდვილი შედევრია."

ინგლისელმა არქეოლოგმა ფლინდრეს პიტრიმ გამოიანგარიშა, რომ ქვების შეერთების ადგილზე ნაწიბურების სისქე, რომელიც ერთი შეხედვით გაჩხაპნილ სწორ საზებად გვეჩვენება, ხოლო ზოგჯერ სრულებით არ ჩანს, ცერა თითის 1/50 ნაწილს ან ნახევარ მილიმეტრს უდრის. ძნელი წარმოსადგენია ის გულმოდგინება და მშენებლობის მაღალი ტექნიკა, რომლის წყალობითაც მძიმე წონის ლოდები თითქმის მიკროსკოპული სიზუსტით არის ერთმანეთზე მისადაგებული. ასტრონომი პიაც სმიტი ამ სამუშაოს ადარებდა შოტლანდიელი ოსტატების შრომას, რომლებიც ოპტიკის ზუსტ ხელსაწყოებს ქმნიდნენ.

პირამიდა მოპირკეთებული იყო ნილოსის გაღმა მხრიდან მოტანილი ტურის რძისფერი კირქვის ასთხუთმეტიათას სუთასი ფილით. საუკუნეების განმავლობაში ამტვრევდნენ, უმოწყალოდ ძარცვავდნენ პირამიდის სამოსს. ოდესღაც თეთრად მოქათქათე ღვთიურ ნაგებობას ახლა ჟამის ფერი გადაჰკრავს და უდაბნოს სივრცეში უთავჟამოდ ნახეტიალები, შემოძარცვული გოლიათივით დგას ლიბიის ზეგანზე.

პირველი უცხოელი მეცნიერი და მოგზაური, ვინც პირამიდებს ესტუმრა, ჰეროდოტე იყო. იგი ამ ორიათას ხუთასი წლის წინათ დიდი პატივით მიიღეს ეინრეს სწავლულებმა და გიზაში გამგზავრებულ ბერძენს თან გიდი აახლეს. ეს კაცი თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებდა და სტუმარს მშობლიურ ენაზე ესაუბრებოდა. ხეოფსის პირამიდას მაშინ ჯერ კიდევ შემორჩენილი ჰქონდა თეთრი პერანგი და ქვის ფილები. უამრავი წარწერით იყო აჭრელებული.

ჰეროდოტე ამბობს: „მე კარგად მახსოვს, ერთი წარწერის წაკითხვის შემდეგ მთარგმნელი მეუბნებოდა, რომ მუშების გამოსაკვებად მხოლოდ ნიორზე, ხახვზე და ბოლოკზე 1600 ტა-

ლანტი * დაიხარჯა. თუ ეს სინამდვილეს შეეფერება, მაშინ რამდენი უნდა დახარჯულიყო მუშების სხვა საკვებზე, ტანსაცმელზე და რკინის იარაღებზე". ისტორიის მამამ არ იცოდა, რომ ხეოფსის პირამიდის სარკესავით სწორად ჩამოთლილ კირქვის არც ერთ ფილას არ ჰქონდა შეხებული ფოლადის საჭრეთელი და რომ გიზას პირამიდების აღმართვის შემდეგ ათასზე მეტმა წელმა განვლო, ვიდრე რკინას გამოიგონებდნენ: ფოლადის იარაღების მჭედლებად ბიბლიაში ქართველური მოდგმის ტომები — თუბალები არიან დასახელებული. ახლა ეგვიპტის უძველესი ისტორიის მაგალითებზე კარგად მტკიცდება, რომ ბიბლიური თქმულებანი უმეტეს შემთხვევაში ისტორიულ ფაქტებს ემყარება და ვინ იცის, ძველ მსოფლიოში სახელგანთქმული რვალისა და ფოლადის მჭედელ თუბალ-კაენის ამბავმა, იქნებ ეგვიპტის გზითაც მიაღწია ძველ ებრაელთა საღმრთო წიგნის შემქმნელთა ყურამდე. რაც შეეხება პირამიდების სააღმშენებლო იარაღებს, ისინი ქვისა და სპილენძისაგან იყო დამზადებული.

საკარაში და გიზაში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მაგარი ქვის ჯიშისაგან გაკეთებული სფეროსებური ფორმის დიდი უროები, ხისტარიანი ქვის ჩაქუჩები, კაჟის საფხეკები, ორლესული კაჟის დანები, ძელქვის ძელში ჩამაგრებული კაჟის ბურღები და ქვის სალესები. ეგვიპტელები გრანიტსა და მარმარილოს ადვილად ჭრიდნენ სპილენძის მავთულით. მავთულს ქვაზე უსახუნებდნენ, კვარცის ქვიშას აყრიდნენ და წყლით ასველებდნენ. ამ ხელსაწყოს ქვიშის ხერხი ერქვა. იგი იმდენად სრულყოფილი იყო, რომ ხერხისაგან გაჭრილ მარმარილოს გაპრიალება აღარ სჭირდებოდა. გიზაში მჭრელპირიანი სხვადასხვა ფორმისა და სხვადასხვა დანიშნულების სპილენძის სატეხებია აღმოჩენილი, რომელთა კვალი ახლაცაა შემორჩენილი გრანიტის ლოდებზე. კაიროს მუზეუმში გამოფენილია ადრეული მეფობის ხანის ხისტარიანი ცალპირა ნაჯახები, — სახვრეტელები და ქვის სათლელი ეჩოები. ძირითადად ამ იარაღით კეთდებოდა უნატიფესი ალებასტრის ჭურჭლები, ხის, გრანიტისა და მარმარილოს ქანდაკებათა მსოფლიო შედევრები. ამ იარაღებით მარმარილოს ობელისკზე

* ატიკური ტალანტი უდრის 26, 2 კგ.

გასაოცარი ელასტიურობით პკვეთდნენ იეროგლიფებს და უზუსტეს გეომეტრიულ სხეულებად ამუშავებდნენ პირამიდებისა და ტაძრების სააშენებლო ლოდებს. ძველი წელთაღრიცხვის ოცდამეშვიდე საუკუნეში ასე შეიარაღებული ასიათასი კაცი ოცი წლის განმავლობაში აშენებდა ხეოფსის პირამიდას.

„როდესაც ადიდებული ნილოსი კალაპოტიდან გადმოვიდოდა და მისი ლამიანი, ყავისფერი წყალი დაფარავდა ეგვიპტელთა ყანებს, ზედამხედველები ათასობით მიწის მაშვრალთ ერეკებოდნენ გიზას ზეგანზე" და იქ გამუდმებით ისმოდა მუშათა ღრიანცელი ჰეროდოტე გადმოგვცემს, რომ მუშებს ევალებოდათ ქვები მოეტანათ ქვის სამტეხლოებიდან, რომელიც არაბეთის ქედზეა ნილოსის გაღმა მხარეს. იქიდან მდინარეზე გემებით გადმოტანის შემდეგ სხვა ეგვიპტელებს ევალებოდათ ლიბიის ზეგანისაკენ წაეღოთ იგი. ამრიგად, წელიწადში სამ თვეს შეუსვენებლად მუშაობდა ასიათასი კაცი. ადამიანები ათ წელიწადს იტანჯებოდნენ, რომ გზა გაეკეთებინათ ქვების გადასაზიდად. ვფიქრობ, ამ გზის გაყვანა პირამიდის აშენებაზე ნაკლებ სამძიმო არ იქნებოდა. მისი სიგრძე 5 სტადიონია, სიგანე 10 ორგიონი,* ხოლო ყველაზე მაღალ ადგილას იგი 8 ორგიონს აღწევს. გზის ორივე მხარეს აღმართულია გამოსახულებებით შემკული გათლილი ქვის კედლები. ახლა გზა აღარ არსებობს, კედლები დაქცეულია და ნაკვალევიც წაშლილია, მაგრამ კაცს შეუძლია წარმოიდგინოს ის ვეებერთელა ლოდები, რომლებსაც გარს ახვევიან შავად მბზინავი დაკუნთული მონები, — ისინი ხმამაღლა პყვირიან და ერთხმად იმეორებენ თავიანთი ბრიგადების სახელებს. „ხეოფსისათვის" ისმის ლოდების ბაგაბუგი და გიზას ზეგანზე საფუძველი ეყრება მეფის განსასვენებელს, რომელსაც ფარაონი უწოდებს „ახუტ ხუფუს", რაც „ხეოფსის ჰორიზონტს" ნიშნავს.

მაგრამ, როგორ აჰქონდათ ეს მძიმე ქვები საძირკვლის ზემოთ მეტრ-ნახევრიდან ასორმოცდაექვსი მეტრის სიმაღლემდე? როგორ აღმართეს მსოფლიოს პირველი უმაღლესი ნაგებობა?

უხსოვარი დროიდან დღემდე სხვადასხვა სპეციალობისა და

---

* სტადიონი და ორგიონი ძველბერძნული სიგრძის საზომი ერთეულებია. ოლიმპიური სტადიონი უდრიდა 184, 97 მ., საგზაო-157,5 მ., ხოლო ორგიონი — 1, 85 მ.

სხვადასხვა ეროვნების მეცნიერები ცდილობდნენ და ცდილობენ პასუხი გასცენ ამ კითხვაზე. ძველთაგანვე არსებობდა ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი, ერთი ეკუთვნოდა ჰეროდოტეს, მეორე — დიოდორე სიცილიელს. ჰეროდოტე წერს, რომ უდიდესი პირამიდა საფეხურებად შენდებოდა. აღიმართებოდა იგი ასე, საფეხურების დამთავრების შემდეგ დანარჩენ ქვებს ეზიდებოდნენ ხის მოკლე ნაჭრებისაგან გაკეთებული მანქანებით. თავდაპირველად მიწიდან ქვები აჰქონდათ პირველ რიგზე; აქ დადებული თითოეული ქვა გადაჰქონდათ სხვა მანქანაზე, რომელიც პირველ საფეხურზე იდგა. შემდეგ მეორე მანქანით გადაჰქონდათ მეორე რიგში. საერთოდ კი იმდენი მანქანა იყო, რამდენიც საფეხური ჰქონდა პირამიდას, ანდა — ერთი, რომელიც ადვილად გადაჰქონდათ ერთი რიგიდან მეორეზე. ორ ხერხზე ვლაპარაკობდით იმიტომ, რომ ასე გვქონდა გაგონილი. პირველ რიგში აპირკეთებდნენ პირამიდის ზედა ნაწილს, შემდეგ მომდევნოს და ბოლოს ქვედა ნაწილს, რომელიც მიწაზე დევს.

ჰეროდოტესაგან განსხვავებით, დიოდორე სიცილიელი ამტკიცებდა, რომ ეგვიპტელებს არ ჰქონდათ მანქანები. ისინი პირამიდებს აშენებდნენ მიწაყრილებით, რომლებიც კედლებთან ერთად იზრდებოდა და რომლებზედაც მიაგორებდნენ საშენ ქვებსო! ჩვენს დროში ორივე ბერძენს უამრავი მომხრე და მოწინააღმდეგე ჰყავს.

სამშობლოდან კარგა ხნით გადახვეწილმა ბევრმა ევროპელმა და ამერიკელმა მეცნიერმა გაატარა ცხოვრების დიდი ნაწილი პირამიდების ძირას. ეგვიპტის ძეგლებზე ფანატიკურად შეყვარებულმა ამ ღრმად განათლებულმა და ნიჭიერმა ხალხმა ცოტა მელანი როდი დახარჯა, რომ პირამიდების მშენებლობის საიდუმლო ამოეხსნათ. რთული მათემატიკური გამოთვლებით, საამშენებლო წესების ცოდნით და მათი მოშველიებით თავიანთ მოწინააღმდეგე კოლეგებს ისინი სასტიკად უსწორდებიან და, როგორც იტყვიან, ერთმანეთის მოსაზრებებიდან ქვას ქვაზე აღარ ტოვებენ. მკვლევარები სადღეისოდ ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი: მექანიზმების მომხრენი, რომლებსაც ჰეროდოტეს მიმდევარნი შეიძლება ვუწოდოთ, და მიწაყრილების მომხრენი, რომლებიც დიოდორე სიცილიელის მოსაზრებებს იცავენ და აღრმავებენ. წაიკითხავ ერთ-ერთი ამ ჯგუფის რომელიმე მეცნიერის წიგნს და

შენთვის ნათელი გახდება, თუ როგორ აშენებდნენ პირამიდებს. მაგრამ როდესაც მის საწინააღმდეგო დებულებას გაეცნობი, უკვე აღარ იცი, რა ხერხს მიმართავდნენ ძველი ეგვიპტელები პირამიდის მშენებლობის დროს.

ორიგინალური თეორია წამოაყენა გერმანელმა ინჟინერმა ლ. კრონმა. საკმაოდ ზუსტი და დამაჯერებელი მათემატიკური გაანგარიშებით იგი უარყოფს მიწაყრილების თეორიას და ასკვნის, რომ ასეთი სამუშაოს შესრულება უფრო მეტ დროს, ენერგიასა და ხარჯებს მოითხოვდა, ვიდრე თვით პირამიდის მშენებლობაო. მეცნიერი გვთავაზობს ე. წ. „შადუფის" ვარიანტს. შადუფი სხვა არაფერია, თუ არა იმერეთში ჭების წინ დასობილი ორკაპ ბოძზე გადადებული ვეებერთელა ხის ძელი, რომლის წვერზე ჯაჭვით მიბმული სარწყულით ჭიდან წყალს იღებენ. ჩვენში ამ მარტივ მექანიზმს ოწინარს უწოდებენ, ევროპაში კი ეგვიპტურ წეროს ეძახიან. კრონი წარმოგვიდგენს ამ მექანიზმის შედარებით სრულყოფილ ვარიანტს, რომლის საშუალებითაც მშენებლებს ბლოკები აჰქონდათ დიდ სიმაღლეზე. მეცნიერის აზრით, ეს მოწყობილობა შედგებოდა გრძელი თავსისაგან. თავსი გადაკიდებული იყო შვეულად აღმართულ საყრდენზე, იგი ტრიალებდა საყრდენის გარშემო ჰორიზონტალურად და ვერტიკალურადაც. პირამიდის საფეხურზე დამაგრებულ ამ მარტივი მექანიზმის ბერკეტის მოკლე მხარეს ბლოკს აბამდნენ, გრძელ მხარეს მუშები თოკით ძირს ექაჩებოდნენ. ასე აჰქონდათ სააშენებლო მასალა საფეხურიდან საფეხურამდე.

ფრანგი მეცნიერი ლაუერი, რომელიც სუროთმოძღვარი იყო და თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი პირამიდების შესწავლას მოანდომა, დამაჯერებლად უარყოფს კრონის მოსაზრებას. იგი ემხრობა მიწაყრილების თეორიას, რომელიც თავის შესანიშნავ წიგნში „ეგვიპტის პირამიდების შესახებ" მოცემული აქვს აგრეთვე ედვარდსისს. სააშენებლო გზა „იზრდებოდა პირამიდის კედლებთან ერთად — სიმაღლეშიც და სიგრძეშიც, ამასთან, ყრილის ზედა ნაწილი ვიწროვდებოდა პირამიდის კედლების შევიწროების შესაბამისად. თუ პირამიდის დახრილობის კუთხე უდრიდა 52°-ს, ყრილის გვერდებიც 52°-ით იყო დახრილი, რათა ყრილი არ ჩამოქცეულიყო".



ფარაონი სეფრენი. (ფრაგმენტი).



სასელმწიფო მოხელის კაპერას ქანდაკება. ადრეული მეფობის ხანა.



ფარაონი მიკენირასი ღვთაებებს
შორის. ძვ წ. XXVII ს.



ფარაონი ეხნატონი
ძვ. წ. XIV ს.



დედოფალი ნეფერტიტი.
ძვ. წ. XIV ს.



ტუტანხამონის ოქროს ქანდაკება. ძვ. წ. XIV ს.



ალებასტრის ლარნაკი ტუტანხამონის აკლდამიდან.

პირამიდების ამ სერხით მშენებლობა უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, რადგან არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ასეთი მიწაყრილების ნაშთები *, სის მორები და სათრეველები, რომლის საშუალებითაც ქვებს მიაჩოჩებდნენ პირამიდის კედლებზე მიბჯენილ დიდ სამშენებლო გზაზე. როდესაც ნაგებობის ქვებით მშენებლობა მთავრდებოდა, ზემოდან ქვემოთ იწყებოდა თეთრი ფილებით მისი მოპირკეთება და, შესაბამისად, მიწაყრილების თანდათანობით შემოცლა. ასე იმარხებოდა და შემდეგ ისევე ამოდიოდა მიწიდან ზღაპრული ნაგებობა. ლურჯი ცის ფონზე თეთრად მოქათქათე მას კედლებს სამუდამოდ ემშვიდობებოდნენ მშენებლები. ისინი მძიმედ მიიწევდნენ ძირს და შემდეგ გაოცებული შეჰყურებდნენ საკუთარი ხელით შექმნილ ღვთიური ფარაონის გრანდიოზულ განსასვენებელს.

კაცი, რომელიც გიზას პირამიდებს უყურებს, გრძნობს, რომ მისი მფლობელი სიცოცხლეში არავისგან არაფრით არ იყო შეზღუდული, განუსაზღვრელი იყო მისი სურვილი და ძალაუფლება. იგი იყო მპყრობელი ქვეყნისა, ვითარცა კაცი და ვითარცა ღმერთი. ფარაონი ითვლებოდა ცოცხალ ღვთაებად, კეთილ ღმერთად. სწორედ ამის გამო ეგვიპტელებს უფლება არ ჰქონდათ, მოეხსენებინათ იგი, როგორც კაცი და როგორც მეფე. მის სახელს წარმოთქვამდნენ არა პირდაპირ, არამედ ქარაგმულად. როდესაც ლაპარაკი იყო მეფეზე, ახსენებდნენ სახლს, სადაც იგი ცხოვრობდა. მაშასადამე, „დიდ სახლს", „ფეროს". ამ ეგვიპტური სიტყვის მიხედვით ჯერ ძველმა ებრაელებმა, ხოლო შემდეგ ბერძნებმა ნილოსის ქვეყნის მეფეებს უწოდეს „ფარაონები". მეოთხე დინასტიის ** მეორე ფარაონმა ხეოფსმა, რომელიც გარდაცვალებიდან ორიათას ხუთასი წლის შემდეგ ბერძნებმა მონათლეს ამ სახელით, ხოლო სინამდვილეში ხუფუ ერქვა, საკუთარი ნეშტის გასაპატიოსნებლად აღმართა მსოფლიოს ეს უდიდესი ნაგებობა.

ძველ ეგვიპტელთა რელიგიური წარმოდგენის მიხედვით, ადა-

---

* გიზაში არქეოლოგებმა ხეფრენის დასაკრძალავი ტაძრის მახლობლად იპოვეს მიწაყრილის ნაშთები, რომლის სიგანე 10 მ., ხოლო დახრილობის კუთხე 4,5°-ხს უდრიდა.

** IV დინასტიის ფარაონები მეფობდნენ ძვ. წ. 2680 წლიდან 2565 წლამდე. ამ დინასტიის პირველი ფარაონი იყო ხეოფსის მამა სნოფრუ.

მიანი დაბადებიდანვე განიყოფებოდა „ბა"-დ, სულად, და „კა"-დ, ორეულად. კა იყო მისი მფარველი ანგელოზი (გენია). გარდაცვალების შემდეგ იგი მზრუნველობდა ადამიანს, რომელიც კვლავ აღსდგებოდა და მიწიერ სიცოცხლეს აგრძელებდა ქვენა სოფელში, სადაც დღიური ნათების შემდეგ მზე ჩადიოდა. იმქვეყნიური ცხოვრებისათვის კი საჭირო იყო ფარაონის ნეშტი სამუდამოდ ყოფილიყო დაცული. ამისათვის აშენებდნენ პირამიდებს. იქ შეჰქონდათ ფარაონის დაბალზამირებული სხეული, რაც აგრეთვე აუცილებელი იყო სულის შესანარჩუნებლად. სწორედ ამიტომ ეგვიპტელებმა მარილებისა და ბალახეული წამლებისაგან შექმნილი ნივთიერებით მიაღწიეს ადამიანის სხეულის ისეთ სრულყოფილ ბალზამირებას, რომ კაიროს მუზეუმში დღესაც ინახება ოთხიათასი წლის წინათ გარდაცვლილი ადამიანების კარგად შენახული. მუმიფიცირებული გვამები. ჰეროდოტე მოგვითხრობს ბალზამირების სამ წესზე. პირველი ძალზე ძვირად ფასობდა და მხოლოდ მეფეებისათვის იყო ხელმისაწვდომი, მეორეთი საშუალო ფენა სარგებლობდა, ხოლო მესამე — იმათთვის იყო განკუთვნილი, ვისაც არ გააჩნდა აკლდამები და შავი მიწის ზოლს გადაღმა, ქარისაგან გამოფიტულ სილიან ნიადაგში იმარხებოდნენ. ბევრი მათგანი დღესაც მშვიდად განისვენებს მშობლიურ მიწაში, ხოლო ფარაონების ნეშტი დიდი ხანია მათ სიმდიდრესთან ერთად გაქრა. პირამიდების სიღრმეებში, გრანიტით შემოსილი დარბაზების იატაკზე მდგარ თავახდილ და დაცარიელებულ სარკოფაგებს ახსოვთ უდიდესი საიდუმლოებით მოცული გასაოცარი ამბები, მაგრამ სარკოფაგები დუმან.

პირამიდების აღმოსავლეთით, უდაბნოსა და ნილოსის მწვანე ველის გასაყარზე, ყოველი პირამიდის ძირში აღმართული იყო ტაძრები. სადღეისოდ მხოლოდ ერთი მათგანის ნანგრევებია შემონახული. ეს ტაძარი შუა პირამიდას ეკუთვნის. აქედან მიემართებოდა კედლებით შემოზღუდული გზა, რომელიც უკავშირდებოდა მეორე ზედა ტაძარს, რომელიც პირამიდის კედლებთან იდგა. გათხრების შედეგად არქეოლოგმა ნოლშერმა შეძლო, აღედგინა მისი პირვანდელი სახე. უზარმაზარი ნაგებობა შედგებოდა სხვადასხვა დანიშნულების დიდი დარბაზებისაგან, რომელშიც აღმართული იყო ქვის გრანდიოზული სვეტები და ქანდაკებები. აქ

იმართებოდა საკულტო-რელიგიური ცერემონიალი. მსხვერპლს წირავდნენ ფარაონის სახელზე და იქვე ინახავდნენ გარდაცვლილი მეფისათვის განკუთვნილ აუარებელ სიმდიდრეს. ქვედა ტაძარში ორი თვის განმავლობაში ესვენა ფარაონის გვამი, რომელსაც უდიდესი საიდუმლოებით აბალზამებდნენ ეგვიპტელი ქურუმები. ორმოცდაშვიდი საუკუნის წინათ აღმართული წმინდა ნაგებობის ნანგრევები პირამიდების ძირში პატარა ხუხულად გვეჩვენება. მაგრამ როდესაც კედლებიდან გადმოცვენილ, დარბაზებში ჩახერგილ ლოდებზე აფოფხდები, გაკვირვებისაგან დამუნჯდები. აქ ვერ გაბედავ, აღფრთოვანება გამოხატო, რადგან ვერ მიმხვდარხარ, ადამიანი, რომელიც რკინის იარაღსაც კი არ იცნობდა, ე. წ. ხპილენძ-ქვის ხანაში ცხოვრობდა, როგორ ახერხებდა ორასი ან სამასტონიანი ქვის ბლოკებისაგან კონსტრუქციული ნაგებობის აღმართვას. ამ ტაძარში აგდია არქეოლოგ ნოლშერის მიერ გათხრების შედეგად აღმოჩენილი ასსამოცდაათი კუბმეტრი მოცულობის კარგად გათლილი გრანიტის ლოდი, რომელიც 500 ტონას იწონის. ჩვეულებრივი კონსტრუქციებისთვის გათვალისწინებული ვერც ერთი ამწე ამ მასას დედამიწის პირს ვერ მოაცილებდა. ეგვიპტელები ფლობდნენ დიდი სიმძიმეების შორეულ მანძილზე გადატანის გასაოცარ ტექნიკას *. ხეფრენის ტაძარში ყრია ტურადან და ასუანიდან მოტანილი გრანიტისა და კირქვის ლოდები, რომელთა წონა 20-დან 40 ტონამდე აღწევს. სოლო ზოგიერთი პირამიდის დასაკრძალავი დარბაზის გადასახურავი ფილები, რომლებიც შვიდასი კილომეტრის მანძილიდანაა მოტანილი, 100 ტონაზე მეტს იწონის. ასეთი დიდი მოცულობისა და კარგად დამუშავებული ქვებით არის ნაშენი არა მარტო ფარაონის ტაძრები და განსასვენებელი, არამედ მათი ქვეშევრდომების აკლდამები და

---

* ქვის დიდი მასები გადაჰქონდათ წყალზე ტივებით, სოლო ხმელეთზე სათრეველებით: ერთ-ერთ რელიეფზე გამოსატულია XII დინასტიის მონარქის ჯასთუსფოთფის ქანდაკების გადატანა. აღწერილობიდან ჩანს, რომ ეს ქანდაკება სიმაღლით 13 წყრთას აღწევდა და 60 ტონას იწონიდა. ქანდაკებაზე გამობმულ ოთხ ბაწარს ეწევა 88 მონა. ერთი კაცი კოლოსის ფეხებთან დგას, გზას ასველებს, რომ სათრეველა მიწაზე ადვილად გასრიალდეს, დანარჩენ სამ კაცს ჩაფებით წყალი მოაქვთ, სოლო მათ უკან კიდევ სამი ადამიანი დგას მხარზე გადებული ხის მორებით. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მორებს საგორავებად იყენებდნენ.

მასტაბები, რომლებიც ასეულობითაა გაფანტული დიდი პირამიდების გარშემო.

გიზას ზეგანს მკვდართა ქალაქს ეძახიან. ამ „ქალაქში" მარხია ადამიანები, რომელთა ხსენებაც კი აღარაა დღეს, მაგრამ საფლავებსა და საფლავებს შორის, უდაბნოს მტვრით დაფარული ლოდების მიღმა, განისვენებენ ისინი, ვინც ცივილიზაციის სათავეებთან იდგნენ. ამ ადამიანთა დიდებამ საუკუნეებს გაუძლო და შთამომავლობა დღესაც მოკრძალებით წარმოთქვამს მათ სახელებს. აქ, გიზას ზეგანზე, საკმაოდ მდიდრულად და ლამაზად ნაგებ მასტაბაში განისვენებდა დიდი პირამიდის შემოქმედი ხუროთმოძღვარი ხემიუნი. ფარაონების გვარიდან გამოსულმა ამ გულზვიადმა გენიოსმა * ეგვიპტის მწვანე ველის მიღმა, ქარ-სიცხით გავარვარებულ საკარისა და გიზას ზეგანზე, განვლო დიდი და ძნელად გასაღწევი გზა — უბრალო შეგირდიდან ფარაონის ხუროთმოძღვრამდე. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდებს, ყველას, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ეგვიპტური ხუროთმოძღვრების თავისებური სკოლა უნდა გაევლო. მაღალი საფეხურისაკენ მხოლოდ რჩეულები იკვალავდნენ გზას. დიდებულთა გვარიდან გამოსული პეპი პირველის და ნეფერიკრას პირამიდების ხუროთმოძღვარ ნეხებუს აკლდამაზე ავტობიოგრაფიულ წარწერაში ნათქვამია: „მე ვიყავი მორჩილი ჩემი ძმის, რომელიც სამუშაოებს ხელმძღვანელობდა. მე ვაკეთებდი ჩანაწერებს და ვატარებდი მის საწერ ნივთებს; როდესაც ის ზედამხედველად დანიშნეს, მე დამქონდა მისი საზომი ჯოხი, როდესაც იგი მშენებლობის უფროსად დანიშნეს, მე მისი თანაშემწე ვიყავი, ხოლო როდესაც იგი მთლიანად მშენებლობის უფროსად დანიშნეს, ვასრულებდი ყველაფერს, რასაც იგი მიბრძანებდა". მხოლოდ ამის შემდეგ მიუნდვიათ ნეხებუსთვის,—დამოუკიდებლად ესელმძღვანელა არსის მშენებლობისათვის. როგორც ჩანს, შემდეგ მან საკუთარი ნიჭის წყალობით მიაღწია განსაკუთრებულ წარმატებას და ფარაონის მთავარ ხუროთმოძღვრად მიიწვიეს. პროექტი შეადგინა და პირამიდის მშენებლობა დაიწყო; ამ გრანდიოზული ნაგებობის დამთავრებას ბევრი აღარაფერი უკლდა, როცა ფარაონმა მისი დათ-

* ხემიუნი იყო IV დინასტიის პირველი ფარაონის სნოფრუს შვილიშვილი, ხეოფსის ძმის ნეფერმარტას ვაჟიშვილი.

ვალიერება მოისურვა. მეფეს მოეწონა საკუთარი განსასვენებელი და ხუროთმოძღვარს სოტბა შეასხა, მაგრამ ქება საბედისწერო აღმოჩნდა. მღელვარებისაგან ნესებუმ კონება ლაკარგა და, მიუხედავად იმისა, რომ ფარაონმა მთავარ ექიმს გამოუძახა, ხუროთმოძღვარს ვეღარაფერი უშველეს, იგი სიხარულისაგან გარდაიცვალა.

ეჭვს გარეშეა, ასეთივე ფანატიზმით იყო შეპყრობილი ხემიუნიც. ამ კაცის ნიჭსა და ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა, მან პირველმა შექმნა კლასიკური პირამიდის განუმეორებელი ნიმუში და კაცობრიობას, ლიბიის ზეგანზე მხაიფლაოს მარადიულ ნაგებობასთან ერთად, დაუტოვა საკუთარი სახელი. ხუროთმოძღვრის ხსოვნას ინახავს გიზაში აღმოჩენილი მისი ქანდაკება, რომელსაც ხელოვნებათმცოდნეები ეგვიპტის ადრეული სამეფოს სკულპტურის შედევრად თვლიან. ეს გასაკვირი არ არის. ხუროთმოძღვარს, რომელიც გამოსული იყო მაღალი წრიდან და ფარაონის შემდეგ ითვლებოდა უპირველესად და „ერთადერთ ხემარად", არ გაუძნელდებოდა, საკუთარი პორტრეტის შესაქმნელად ყველაზე ნიჭიერი მოქანდაკე მოეწვია მეფის სახელოსნოდან. იგი ზის ქვის სარეცელზე შეურყეველი პოზით, ამ კაცის გამოხედვაში იგრძნობა ნებისყოფა, ნიჭიერება და ფანატიზმი. ხემიუნის ყველაზე ღირსეული მემკვიდრეები იყვნენ მერიბი და დებხენი.

დებხენიმა ააშენა მენკაურას (მიკერინოსის) პირამიდა, ხოლო მერიბი, რომელიც ხეოფსის შვილი იყო, ხეფრის (ხეფრენი) პირამიდის ხუროთმოძღვრადაა მიჩნეული.

ძველი წელთაღრიცხვის ოცდამეშვიდე საუკუნეში დაახლოებით 60 წლის მანძილზე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კაცობრიობა თავის ყრმობის ასაკში შედიოდა, ამ სამი გენიოსის ხელმძღვანელობით გიზას ზეგანზე მუშაობდნენ განათლებული ხუროთმოძღვრები, ინჟინრები, ტოპოგრაფები, გეომეტრები, ასტრონომები. მათ არ გააჩნდათ რთული საინჟინრო მექანიზმები და ზუსტი ტოპოგრაფიული ხელსაწყოები. ისინი არ იცნობდნენ ასტრონომიულ ტელესკოპებსა და თეორიულ გეომეტრიას, მაგრამ დღემდე გამოუცნობი საშუალებებით ასდენდნენ რთულ საამშენებლო გაანგარიშებებს. ასტრონომიის კარგ ცოდნას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ გიზას პირამიდები უდიდესი სიზუსტით არის დამხრობილი. ხეოფსის პირამიდის გადასრა სამხრეთიდან ჩრდილოე-

თისაკენ არ აღემატება 3,6°. ასეთი სიზუსტის დაცვა მხოლოდ თანამედროვე ოპტიკური ხელსაწყოების მეშვეობითაა შესაძლებელი. როგორც ჩანს, უკვე პირამიდების მშენებლობის ხანაში ეგვიპტელებისათვის კარგად იყო ცნობილი ცდომილთა განლაგება და მათი მოძრაობის გზები.

პირამიდები იმდენად რთულადაა ნაგები, რომ ჩვენს დროშიც კი მრავალი დარგის მეცნიერებს საშუალებას აძლევს, ფანტასტიკური თეორიები შექმნან მათ შესახებ. ეჭვს გარეშეა, ეს თეორიები ბევრად აღემატება პირამიდების მშენებელთა წარმოდგენას სამყაროს აგებულებაზე. ბიბლიური, თეოსოფიური, ასტრონომიული, მათემატიკური თეორიის შემქმნელები და მიმდევრები არაფერს თაკილობენ და ზოგჯერ ამ ნაგებობის ზომებსაც კი ამახინჯებენ, რომ საკუთარი გაანგარიშების წყალობით დაამტკიცონ მისი ღვთიური წარმოშობა ან მიიჩნიონ მსოფლიოს უძველეს ობსერვატორიად. მე არ ვაპირებ ამ ავტორთა მოსაზრებების განხილვას, მაგრამ მათი ფანტაზია ზოგჯერ იმდენად მდიდარია, რომ ზოგიერთი ფაქტი მკითხველს დააინტერესებს.

ბიბლიური თეორიის ავტორები ჯ. ტეილორი, პ. სმიტი დევიდსონი, მ. ედგარი და სხვები ამტკიცებენ, რომ ეგვიპტელებს ჰქონდათ წმინდა წყრთა, ე. წ. პირამიდალური წყრთა, რომელიც ახლო იყო ინგლისურ დიუმთან * და რომელიც ერთი მეასედი მილიმეტრის სიზუსტით შეადგენდა დედამიწის პოლარული რადიუსის ერთ მეათედ მემილიონედ ნაწილს. ამ მეტრის საშუალებით ეგვიპტელები ანგარიშობდნენ დედამიწის ღერძის სიგრძეს, რაც შეადგენდა 500 000 000 წყრთას. ავტორები არ უარყოფენ, რომ ეგვიპტელებს შეუძლებელია წარმოდგენა ჰქონოდეთ დედამიწის სფერულობაზე და მისი ღერძის სიგრძეზე, მაგრამ პირამიდის მშენებლები ღვთისაგან იყვნენ შთაგონებული და ყველაფერი მათგან დამოუკიდებლად უზენაესის შემწეობით სდებოდა. როგორც სხვათა შორის შენიშნავს პაიც სმიტი — „ეგვიპტელები პირამიდის გეგმის შემუშავების დროს მოქმედებდნენ ბრმად, ქვეცნობიერად, იმ ეპოქაში არ შეიძლება სხვანაირად მომხდარიყო".

---

* მ. ედგარის გამოანგარიშებით, 1000 ინგლისური დიუმი უდრის 999 პირამიდალურ წყრთას.

ბიბლიური თეორიის ავტორთა მოსაზრებებს მეცნიერები, რა თქმა უნდა, არ იზიარებენ. მაგრამ ხდება ხოლმე, როცა მათ მიერ ნაანგარიშევ ციფრებს ჩვენს დროშიც კი ზოგიერთი დილეტანტი მკითხველს ყოველგვარი კომენტარის გარეშე აწვდის, როგორც ჭეშმარიტებას.

ასტრონომიული თეორიის ავტორები პირამიდას მიიჩნევდნენ მსოფლიოს უძველეს ობსერვატორიად. მათი აზრით, აქ ყველაფერი ციურ სხეულებზე დაკვირვებისათვის იყო გამიზნული. თვით დიდი პირამიდის სიმაღლეც კი ზუსტად იყო შეფარდებული მანძილთან, რომელიც დედამიწას მზისაგან აშორებს. ფრანგი მკვლევარი მორიო ამის შესახებ წერს: „სადღეისოდ ფიქრობენ, რომ დედამიწიდან მზე დაშორებულია 149 400 000 კილომეტრით. განსხვავება შეიძლება იყოს 70 000 კილომეტრი. დიდი პირამიდის სიმაღლე რომ გავამრავლოთ ერთ მილიონზე, მზიდან დედამიწამდე მანძილი იქნება 148 208 600 კილომეტრი. ეს ციფრი, რა თქმა უნდა, მიახლოებითია, მაგრამ ივი შედარებით ზუსტია 1860 წელს ნაანგარიშებ რიცხვთან, რომლის მიხედვით დედამიწიდან მზემდე მანძილი შეადგენდა 154 მილიონ კილომეტრს. პირამიდების მშენებლებმა ისეთ სიზუსტეს მიაღწიეს, რომ ჩვენ სრული უფლება გვქონდა, ამ მიღწევით გვეამაყა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს", დიდი პირამიდების მშენებლობიდან ოთხიათას შვიდასი წლის შემდეგ.

ასტრონომების ამ მოსაზრებას ბევრი მკვლევარი სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ ერთი რამ სრულიად აშკარაა: მსოფლიოს უძველესი ნაგებობა მეცნიერებს დაფიქრების საბაბს აძლევს. ჩვენს დროშიც კი ბევრი რამ ჯერ ისევ ამოუხსნელია.

როდესაც ხეოფსის პირამიდას გარს შემოვუარეთ, სამხრეთ კედელთან გიდმა შეგვაჩერა, პირამიდის სიღრმეში შემავალ გვირაბზე მიგვითითა და ღიმილით გვითხრა: „ვისაც ჩაკეტილი სივრცის შიში არა აქვს, ეს გვირაბი ფარაონის დასაკრძალავ დარბაზში მიგვიყვანსო". საღამო ხანი იყო, მზე დასალიერს უახლოვდებოდა, სხივები ზღაპრულად აფერადოვნებდა უდაბნოს ხილიან სივრცეს. ბევრი ვერ შეელია ჰაერითა და სინათლით სავსე ამ უსიცოცხლო მიწას და საიქიოში ერთი საათით მოგზაურობას გარეთ დარჩენა ამჯობინა. შესასვლელთან სამარისებური სიჩუმე იდგა. ადამიანები

ერთმანეთზე მიყოლებით უჩინარდებოდნენ ნაგებობის სიღრმეში. მკრთალი შუქით განათებულ დაბალ გვირაბში რამდენიმე ხანს წელში მოხრილი მივდიოდი. ოდნავ გამაბრუა ბალახეული წამლების სუნმა, რომელიც აქ ფარაონის დაკრძალვიდან დღემდე არ გაქარებულა. ეს სუნი ახლა ყველაზე ხელშესახებს ხდის წარსულს და პირამიდასავით გაოცებს ეგვიპტელი ფარმაკოლოგების ნახელავის მარადიულობა. გვირაბიდან დიდ დერეფანში მოვხვდი. ჩაშავებული, ერთმანეთზე მჭიდროდ მისადაგებული, უზარმაზარი ფილებით მოპირკეთებული შახტისებური დერეფანი სხივივით არის შეტყორცნილი პირამიდის სიღრმეში. თლილი ქვების ნაწიბურები ოდნავ არას ამოწეული, ან ჩაღარული და უზუსტესი ხაზების სახით ვრცელდება კედელზე. ამ ხაზებს, ისე როგორც დერეფანს და მთლიანად პირამიდას, მისტიკოსები მიიჩნევენ გრაფიკულ წიგნად, რომელშიაც თავიდანვეა განჭვრეტილი და ნაწინასწარმეტყველები მსოფლიოს მომავალი ბედ-იღბალი. კიბეზე ასვლას არ ვჩქარობ და დიდხანს ვდგავარ დერეფნის სამხრეთ კედელთან, რომლის ფუძეში თითქოს მოცემულია 1914 წლის პირველი მსოფლიო ომის დაწყების თარიღი. ბიბლიური თეორიის ქადაგის — ედგარის აზრით, ეს თარიღი არის ახალი ერის დასაწყისი, რომელიც დამთავრდება 2914 წელს.

უოლტერ უინი, პირამიდის სამშენებლო მონაცემებზე დაყრდნობით, თითქოს ანგარიშობდა მსოფლიო მოვლენების მნიშვნელოვან თარიღებს. მას პირველმა წიგნმა არ გაუმართლა და 1933 წელს მეორე შრომა გამოაქვეყნა, სადაც ამბობს, რომ ბრძოლა არმაგედონის * წინააღმდეგ მოხდება 1936 წელს ან ცოტა უფრო გვიან, იმის შემდეგ, როცა რუსები და მისი მოკავშირენი დაიპყრობენ წმინდა მიწებს. ბიბლიური თეორიის ერთ-ერთი ავტორი, ბარბარენი, პირამიდაში ნაწინასწარმეტყველებ მსოფლიო მოვლენების თარიღებად ასახელებს 1938 წლის 20 აგვისტოს, 1939 წლის 27 ნოემბერს, 1945 წლის 4 მარტს, 1946 წლის 18 თებერვალს და 1953 წლის 20 აგვისტოს. მისდა სამწუხაროდ, ბარბარენმა პირამიდის ამ გრანდიოზულ შიდა ნაგებობაში ვერ ამოიკითხა მეორე მსოფლიო ომის დაწყებისა და დამთავრების თარი-

* არმაგედონი — ბიბლიური ქალაქია კარმელის მთების ძირში. ქრისტიანულ სარწმუნოებაში მიჩნეულია საშინელი ამბების სიმბოლოდ (ავტორი).

დი. გაწბილებული აღმოჩნდა, მაგრამ მისტიკოსები დღესაც არ იშლიან პირამიდის კედლებზე ბანქოს გაშლას და ისევ თხზავენ კაცობრიობის მომავალი ბედ-იღბლის შესახებ სამარჩიელო ნაშრომებს. ზოგი რამ გაგონილი მქონდა პირამიდებზე შექმნილ მისტიურ თეორიებზე. ყურადღებით ვაკვირდებოდი კედლებზე გამოყვანილ სახეებს, გადასასვლელებს, კიბეებსა და გამონაშვერებს, მაგრამ აქ ჩვეულებრივი მოკვდავი (როგორც ჩანს, ვერც ჩვეულებრივი მეცნიერი) ვერაფერს შეატყობს კაცობრიობის მომავალ ბედ-იღბალზე. მნახველი განცვიფრებულია უძველესი ნაგებობის გრანდიოზულობით და საამშენებლო ხელოვნების ვირტუოზულობით.

ფიცრის კიბეზე, რომელიც სულ მაღლა და მაღლა მიიწევს სამეფო განსასვენებლისაკენ, კრძალვით მიაბიჯებენ ადამიანები. გესმის მძიმე ნაბიჯების ხმა, დროდადრო გაკრთობს თვალშეუდგამ ჭერში მოფათურე ღამურების წრიპინი. აქ, სადაც კიბე თავდება, ვიწრო გასასვლელის მიღმა, მარმარილოთი შემოსილი დარბაზის თავში აგდია ზვიადი მეფის ცარიელი სარკოფაგი. მის წინ მოჩვენებასავით დგას თეთრ სამოსში შესუდრული შავი ბედუინი. გაძარცული ფარაონი, ტურისტების ხელით, დღემდე უწყალობებს მას მცირეოდენ „ბაქშიშს“. *

დასაკრძალავი დარბაზი მოპირკეთებულია ასუანის სამტეხლოებიდან მოტანილი მარმარილოს ფილებით. არავინ იცის, რა იმალება ამ ვეებერთელა ლოდების მიღმა. კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ლუის ალვარესი დიდხანს ეთათბირებოდა ეგვიპტის მთავრობას. მას უნდოდა, საგანგებო ელექტროაპარატურის საშუალებით რენტგენის სხივებით გაეშუქებინა დიდი პირამიდა, მაგრამ ამ წამოწყებას ხელი შეუშალა 1967 წელს დაწყებულმა ომმა. ასე რომ, გიზას გოლიათები დღემდე ინახავენ ათასწლეულების მიღმა დამარხულ საიდუმლოებას.

პირამიდაში მოგზაურობის შემდეგ მიმზიდველი გეჩვენება სუფთა ჰაერით სავსე, მზით გამთბარი სილიანი უდაბნო. მით-უმეტეს, რომ აქ ახლა, როგორც იტყვიან, სიცოცხლე დუღს და გადმოდის. ბედუინები უკიჟინებენ არაბულ ულაყებს, ვირებს და

* ბაქშიში — სპარსული სიტყვაა, გავრცელებულია მთელს აღმოსავლეთში ქრთამის ან საჩუქრის სინონიმად.

აქლემებს, უნაგირზე უსერხულად წამოსკუპული ტურისტების სახეზე ამოიკითხავთ შიშსაც, სასარულსაც და გაოცებასაც. ზოგიერთი შეთამამებული ევროპელი ცხენს მოაჭენებს პირამიდებისაკენ მიმავალ აღმართზე. ოფლში გაწურული ბედუინები ფეხდაფეხ მისდევენ ეგზოტიკის მოყვარულთ და გამუდმებული შეძახილებით ამხნევებენ გამოუცდელ მხედრებს. ფული რომ დასცინცლონ, ბედუინები მზად არიან, ტურისტები ხელის გულზე დაისვან, ხოლო ვისაც ფული არა აქვს, სალისით ართმევენ შორეული ქვეყნებიდან მოტანილ სუვენირებს, ფანქრებს, სიგარებს, სიგარეტებს, რვეულებსა და სხვა ათასგვარ „ბაქშიშს". პატარა სამრეწველო მაღაზიებში ახურდავებენ და შემდეგ იაფფასიან ღამის დუქნებში შეექცევიან ჩაის, თამაშობენ ნარდს ან პირში გაჩრილ გრძელ მილებს აბუყბუყებენ მინის კოლბებში და ყველას თვალწინ თვრებიან თრიაქით.

ამბობენ, რომ ეგვიპტის ბურჟუაზიის ბევრმა მდიდარმა წარმომადგენელმა აიდგა ფეხი პირამიდების ძირში. როგორც ჩანს, ისინი თრიაქს არ ეძალებოდნენ და დღეს უდიდესი ტურისტული ფირმების მფლობელნი არიან. ბევრი მწერალი და მეცნიერი ლანძღვა-გინებით იხსენიებს ფარაონებს იმ აუარებელი თანხის გაფლანგვის გამო, რომელიც პირამიდების მშენებლობას შესწირეს. სუფუ, ხეფრი და მენკაურა პირნათლად უბრუნებენ ვალს ეგვიპტის მიწას. კაიროს ეკონომიკაში უდიდეს როლს ასრულებს დანახარჯები იმ ტურისტთა, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოდიან აქ გიზას დიდებული ძეგლების სანახავად.

— რა ძალამ შექმნა პირამიდები და ეს გრანდიოზული ტაძრები? — კითხულობენ მეცნიერები და ჩვეულებრივ მიუთითებენ ძალადობაზე, რომელსაც ახორციელებდა კარგად ორგანიზებული სახელმწიფოს დესპოტური აპარატი. ადამიანები ეგუებოდნენ მონურ შრომას და ამ გიგანტურ სამუშაოთა ღერძს ატრიალებდა კაცის ყველაზე სანუკვარი ოცნება სიცოცხლის გადარჩენისათვის. ფარაონები სიკვდილის დამარცხებას ცდილობდნენ. ეგვიპტელი ქურუმების რელიგიური პროპაგანდის წყალობით მოსახლეობის უმრავლესობა დარწმუნებული იყო გარდაცვალების შემდეგ კვლავ აღდგომასა და მარადიული ცხოვრების უეჭველობაში. სიცოცხლე,

თუ იგი გადარჩენილი იქნებოდა ერთისათვის, გადარჩებოდა ყველასათვის. ძველი ეგვიპტის მონათა არმიები სიკვდილის დასამარცხებლად გაჰყვნენ ფარაონებს და კაცობრიობის ამ აუხდენელი ოცნების განხორციელების ცდაში, ადამიანმა, რომელსაც ხელში ჯერ კიდევ ქვის იარაღი ეჭირა, სასწაულები მოახდინა — ისეთი მარადიული ძეგლები შექმნა, რომლებსაც კაცობრიობის აღსასრულამდე დაღუპვა არ უწერიათ.

ამ ძეგლთა შორის სფინქსი ყველაზე მეტყველი ქმნილებაა. იგი ხეოფსის ტაძრის მარჯვნივაა აღმართული. მსოფლიოს ეს უძველესი და უდიდესი ქანდაკება კლდის მასივშია ამოკვეთილი. სფინქსის სიგრძე ორმოცდაშვიდი მეტრია, სიმაღლე — ოცი. ქანდაკება, რომელსაც ადამიანის თავი და ლომის ტანი აქვს, განასახიერებს ფარაონ ხუფუს სახეს, მის ძალასა და ძლიერებას. როგორც ჩანს, ეგვიპტის დამპყრობლებს აღიზიანებდათ ნილოსის ქვეყნის მეფეთა ურყევი მზერა და სფინქსს სახე დამახინჯებული აქვს. ამბობენ, ნაპოლეონის ჯარისკაცებმა დაუშინესო ზარბაზნები, ცხვირი მოტეხეს და თვალები დაუშრიტეს. ფრანგების ვანდალიზმს ზოგნი კატეგორიულად უარყოფენ და სფინქსის შემრყვნელად რელიგიური ფანატიზმით შეპყრობილ ერთ შეიხს ასახელებენ, რომელმაც 1496 წელს მისი განადგურება განიზრახა.

ორიათას შვიდასი წლის წინათ დაიწყეს აქ ტურისტებმა მოსვლა. ასობით თაობამ ჩაუარა სფინქსს და ვიზიტიორები შემთხვევას არ უშვებდნენ, თავიანთი არსებობა წარწერით უკვდავეყოთ. ტურისტებმა ამ საძაგელი ჩვეულებით მსოფლიოს ბევრი ძეგლი დაამახინჯეს. არც ამ უზარმაზარი კოლოსისათვის დაუყრიათ კარგი დღე! ზოგიერთი წარწერა, რომელიც ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე ამოუკვეთიათ აქ მოსულ ფინიკიელებს, ბაბილონელებსა და ბერძნებს, ცნობისმოყვარეობას აღვივებს, მაგრამ ლომის თათებზე და ტანზე უამრავ წარწერას შორის ისინი არცთუ ისე ადვილი შესამჩნევია.

გიზაში რამდენჯერმე ვიყავით. ერთ დღეს, გვიან საღამოს, ღია ცისქვეშ მოწყობილ უზარმაზარ ამფითეატრში მიგვიწვიეს. აღმოსავლეთის ღამეში ჩაძირული პირამიდების კონტურები იხატებოდა ვარსკვლავებით გაზიმზიმებულ ეგვიპტის ცაზე. ღამის სიბნელე აღმოსავლეთიდან მოვარდნილმა შუქ-

მა გაკვეთა, ქანდაკების სახე გააპრწყინა და ლიბიის ზეგანზე გამეფებული სამარისებური სიჩუმე დაარღვია სფინქსის ხმამ. იგი, ათასეული საუკუნეების მომსწრე და მნახველი, მსოფლიოში ცნობილი მსახიობის პირით აწყებს თავგადასავლის მოყოლას:

„ყოველ დილით ვხედავ მე ღმერთს — მზეს. იგი ამოდის ნილოსის შორეული სანაპიროდან. მისი პირველი სხივები მე მეკუთვნის, სხივები ეცემიან ჩემს სახეს. ხუთიათასი წელია ისინი მაშუქებენ მე. მე ვაკვირდებოდი მზის ყოველ ამოსვლას, მოწმე ვიყავი ეგვიპტის ცივილიზაციის ისტორიის გაფურჩქვნისა და სულ მალე მოწმე გავხდები აღმოსავლეთის ხელახალი აყვავებისა. მე ვარ ერთგული დარაჯი ჩემი ბატონის ფერხთა წინაშე გართხმული. იმდენად ერთგული და ყურადღებით აღვსილი, იმდენად მახლობელი ჩემი ფარაონის, რომ მან მიწყალობა მე იერი და სახე თვისი. მე ვარ უერთგულესი მეგობარი ფარაონისა, — სინამდვილეში მე ვარ ის ფარაონი.

გადიოდა საუკუნეები. ადამიანები მოდიოდნენ აქ, რათა ქედი მოეხარათ ჩემს წინაშე. ისინი ლოცულობდნენ, მარქმევდნენ სხვადასხვა სახელს. ჰოი, სარამაკის! შენ ჩემი გუშაგი და მფარველი ხარ! ჰოი, ხორუს! — დამიფარე მე! ჰოი, უდიდესო ღვთაებავ! როგორ მინდოდა ყოველდღე მეხილე! ჰოი, მფლობელო უდაბნოთა! ცათა მპყრობელო! მბრძანებელო მარადისობისა!

სახელი, რომლითაც მე მსოფლიო მიცნობს, მიწოდა ისტორიის მამამ — ჰეროდოტემ. მან სფინქსი დამარქვა. ამბობენ, თითქოს მის ქვეყანაში დავიბადე. მის მიერ დარქმეული სახელი შემომრჩა სამარადისოდ. ვდგავარ ნილოსის მახლობლად, გავცქერი ჩვეულებრივი და ფანტასტიკური სიდიდის ძეგლებს, რომლებიც აღმართულან გიზას ზეგანზე! ყველა ისინი აკლდამებია!.. მე იგი ვარ, ვინც უწყის საიდუმლო არნახულ ვარსკვლავთა არსებობისა, რომელმაც იცის, რომ დიდმა ნილოსმა შექმნა ეგვიპტე და მას არ შეუძლია, დაანგრიოს იგი. მე ვნახე გამარჯვებულები, ისინი ქედს იხრიდნენ ფერხთა ჩემთა წინაშე. ვიცნობდი ალექსანდრე მაკედონელს. იგი ლამაზი იყო, როგორც ველური და ბრძენი, როგორც წინასწარმეტყველი. აქ, ამ მიწაში განისვენებს ის და უცდის, როდის აღსდგება.

ერთხელ, საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, ვნახე კეისარი. მზის-

ეშინოდა კეისარს. უკანასკნელ დედოფალს ჩვენსას — კლეოპატრას, მისგან მემკვიდრე შეეძინა. კეისარი ვერ იქცა ნამდვილ ფარაონად. იგი ისე მოკვდა, რომ სატახტო კიბეზე ფეხი არ შეუდგამს. ერთხელ ვნახე ნაპოლეონი, თვალებში უღვთო ცეცხლი უღვიოდა. საუკუნეებმა გაიქროლეს და ამ პუმპერაზებისაგან მხოლოდ ფერფლი დარჩა".

ყვება სფინქსი საკუთარ თავგადასავალსა და ეგვიპტის ისტორიას. გარინდებულ მაყურებელს ესმის წარსულის ხმები. მას ესმის მშენებელთა დრიანცელი, ლოდების დაგადუგი, წერაქვების კაკუნი და ზედამხედველების მკაცრი შეძახილები. მას ესმის დამპყრობთა ყიჟინა, ხმლების ჩახაჩუხი, ცხენთა ჭიხვინი და მომაკვდავთა კვნესა. გონების თვალით იგი ხედავს ღვთიურ ფარაონებს, ბრძენ ქურუმებს, უპირველეს ხემირებს, გენიოს მხატვრებს, ბრწყინვალე სამკაულით მორთულ კდემამოსილ დედოფლებს და გამჭვირვალე სამოსში გამოწყობილი მხევლების უნაზეს სხეულებს; სანახაობას, რომელსაც გიზას ზეგანზე უჩვენებენ, „ხმა და სინათლე" ჰქვია. ამ უჩვეულო სპექტაკლის ბრწყინვალედ დაწერილ ტექსტში შეტანილია პირამიდების მშენებლობის ამბები, ეგვიპტის ისტორიის საინტერესო მომენტები და იუმორით სავსე ლეგენდები.

ლეგენდა პირველი:

ერთხელ შევარდენი მოფრინდა მობანავე ქალების ახლოს და ნისკარტით მოიტაცა ერთი მათგანის ქოში. შორს გაფრენილ მტაცებელს ქოში გაუვარდა და შემთხვევით ფარაონის ახლოს დაეცა. ის ისეთი ნატიფი და მომხიბლავი იყო, რომ ფარაონმა მოისურვა მისი მფლობელის ხილვა და შემდეგ ცოლად შეირთო იგი.

ლეგენდა მეორე:

ხეოფსის კარის ერთმა დიდებულმა გადაწყვიტა, თავისი ცოლის საყვარელი ტბაში შეეტყუებინა. მან სანთლისაგან ქალის ქანდაკება გამოაძერწინა და ჯადოქარს სთხოვა, განზრახვის შესრულებაში დახმარებოდა. დიდებულმა საკუთარი ცოლის საყვარელი ტბაში შეიტყუა. ჯადოქარმა იგი ნიანგად გადააქცია. თავისი ჯადოქრობის შთაბეჭდილება რომ მოეხდინა, საიდუმლო დიდებულმა ფარაონს გაანდო. გულმოსულმა ფარაონმა ბრძანება გასცა, ქმარიცა და საყვარელიც ერთნაირად დაესაჯათ. დიდებული ტბაში

ჩააგდეს და იგი ნიანგმა დაგლიჯა. ხოლო მოღალატე ცოლი გაწკეპლას დააჯერეს.

დროდადრო ყურს სვდება და ღიმილს გვგვრის „სიბრძნე“, რომელსაც ხუთიათასი წლის წინათ თხზავდნენ ეგვიპტელი მწერლები: „თუ გსურს მტკიცე მეგობრობა იქონიო ძმასთან, ამხანაგთან ან უფროსთან, ე. ი. ადამიანებთან, რომლებსაც თქვენი ცხოვრების გზაზე შეხვდებით, მოერიდეთ ქალებს. ოთახი, სადაც ისინი შემოდიან, ცოდვითა და ბიწიერებითაა აღვსილი.“

„სიკეთეზე ბოროტებით ნუ უპასუხებთ. თავიდან სამართლიანობა, ძალა — შემდეგ!“

ილუმინაციის გასაოცარი ფერებით ნათდება დიდი პირამიდების ვეებერთელა ფერდობები. ვარიყრაყის მტრედის ფერს განთიადის წითელი ფერი ცვლის და შემდეგ ოქროსფერი სხივებით გაბრწყინებული გრანდიოზული პირამიდები უზარმაზარი დიაგრამით ისახება ბნელი ცის ფონზე. დიდს საშუალო მისდევს, საშუალოს — მცირე, და აქ სრულებით აღარ ჩანს მენკაურას მემკვიდრის, ფარაონ შეფსესკაფის განსხვავებული. იგი პირამიდის ნაცვლად ჩვეულებრივ მასტაბას დაკრძალულა. — წინაპრებისაგან განსხვავებით მან თავისი სამარე საკარაში ააგო.

პირამიდების მშენებლობამ დააძაბუნა ეგვიპტის ეკონომიკა. საშუალო ფენები და, უპირველეს ყოვლისა, ქურუმები, რომლებიც ქვეყნის მეურნეობას ხელმძღვანელობდნენ, უკმაყოფილონი იყვნენ მეფეთა აბსოლუტიზმით. ფარაონების განუსაზღვრელი უფლებები მათ გალატაკებით ემუქრებოდა. დაიწყო დაცემის ხანა და მეოთხე დინასტიამ არსებობა შეწყვიტა.

## აკლდამები მეფეთა ველზე

მსოფლიოს დიდი ქალაქების დიდი სადგურები ყოველთვის იყო და არის სხვადასხვა ქვეყნის ეროვნებათა თავშესაყარი, მაგრამ კაიროს სადგურს, ამ მხრივ, ალბათ პლანეტის ბევრი სარკინიგზო კვანძი ვერ გაუწევს მეტოქეობას. კაირო სამი კონტინენტის გასაყარზე და თავშესაყარზე დგას. აქვეა აზია და ევროპა,

არ არის შორს, მაგრამ შორეული ავსტრალიისა და ამერიკის მოსახლენიც ჩვეულებრივი სტუმრები არიან ამ უძველესი მიწისა. კაიროს სადგურზე მოხვედრილ განსწავლულ ლინგვისტსაც კი გაუჭირდებოდა ათეულობით ენაზე მოლაპარაკე ხალხის ვინაობისა და ენის სადაურობის დადგენა. ჩამოსულნი და დამხვდურნი, წამსვლელნი და დარჩენნი ერთმანეთს ელაპარაკებიან ათასი ფერის ენაზე. როცა ერთმანეთის არაფერი ესმით და სიტყვას ჩალის ფასიც აღარა აქვს, ადამიანები ხელებისა და ფეხების, თვალებისა და თითების ჟესტიკულაციით ცდილობენ, ურთიერთს გააგებინონ სრულიად მარტივი აზრები. არის გასურებული ვაჭრობა და ხელიდან ხელში გადადის მსოფლიოს ყველა კონტინენტზე დამზადებული წვრილმანი საქონელი.

კაიროდან ლუქსორში შუა ღამისას გავემგზავრეთ. მატარებელმა მძიმედ ჩაუარა ბაქნის გასწვრივ ჩამორიგებულ შავად შეღებილ ბოძებს და სადგურის ორომტრიალი ბორბლების მონოტონურმა ხმაურმა შეცვალა. კონდიცირებული ჰაერით განიავებულ კუპეში, სუფთა თეთრეულით გაწყობილ საწოლებზე დაღლილმა სხეულმა შვება იგრძნო, მაგრამ ცდუნება წუთიერი აღმოჩნდა. როდესაც მატარებელმა სისწრაფეს უმატა, ვაგონი საოცრად აჯაყჯაყდა, სანახევროდ ჰაერში დავეკიდე, ძილი თითქმის შეუძლებელი გასდა. ფანჯრიდან ჩანდა, როგორ ინთქმებოდნენ სიბნელეში ნილოსის გასწვრივ ალანძული პალმების შავი სილუეტები და როგორ დასტოდნენ აღმოსავლეთის ღამეზე ჩამომხობილ ცარგვალზე ძველ ეგვიპტელთა ღვთაებები.

გარიჟრაჟმა ვარსკვლავებით აყვავებული ცა რომ გაცრიცა, ორთქლმავალმა ლუქსორის სადგურს მიაკივლა. უძველესი მსოფლიო იმპერიის დედაქალაქს ნისლი ფარავდა.

ნისლი, ისე როგორც სხვა ათასი სიკეთე, აქ ნილოსის წყალობაა. დიდი ხაპი, როგორც მას შავი მიწის ხალხი უწოდებდა, შემქმნელია ეგვიპტის უძველესი ცივილიზაციისა და იგი დღემდე დაუნანებლად აწოვებს ძუძუს ამ მიწაზე მცხოვრებ ადამიანებს.

ყველა მოგზაური, მწერალი და მეცნიერი, ვისაც კი რაიმე დაუწერია და უთქვამს ლუქსორის—ეგვიპტის ამ უძველესი ქალაქის შესახებ, ერთხმად აღიარებენ, რომ აქ იმალება შორეული ცივილიზაციის დიდი საიდუმლო და დედამიწის ზურგზე ძნელია,

მოიძებნოს მეორე ადგილი, საკაცობრიო კულტურის ასეთი გრანდიოზული ძეგლები რომ იყოს თავმოყრილი.

ქალაქის დასავლეთით, ნილოსის გაღმა მხარეს, დადუმებული დგანან მზისაგან დასრუკული ქარაფოვანი მთები. აქ მზე ეპრძვის მიწას და იგი დამარცხებული აგდია გავარვარებული დისკოს ქვეშ. მთებისაკენ მიმავალ ხეობაში სამარისებური სიჩუმე სუფევს და მგზავრებს ეჩვენება, რომ ეს დუმილი არასოდეს არავის დაურღვევია. სინამდვილეში მიცვალებულთა ხეობა, ანუ როგორც მას უწოდებენ — „მეფეთა ველი", არის ადგილი, სადაც ადამიანური ვნებათა ღელვა ყოველთვის უკიდურესად დაძაბული იყო.

მისი ისტორია წერაქვის ხმაურით დაიწყო და პირველივე ძეგლი, რომელიც ამ წერაქვმა შექმნა, მისივე მფლობელის სისხლით შეიღება.

ეს ამბავი სამიათას ექვსასი წლის წინათ მოხდა, ძველი წელთაღრიცხვის მეთექვსმეტე საუკუნეში. მეთვრამეტე დინასტიის ფარაონმა თუთმოს პირველმა* გადაწყვიტა, საკუთარი სამარადისო განსასვენებელი თავისი წინაპრებისაგან განსხვავებულად მოეწყო. თუთმოსი შეცბუნებული იყო იმით, რომ მის დროს თითქმის ყველა ფარაონის პირამიდა და განსასვენებელ ტაძრებთან მოწყობილი ყველა აკლდამა გაძარცული იყო. რა თქმა უნდა, უძველესი ტრადიციის დარღვევა ძნელი საქმე იყო, მაგრამ მარადიული ცხოვრების სურვილი ამხობს ყოველგვარ ტრადიციას. და აი, მეფე თუთმოსმა უბრძანა თავის ხუროთმოძღვარს ინენის, თებეს ქარაფებში, მაღალი მთის ძირში, კლდეში გამოეკვეთა ფარაონის აკლდამა. 1891 წელს, როდესაც აკლდამა აღმოაჩინეს, მის კედლებზე ამოკვეთილ წარწერებში მეცნიერებმა ამოიკითხეს ინენის ავტობიოგრაფია, სადაც ხუროთმოძღვარი მოგვითხრობს იმ უდიდეს საიდუმლოზე, რაც თებეს მთებში მისი თანდასწრებით მოხდა და რამაც დასაბამი დაუდო „მეფეთა ველის" შფოთიან ისტორიას.

„მხოლოდ მე ვხელმძღვანელობდი სამუშაოებს, როდესაც მისი უდიდებულესობისათვის კლდეში ვკვეთავდი აკლდამას; ისე რომ აქ სხვას არაფერი დაუნახავს და არაფერი გაუგონია".

მაშინ რა უყვეს იმ ასიოდე მუშას, რომლებიც აკლდამის გამოსაკვეთად იქნებოდა საჭირო?

---

* მეფობდა ძვ. წ. აღ. 1545-1515 წლებში.

ცხადია, ორი კაცი, მეფე და შემოქმედი, ვერ გაუსწორდებოდა მათ იარაღით. სამხედრო ძალის გამოყენება კი მათ საიდუმლოს გაამხელდა. ეგვიპტელები საწამლავის უბადლო ოსტატები იყვნენ და საფიქრებელია, რომ აკლდამის დამთავრების აღსანიშნავად მოწყობილ სადილზე შხამით შეზავებულმა საჭმელმა, წყალმა ან ღვინომ დაადუმა ისინი სამუდამოდ. ჩვენს დროში, როდესაც მეცნიერებმა თუთმოსის განსასვენებელში შეაღწიეს, იქ დაცარიელებული და გაძარცული ქვის სარკოფაგის გარდა არაფერი იყო. *

ვერავინ იტყვის, რამდენ ხანს დარჩა აკლდამის საიდუმლო გაუცემელი. ერთი კი ცხადია: შემდგომმა ფარაონებმა წინაპარს მიბაძეს და თებეს მთები მიწისქვეშა გრანდიოზული ძეგლებით დაისერა.

ცაში აწვდილი ვეება მთის ძირში, რომელიც ფორმით პირამიდას წააგავს, გამოკვეთილია სეტი პირველის გრანდიოზული განსასვენებელი. კლდეში გამოკვეთილ კიბეებს რომ ჩაათავებ, თვალწინ აღიმართება მიწის სიღრმეში გაწვართული ოქროსფერი კედლები, რომლის ყოველი გოჯი იეროგლიფებითაა დაფარული. ამდენად, აკლდამის კედლები წარმოადგენენ ვეება ქვის წიგნს, რომელზედაც „საღვთო“ ტექსტებია დაწერილი. ტექსტებს აქა-იქ ამკობს რელიგიური შინაარსის შემცველი კედლის მხატვრობა. რაც უფრო შორს მიდიხარ მიწის სიღრმეში, აკლდამა მით უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. ხიდებით გადავდივართ განიერ, მრგვალ ჭებზე. ისინი მძარცველთათვის მოწყობილი მახეები იყო. ამბობენ, არქეოლოგებმა ჭებში ჩონჩხები იპოვესო. ადვილი წარმოსადგენია, რა საშინელი სიკვდილით უნდა მომკვდარიყვნენ გამდიდრების სურვილით შეპყრობილი შეშლილი ადამიანები ამ ბნელსა და ღრმა ხაროებში.

მიწის პირიდან ძალიან შორს, მთის შუაგულში, გამოკვეთილია დიდი დარბაზი. ფიქალაცვენილ იატაკზე ნამსხვრევებადაა დახვავებული ბაზალტის ქვისაგან გამოკვეთილი უზარმაზარი სარკოფაგი, რომელსაც ძლივს ანათებს წუთისოფლის შუქი — კედელზე ჩამოკიდებული მბჟუტავი ნათურა. დარბაზის კედლის მხატვრობა

* თუთმოსისა და მისი ახლობლების მუმიები, ქურდებისაგან რომ დაეფარათ, ქურუმებმა აკლდამებიდან გამოასვენეს და სხვაგან დამალეს.

მოგვითხრობს ფარაონის სამსედრო ძლიერებაზე. თავმოკვეთილი შავი ნუბიელები და მიწაზე დამხობილი აზიელები, გამარჯვებული, მედიდური ეგვიპტელები და დარბაზის თაღში გამოკვეთილი კოსმიური სიუჟეტები, — ერთი მოგზაურისა და ხელოვნებათმცოდნის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, — თითქოს ახლახან შექმნა ფარაონთა რაფაელის ფუნჯმა.

ორმოცდაექვსი დიდი აკლდამაა გამოკვეთილი მეფეთა ხეობაში. ძველ მსოფლიოში ალბათ არსად ყოფილა იმდენი სიმდიდრე თავმოყრილი, რამდენიც აქ — ამ მიწისქვეშა ლაბირინთებში.

ფარაონთა საგანგებო ჯარი იცავდა გარდაცვლილი ღმერთკაცების აურაცხელ ქონებას, მაგრამ გაკადნიერებული, თავზე ხელაღებული ხალხი სასწაულებს ახდენდა და ასერსებდა ლოდებით ამოქოლილ კარებში საიდუმლო ხვრელებით შეღწევას და სიმდიდრის გატაცებას.

კარტერი წერს: „საკუთარი დაკვირვების საფუძველზე შემიძლია, დავამტკიცო, რომ ტუტანხამონის აკლდამაში მძარცველებმა შეაღწიეს მისი გარდაცვალებიდან ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ. თუთმოს IV აკლდამაში გამოხატული გრაფიტოს მიხედვით, რომელიც იქ მძარცველებმა დატოვეს, ცნობილია, რომ საფლავის ქურდებმა აკლდამაში შეაღწიეს ფარაონის გარდაცვალებიდან არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ. ამის შესახებ ჩვენ ვგებულობთ აგრეთვე ფარაონ ჰორემჰების ბრძანებიდანაც. თავისი მეფობის მერვე წელს იგი ავალებს კარის მოხელეს, — ვინმე მაის, — „აღადგინოს თებეს დასავლეთით მდებარე ფარაონ თუთმოს IV ძვირფასი განსასვენებელი“. ისინი, ვინც თუთმოსის საფლავის გაძარცვა გაბედა, რა თქმა უნდა, თავზე ხელაღებული ადამიანები იქნებოდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ მოთმინება არ ეყოთ, იჩქარეს და დანაშაულის ადგილზევე შეიპყრეს. თუ ეს მართლა ასე მოხდა, ცხადია, ქურდებს სული საშინელი მწვალებლური სიკვდილით აღმოხდებოდათ.

„უცნაური სანახავი იქნებოდა მეფეთა ხეობა იმ დროს, როდესაც ეს გაუგონარი ამბები ხდებოდა. კაცმა შეიძლება წარმოიდგინოს, როგორ ემზადებოდნენ ქურდები, როგორ იკრიბებოდნენ საიდუმლოდ კლდეების ძირში, როგორ ახრჩობდნენ, ან ისყიდდნენ სიკვდილის ქალაქის ღამის დარაჯებს და შემდეგ, ღამის სიბნელეს

ამოფარებულნი, ნაჩქარევად, ხელის კანკალით თხრიდნენ საიდუმლო მიწისქვეშა სვრელ-შესასვლელებს.

ვიწრო სოროებით მიიკვლევდნენ ისინი გზას დასაკრძალავი დარბაზებისაკენ და იქ მაშხალების მკრთალად მოკიაფე შუქზე გაფაციცებით ჩხრეკდნენ მეფეთა მუმიებს. წასაღებად აგროვებდნენ განძეულს და განთიადისას ძვირფასი მონაპოვარით დატვირთულები უკან ბრუნდებოდნენ. ძნელი არ არის, კაცმა წარმოიდგინოს, როგორ ხდებოდა ეს ყველაფერი. ისიც გასაგებია, რომ სამარხების გაძარცვა წინდაწინვე იყო გაპირობებული და თითქმის გარდუვალიც.

ფარაონები, ავსებდნენ რა თავიანთ აკლდამებს ბრწყინვალედ ნახელავი ძვირფასი ნივთებით, რომლებიც, მათი აზრით, აუცილებელი იყო მეფის ღირსებების დასაცავად, თვითონვე წირავდნენ საკუთარ სამარხებს დასაღუპავად".

აკლდამის განძეულობა ყოველგვარ ოცნებას სცილდებოდა. მისი მფლობელი რომ გამხდარიყვნენ, საჭირო იყო, ეპოვათ სერხი მის მოსაპოვებლად და საფლავის ქურდები ადრე თუ გვიან აღწევდნენ ამ სიმდიდრემდე".

„მეფეთა ველის" ისტორიაზე და იქ ჩატარებულ არქეოლოგიურ გათხრებზე უამრავი სამეცნიერო და მხატვრულ-პოპულარული ლიტერატურაა შექმნილი. ამ წიგნებში, რომლებსაც მოზრდილი ბიბლიოთეკაც ვერ დაიტევდა, თითქმის ყველგანაა მოთხრობილი სასამართლო პროცესზე, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე ათასი წლის წინათ მიმდინარეობდა და საბრალდებულო სკამზე უზენაესი რანგის მოხელენი ისხდნენ. რამსეს მეცხრის დროინდელი პაპირუსები მოგვითხრობენ იმ ულირს წინაპრებზე, რომლებიც საკუთარი გამდიდრების სურვილით იყვნენ შეპყრობილნი და შეურაცხყოფდნენ მამა-პაპათა საფლავებს.

ერთი ასეთი სასამართლო პროცესის ოქმებში ბრალმდებლისა და ბრალდებულის სახით სამი პირია დასახელებული:

ხემუასი — ვეზირი, თებეს ოლქის მმართველი, პესერი — ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქის მმართველი და პევერო — მმართველი თებეს დასავლეთ ნაწილისა და მკვდარ-

თა სეობის ოფიციალური მცველი *. როგორც ირკვევა, პევერო და პესერი მტრები იყვნენ ერთმანეთის. სწორედ ამის გამო პესერი აღფრთოვანებული დარჩა, როდესაც გაიგო, რომ აღმოსავლეთ სანაპიროზე სისტემატურად ძარცვავდნენ სამარხებს. მას საშუალება ეძლეოდა, მეტოქე გაეფუჭებინა და საქმის ვითარება აცნობა ვეზირს. პესერმა მმართველს გაუგზავნა გაძარცული სამარხების სია — აქ ჩამოთვლილი იყო მეფეთა ათი სამარხი, ამონის ქურუმის ოთხი სამარხი და ცალკეულ პირთა სამარხების გრძელი სია.

მეორე დღესვე ვეზირმა ხემუასმა თავის მოხელეთაგან ავტორიტეტული კომისია შეადგინა და პევეროს გაუგზავნა. კომისიას უნდა დაედგინა ჭეშმარიტება და გაერკვია ბრალდების სისწორე.

გამოძიებამ შემდეგი სახე მიიღო: მეფეთა ათი სამარხიდან გაძარცული აღმოჩნდა მხოლოდ ერთი. ქურდებს ორში შეეღწიათ, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიეყვანათ. რაც შეეხებოდა ქურუმთა აკლდამებს, ოთხიდან მხოლოდ ორი იყო გაძარცული. კერძო პირთა სამარხები კი უკლებლივ ყველა გაძარცული აღმოჩნდა. ყველა ამ ფაქტის საწინააღმდეგოდ პევერომ თავის გასამართლებელი საბუთები მოიტანა. ვეზირმა ხემუასმა მიიღო მისი თვალსაზრისი და მკვდართა სეობის ოფიციალური მცველი გაათავისუფლა. კერძო პირთა სამარხების გაძარცვა ცინიკურად ახსნეს: ჩვენს კლასს არაფერი ესაქმება ვიღაც კერძო პირთა სამარხებთანო; ქურუმთა საფლავებიდან, მართალია, ორი გაძარცული აღმოჩნდა, მაგრამ ორი ხომ ხელუხლებელია. ერთი ფაქტი აწონასწორებს მეორეს და, მაშასადამე, აქ სახმაურო არაფერია. რაც შეეხება მეფეთა სამარხებს, მათგან მხოლოდ ერთია გაძარცული. აქედან ცხადია, რომ ცილისწამებასთან და გამოგონებულ ბრალდებასთან გვაქვს საქმე.

პევეროსათვის ბრალი ათი კაცის მოკვლაში დაედოთ და გამოძიების შედეგად დადასტურებულიყო, რომ მან მხოლოდ ერთი კაცი მოკლა — ამ ლოგიკიდან გამომდინარე, იგი სასამართლო დარბაზიდან დაუსჯელი უნდა წასულიყო და სინიდისის ოდნავი ქენჯნაც არ უნდა ეგრძნო. პევერო დაუსჯელი დარჩა. მან თავისი გამარჯვება ასე იზეიმა: მეორე დღესვე შეჰყარა ნეკროპოლის ზედა-

* ამ ისტორიის შემოკლებული თარგმანი მომაქვს კარტერის ნაშრომიდან — Гробница Тутанхамона, М., 1959. (ავტ.)

მხედველები, გუშაგები, მუშები და უბრძანა, ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში წასულიყვნენ და იქ გამარჯვების აღსანიშნავი დემონსტრაცია მოეწყოთ. ამ სვლას განსაკუთრებული საზეიმო იერი უნდა ჰქონოდა პესერის სახლის წინ. როგორც ჩანს, ბრძანების ბოლო ნაწილი დემონსტრანტებმა დიდი აღმავლობით ჩაატარეს — პესერს გულმა ვეღარ გაუძლო, მოთმინებიდან გამოვიდა, სასახლიდან გამოვარდა და ყველას გასაგონად მინისტრს დაემუქრა, ამ ამბავს ფარაონს შევატყობინებო. ეს მისი საბედისწერო შეცდომა იყო. პევერომ არ დააყოვნა და მინისტრს ახსნა-განმარტება მიართვა: პესერი აპირებს, თავზე გადაასხტეს უზენაესს, დაარღვიოს უმცროს-უფროსობის წესი და ფარაონთან დაგასმინოსო. ეს ამბავი პესერის აღსასრულს უდრიდა. ვეზირმა სასამართლოს მოუხმო. პესერი, რადგან თვითონაც მოსამართლე იყო, სხდომაზე უნდა გამოცხადებულიყო. იგი იქ გაამტყუნეს, როგორც ცილისმწამებელი. ამ ამბიდან ჩანს, რომ პევერო და მინისტრი ხემუასი თვითონ იყვნენ აკლდამების ძარცვის აქტიური მონაწილენი. რაღა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის, რომ პროცესიდან ერთი თუ ორი წელიც არ იყო გასული და ქურდებმა ისევ გაძარცვეს აკლდამა. ძარცვის მოთავენი ყოფილან ერთი ბანდის რვა წევრი. ჩვენამდე მხოლოდ ხუთი მათგანის სახელმა მოაღწია. ესენი იყვნენ ქვის მჭრელი საპი, ხელოსანი ირამონი, გლეხი ამენემხები, მეთულუხჩე ხემუასი და ნუბიელი მონა ახენოფერი. ქურდობის მონაწილე ხუთი წევრი დასაჯეს. ისინი დილეგში ჩაყარეს და იქ უნდა ყოფილიყვნენ მანამდე, სანამ თვით ფარაონი არ ისურვებდა მათთვის განაჩენის გამოტანას. რატომ არ იხსენიებენ სასამართლო ოქმები დანარჩენ სამ ქურდს? ვინ იყვნენ ისინი? რატომ ვერ მოაღწიეს მათ საბრალმდებლო სკამამდე?

აკლდამების ძარცვა მოითხოვდა რთულსა და საიდუმლო ხლართებს და სრულიად აშკარაა, ამ ხლართებში გაბმული ძაფის ერთი წვერი, რომლის ბოლო ვეზირ ხემუასის სავარძელზე იყო გამობმული, ხელში ეჭირა ბანდის რომელიღაც მონაწილეს, მას, ვისაც თავისი წილი უნდა მიერთმია უზენაესისათვის. ხოლო როცა მორწმუნე ქურუმებმა ან უანგარო მოხელეებმა ქურდები შეიპყრეს, ხემუასისა და პევეროს მთავარი საზრუნავი გახდა პროცესამდე მათი დადუმება. როგორც ჩანს, მეფისნაცვალმა და ქა-

ლაქის მერმა ეს საქმე თავიანთ სასარგებლოდ გადაწყვიტეს. სამართლიანობამ ვერ იხეირა. ქვეყანას შერჩნენ მამა-პაპათა საფლავების შემრყვნელები, წარსულის უარმყოფელები, ხალხი, რომელმაც დასაბამი დაუდო ეგვიპტელთა კულტურის, ეგვიპტელთა ენისა და თვით ეგვიპტელთა გადაშენებას. წარსულის აბუჩად ამგდები და მისი უარმყოფელი უპირველესი მოღალატეა თავისი ერისა და იგი მით უფრო საშიშია, რაც უფრო შორს მიუწვდება ხელი. რამსეს მეცხრის შემდეგ ძველმა ეგვიპტელმა ხალხმა რვაასიოდე წელი კიდევ იარსება. მათი საბოლოო გადაშენება, რა თქმა უნდა, ძირითადად, ძველი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა, მაგრამ საბედისწერო ჩარხის ბორბალზე რომ შინაურ გამყიდველს წყალი არ დაესხა, შესაძლებელია, ეგვიპტელთა სიტყვა დღემდე შემორჩენოდა ცისფერი მდინარის ცივილიზაციას.

რამსეს მეორის აკლდამაში გამოსახული ფრესკის წინ ჩერდება კაცი, რომელიც გიდობას გვიწევს, კედელზე გამოსახული ახოვანი მამაკაცის პორტრეტზე მიგვითითებს და ამაყად წარმოთქვამს: შეხედეთ ამ კაცს, მის მაღალ შუბლს, სწორ ცხვირს, ოდნავ ამოწეულ ყვრიმალებს, თვალის ირიბ ჭრილს და ფართო ნიკაპს. ნუთუ არა მგავს მე იგი? გიდი კოპტია და ამ საბუთით სურს თავისი ნათესაობა დაამტკიცოს შორეულ წინაპრებთან, მაგრამ ახმედის მდგომარეობა უმწეოა. დღეს ისიც არაა ხეირიანად დადგენილი, რომ ნილოსის სანაპიროზე მცხოვრები ექვსი მილიონი კოპტი არის თუ არა ძველეგვიპტელთა შთამომავალი. ახმედი ისე ლაპარაკობს ულირს წინაპრებზე, გეგონება, ისინი გუშინ ცხოვრობდნენ და ამ კაცს განსაცდელი გაუმზადეს. იგი ზიზღით იხსენიებს მათ, ვინც ბოლო მოუღო „მეფეთა ველის" ბრწყინვალე ისტორიას და შემდეგ ისევე სიამაყით იგონებს ადამიანებს, რომლებიც თავგანწირვით ებრძოდნენ უსამართლობას. ეტყობა, მას წაკითხული აქვს კერამის წიგნი, სადაც განხილულია „მეფეთა ველის" შორეული და უახლესი ისტორია. „ჩვენ იმდენი ვილაპარაკეთ მძარცველებზე, მოღალატეებზე, ქურდებზე, მექრთამეებზე, რომ მკითხველს შეიძლება ისეთი შთაბეჭდილება შეექმნას, თითქოს ეგვიპტელები სულაც არ ყოფილიყვნენ პატიოსანი ადამია-

ნები და მორწმუნეები, რომელნიც სათანადო თაყვანისცემით ექცეოდნენ გარდაცვლილი ფარაონის ხსოვნას. იმ დროს, როდესაც უკუნ ღამეში ნადავლით დატვირთული მძარცველები ჩუმად მიიპარებოდნენ ვიწრო ბილიკებით, მათ ჩასაფრებული ელოდნენ თავისი მოვალეობის ერთგული ადამიანები. მართალია, საწინააღმდეგო მიზნით, მაგრამ მათაც იგივე ხერხების გამოყენება სჭირდებოდათ. ქურდებთან ბრძოლაში რომ წარმატებისათვის მიეღწიათ, საჭირო იყო, დაესწროთ მათთვის და მძარცველებს ძარცვითვე ებრძოდნენ. მოვალეობის ერთგული მცირერიცხოვანი ქურუმებისა და უანგარო მოხელეების ეს პრევენციული ომი კარგად ორგანიზებულ მძარცველებთან კიდევ უფრო დიდ მომზადებას მოითხოვდა და იდუმალებით იყო მოცული. ფანტაზიას თუ დავძაბავთ, გავიგონებთ მღელვარე ჩურჩულს, დავინახავთ ღია სარკოფაგის თავზე ანთებულ მაშხალებს. მათ ეშინიათ, არავინ დაინახოს, ან არავინ შენიშნოს. ამ ადამიანებს, მართალია, არავითარი საშიშროება არ მოელით, რადგან ისინი ცუდს არაფერს აკეთებენ, მაგრამ, საკმარისია, მოღალატის ერთი სიტყვა, რომ მძარცველთათვის ცნობილი გახდება, აჰა და ამ ფარაონის ნეშტი ახლა სხვა ადგილზეა გადატანილიო.

ქურუმთა ეს მსვლელობა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ორი ან სამი ქურუმი აჩქარებით მისდევს ერთ-ერთს იმ მცირერიცხოვან დარაჯთაგანს, რომელმაც არ უღალატა თავის მოვალეობას. მიასვენებენ მეფეთა გვამებს და გადააქვთ ისინი ერთი ადგილიდან მეორეზე, რომ გადაარჩინონ მძარცველებისაგან. ქურუმები შეიტყობენ თუ არა მძარცველთა ახალი შეთქმულების ამბავს, ისევ იმეორებენ თავიანთ ღამეულ საქმიანობას და მუმიები, რომლებიც საუკუნო სიმშვიდით უნდა განისვენებდნენ, იწყებენ მოგზაურობას.

მუმიების გადატანა ზოგჯერ ოფიციალურადაც ხდებოდა. ჯარი ალყას შემოარტყამდა „მეფეთა ველს", სარკოფაგები არასაიმედო სამყოფელიდან დღის სინათლეზე გამოჰქონდათ და სხვა აკლდამებში ასაფლავებდნენ. საიდუმლო რომ გაუთქმელი დარჩენილიყო, რა თქმა უნდა, ამ პროცესის ბევრი მოწმე უნდა გამოთხოვებოდა სიცოცხლეს.

რამსეს III სამჯერ გადაიტანეს ერთი ადგილიდან მეორეში.

მოგზაურობდნენ იასმესი, ამენხოტეპ პირველი, თუთმოს მეორე და თვით რამსეს დიდიც".

ბოლოს და ბოლოს, საიმედო სამალავის სიმცირის გამო, ყველანი ერთ აკლდამაში მოხვდნენ.

დედოფალ ჰატშეფსუტის ტაძრის მახლობლად, კლდეში გამოკვეთილ დეირ-ალ-ბაჰარის აკლდამაში, მოიყარეს თავი ეგვიპტის უბრწყინვალესმა ფარაონებმა და იქ სამი ათასი წლის მანძილზე არავის დაურღვევია მათი მყუდროება. მაგრამ რა დაემალება კურინელ გლეხებს, უძველესი ქურდების მთამომავლებს. ისინი მუდამ ყურადღებადაძაბული დაფოთარობენ თებეს მთებში და იმედი აქვთ, მაინც მიაგნებენ ზღაპრული სიმდიდრით სავსე აკლდამებს. ალბათ ასევე ოცნებობდა ღარიბი გლეხი აბდ-ალ რასული, როცა ერთ დღეს მზით დაცხავებულ დეირ-ალ-ბაჰარის ქარაფზე ხვრელი შენიშნა. რასულმა ვიწრო ხვრელში თოკი ჩაუშვა და სიბნელეს შეერია. როდესაც იატაკს ფეხი უწვდინა, ჭრაქი აანთო და შიშნარევი სიხარულით მონუსხული ერთ ადგილზე გაქვავდა. მისი ფანტაზია ვერასოდეს წარმოიდგენდა იმას, რასაც იგი ბურანში ხედავდა. აკლდამა სავსე იყო უმდიდრესი მეფეების უამრავი მუმიით.

ვიდრე ამ ყბადაღებულ ამბავზე რამეს ვიტყოდე, მინდა ორიოდე სიტყვით მკითხველს შევახსენო „მეფეთა ველის" ჩვენი დროის ისტორია.

ღვთის ანაბარად მიტოვებული ბრწყინვალე აკლდამები საუკუნეების მანძილზე ტურების ბუნაგად და ღამურების საბუდრად იყო ქცეული. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის დამდეგს მტვრით ამოვსებულ აკლდამებს ქრისტიანმა ლტოლვილებმა შეაფარეს თავი. მაგრამ ისინი აქ ვერ დამკვიდრდნენ. თებეს უსიცოცხლო მთები ყოველთვის სავსე იყო მთავრობის უკმაყოფილო ავაზაკი მკვლელებით და, რა თქმა უნდა, ყაჩაღები წმინდანებთან ჭერს ვერ გაიყოფდნენ. როგორც ჩანს, მესიას მახვილზე მეტად აქ პილატეს სატევარმა იმძლავრა და დიდი ხნის განმავლობაში „მეფეთა ველი" მათ სარბიელს და საკუთრებას წარმოადგენდა. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს (1798 წ.) ნაპოლეონის სამეცნიერო ექსპედიციის წევრებმა შეაღწიეს მეფეთა ხეობაში. იმპერატორის სწავლულ კაცებს წინ მწერალი და მეცნიერი ვივან-

დენონი მიუძღოდა. მას ხელში ეპყრა რიჩარდ პიკოკის ნაშრომი, რომელმაც „მეფეთა ველი" ჯერ კიდევ 1749 წელს მოინახულა და შეძლებისდაგვარად აღწერა იგი. ვივან-დენონს მიზნად ჰქონდა დასახული, თებეს ქარაფებში გამოკვეთილ აკლდამებზე გამოსახული ფრესკებისა და წარწერების ასლები გადმოეღო, დაწვრილებით შეესწავლა მიწისქვეშა პალატების განლაგება, შეედგინა მათი გეგმები, მაგრამ განზრახვა მთლიანად ვერ მოიყვანა სისრულეში. როგორც ჩანს, მრისხანე იმპერატორის ავტორიტეტს არ მოერიდნენ მთებს შესიზნული ავაზაკები. კლდეებს ამოფარებულებმა ფილთის ჩახმახები შეწკიპეს და ხეობა თოფის ქუხილმა შეძრა. ცხელ ქვიშაზე დამხობილმა ფრანგმა სწავლულებმა ფორთხვით დააღწიეს თავი „მეფეთა ველის" საშიშ ვიწროებს.

თექვსმეტი წლის შემდეგ აქ იტალიელი ბელცონი მოვიდა. ჯოვანი ბატისტა ბელცონი მშობლებს მღვდლად უნდოდათ ეკურთხებინათ, მაგრამ საეჭვო პოლიტიკური მოღვაწეობისათვის ციხეში უკრეს თავი. შემდეგ იტალიიდან ინგლისში გაიქცა, ცირკის არენაზე გამოდიოდა და გასაოცარი ღონით ხალხს აკვირვებდა. როგორც ჩანს, ჯოვანის ეს პროფესია არაფრად ეპიტნავა — ინგლისიდან ნილოსის სანაპიროზე ამოყო თავი და იქ ეგვიპტის მმართველს მუჰამედ ალის უმტკიცებდა, ისეთი წყლის ბორბალი გამოვიგონე, თუ საჭირო ჰონორარს გაიღებ, ნილოსის სანაპირო მიწებს წალკოტად ვაქცევო. როცა ამ საქმიდანაც არაფერი გამოვიდა, ბელცონიმ სიძველეების შეგროვებას მოჰკიდა ხელი და თავისი სახელი სამუდამოდ უკვდავყო.

ვინ, ვინ და, ჯოვანი ბატისტა ბელცონი არასოდეს ავიწყდებათ ეგვიპტის არქეოლოგიის ისტორიის მკვლევარებს. ზოგი მას შარლატანსა და მძარცველს უწოდებს, ზოგი, პირიქით, ფრიად საპატიო მოღვაწედ მიიჩნევს. ბელცონიმ „მეფეთა ველზე" გათხარა რამსეს პირველის, სეტი პირველის, მენთუხოტეპისა და ეის აკლდამები. სეტი I აკლდამაში მან ნახა ალებასტრისაგან გამოკვეთილი შესანიშნავი სარკოფაგი. აღმოჩენილ ნივთებს ბელცონი ჯერ ყიდდა, შემდეგ ვაჭრობას თავი დაანება, ხელოვნების ბევრ ბრწყინვალე ნიმუშს მოუყარა თავი და ინგლისში გამოფენა მოაწყო.

1844 წელს „მეფეთა ველზე" პირველად მოვიდა მეცნიერული

მეთოდებით აღჭურვილი გერმანელთა დიდი ექსპედიცია. ამ ექსპედიციას სახელოვანი მეცნიერი ლეფსიუსი ხელმძღვანელობდა. გერმანელებმა გულმოდგინედ გამოიკვლიეს „მეფეთა ველი" და მას შემდეგ ყველა თვლიდა, რომ იქ საძიებელი აღარაფერი იყო. თებეს მთები დიდ ხნით უყურადღებოდ მიატოვეს.

ვინ იცის, რამდენ ხანს დარჩებოდა ეს გაძარცული და დადუმებული ხეობა მეცნიერული აზრის მიღმა, რომ 1875 წელს აბდ-ალ რასულს დეირ-ალ-ბაჰარის საიდუმლო აკლდამისათვის არ მიეგნო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ გასაოცარ ამბავს „მეფეთა ველის" ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი იგონებს, ვინაიდან მას განსაკუთრებული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტოლოგიის ისტორიაში.

აკლდამაში მოხვედრილი აბდ-ალ რასული გონს რომ მოეგო, აკანკალებული, მთრთოლვარე თითებით ძვირფას ნივთებს მიელოლიავა, შემდეგ რამდენიმე ნივთი უბეში ჩაიდო, ხვრელში ჩაშვებულ თოკს ჩამოეკიდა და ზემოთ აბობღდა. ხვრელიდან თავი რომ გამოყო, იდუმალი მზერა მოავლო მზით გათანგულ, უსიცოცხლო მიდამოს. დაშაშრული ყვითელი კლდეების ქიმებზე აქა-იქ წაბლისფერი სვავები წამოყუნტულიყვნენ. ხეობის მყუდროებას მხოლოდ ჭრიჭინები არღვევდნენ. რასული ხევში ჩაგორდა, იქვე მდგომ ძმასა და თანასოფლელს შეშლილი თვალები მიანათა და საბრალოდ დაიბღავლა — ხვრელში „აფრიტი" ზისო. კურინელებს სიკვდილის დღესავით ეშინოდათ ავი სულის. შეძრწუნებულებმა ხელ-ფეხი იშვირეს და სოფლისაკენ გაიქცნენ. ერთხანს რასულიც მირბოდა, მერე შეჩერდა, ცბიერად ჩაიღიმა, დასვრილი ტანსაცმელი ჩამოიბერტყა და სოფლის ქუჩები ზლაზვნით გაიარა. დროდადრო მიწურის წინ ჩამომსხდარ მოხუცებს ესალმებოდა და ისინიც უღიმღამოდ ეპასუხებოდნენ. ვინ წარმოიდგენდა, რომ ამ წუთიდან უღარიბესი კურინელი გლეხი აბდ-ალ რასული უდიდესი სიმდიდრისა და საიდუმლოს მფლობელი იყო. სახლში მისულმა ფიქრებს მისცა თავი და შემდეგ გადაწყვეტილება მიიღო; უახლოესი ნათესავების ოჯახის უფროსები სახლში მოიწვია და საიდუმლო სერობა გამართა. წინასწარ კი ფიცი დაადებინა, რომ ისინი არასოდეს გასცემდნენ საიდუმლოს, რომლის გამხელასაც

იგი აპირებდა. გლეხები ყურებს არ უჯერებდნენ და რასულს ეჭვის თვალით შეჰყურებდნენ, მაგრამ როცა მან ჩამავებულ სუფრაზე ძვირფასი ნივთები დააწყო, სახადაბრჩენილებს გაოცებისაგან თვალები შუბლზე ამოუვიდათ.

ექვსი წლის შემდეგ ამ თათბირის ერთ-ერთმა მონაწილემ საიდუმლო გასცა. „1881 წლის 5 ივლისს აკლდამას მიადგა კაიროს მუზეუმის თანამშრომელი, რომელსაც თვით აბდ-ალ რასული უჩვენებდა გზას".

არქეოლოგიის ისტორიაში ეს იყო პირველი უდიდესი აღმოჩენა, რომელსაც მეცნიერებმა ბარისა და ნიჩბის გარეშე, მათთვის უჩვეულო, დეტექტური მეთოდით მიაკვლიეს.

თათბირის მონაწილეებმა გადაწყვიტეს, სიმდიდრე იქ დაეტოვებინათ, სადაც სამიათასი წელი ინახებოდა და საჭიროებისამებრ გამოეყენებინათ იგი. ამის შემდეგ რასული თვეში ორჯერ ან ერთხელ მაინც გადავიდოდა ხოლმე ნილოსის გაღმა მხარეს და ლუქსორის ქუჩებში, დუქნებსა თუ სასტუმროებში უდიდესი სიფრთხილით ეძებდა და არჩევდა სანდოსა და მდიდარ მუშტრებს.

ხუთი წლის განმავლობაში დროდადრო კაიროს მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებს გერმანიიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან და ხანაც ამერიკიდან ატყობინებდნენ, რომ ტურისტებმა აქ ჩამოიტანეს ლუქსორის შავ ბაზარზე ნაყიდი ძვირად ღირებული უძველესი ნივთები. მეცნიერები ამ ამბავმა საგონებელში ჩააგდო, ვერ გაეგოთ, საიდან უნდა მოხვედრილიყო სხვადასხვა დინასტიის დროინდელი ნივთები ერთი კაცის ხელში.

რას იფიქრებდა კაიროს მუზეუმის დირექტორი, სახელოვანი მეცნიერი გასტონ მასპერო, რომ ჟამიდან ჟამზე ვინმე რასული ძარცვავდა ხოლმე დეირ-ალ-ბაჰარის აკლდამაში სამი ათასი წლის წინათ ქურუმების მიერ გადასვენებულ, ეგვიპტის ბრწყინვალე ფარაონების მუმიებს.

პროფესორმა პოლიციას მიმართა, მაგრამ როცა ვერაფერს გახდა, დეტექტივის შეფობა თვითონ იკისრა. ლუქსორში თავისი ასისტენტი გაგზავნა და საჭირო ფული და დარიგება მისცა. ასისტენტი თავს მდიდარ ამერიკელად ასაღებდა. „ამერიკელი" სიძველეების უბადლო მცოდნე აღმოჩნდა. იგი მხოლოდ ორიგი-

ნალებს ყიდულობდა, არასოდეს ცდებოდა და ფულსაც კარგად იხდიდა.

ასისტენტმა დიდი ნდობა მოიხვეჭა დუქნების მფლობელ გადამყიდველ ვაჭართა შორის. სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა გააცნო მას ძალიან მაღალი ტანის გამხდარი არაბი. აბდ-ალ რასული ექვსი წლის განმავლობაში ოდნავ შეცვლილიყო. შედარებით სუფთად ეცვა. მის საქციელში მდიდარი კაცის თავხედობა იგრძნობოდა. მყიდველს რამდენიმე ნივთი აჩვენა. ასისტენტმა შეიძინა ეს ნივთები. იგი მიხვდა, რომ ასმასი არაბი იყო აკლდამების საიდუმლოს მცოდნე, მძარცველი და იგი იმ დღესვე დააჭერინა.

გამოძიება კენის მმართველს, თვით დაუდ-ფაშას მიჰყავდა. ამ კაცის სიმკაცრე შიშის ზარს სცემდა მის ხელქვეითებს, მაგრამ რასულს აღმოაჩნდა ნებისყოფა. იგი წამებას უძლებდა და სამარესავით დუმდა. როდესაც მოწმედ მოწვეულმა თანასოფლელებმა ფაშას უთხრეს, რასული მთელ სოფელში უპატიოსნესი კაცის სახელით არის ცნობილიო, ბუდირმა რასულის ციხიდან გაშვება ბრძანა.

ამბობენ, შინ დაბრუნებულმა რასულმა შეთქმულებს თავი მოუყარა და ციხეში წამების სანაცვლოდ მოითხოვა, ამიერიდან გაყიდული ნივთების შემოსავლის ერთი მეხუთედის ნაცვლად მისთვის შემოსავლის ნახევარი მიეცათ. ამის გამო ქურდები შელაპარაკდნენ, შემდეგ კიდეც შესჯლდახელდნენ და ერთმანეთს თავები დაუსისხლიანეს. ბანდის გაგულისებული ერთი წევრი ფაშასთან გამოცხადდა და საიდუმლო გასცა.

იმასაც ამბობენ, რომ რასულს მოსვენება დაუკარგა ბუდირის გამყინავმა მზერამ, სასჯელის შიშით შეპყრობილი თვითონ გამოცხადდა დაუდ-ფაშასთან და დანაშაული აღიარა*. ასე იყო თუ ისე, ამ ამბიდან დიდი ხანი არ გასულა, რომ კაიროს მუზეუმის თანამშრომლებმა ლუქსორიდან გამოგზავნილი დეპეშით შეიტყვეს აკლდამის აღმოჩენის ამბავი.

პროფესორი მასპერო იმხანად პარიზში იმყოფებოდა, ხოლო ასისტენტი, რომელმაც ეს საიდუმლო ამოხსნა, ლუქსორის სას-

---

* ცერენი თავის წიგნში „ბიბლიური ბორცვები" წერს, რომ აბდ-ალ რასულმა თვით ემილ ბურგუშს გაუმხილა საიდუმლო.

ტუმროში სიცხისაგან გაიარანებული ლოგინში ბორგავდა. ამ აღმოჩენის სიხარული ბედმა ემილ ბურგუშს არგუნა. იგი იმხანად კაიროს მუზეუმის დირექტორის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. ბურგუში ლუქსორში გაემგზავრა და მეორე დღესვე, რასულთან ერთად, მიადგა დეირ-ალ-ბაჰარის აკლდამას. რაც მან იქ ისილა, არც მანამდე და არც შემდეგ არ ღირსებია არც ერთ ეგვიპტოლოგს. ემილ ბურგუშმა მეცნიერთაგან პირველად შეავლო თვალი მსოფლიოს უძველესი იმპერიის მპყრობელებს, რომელთა სახელები ეგვიპტელი ხალხის გადაშენებასთან ერთად დავიწყებას მიეცა და რომლებსაც ორიათასი წლის შემდეგ გენიოსმა ფრანსუა შამპოლიონმა ისევ დაუდგა ზემო და ქვემო ეგვიპტის ბრწყინვალე გვირგვინი.

იეროგლიფების გაშიფვრას შემდეგ ფილოლოგებმა აკლდამებისა და ტაძრების კედლებზე, სარკოფაგის სუფებზე და პაპირუსებზე ამოიკითხეს ამენხოტეპისა და სეტი პირველის, იახმესისა და რამსეს დიდის სახელები. მეცნიერებმა კვლავ გააცნეს მსოფლიოს ისინი, ვინც აფრიკისა და აზიის უძველეს ცივილიზაციებს თავიანთ ნებას კარნახობდნენ.

ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს ღმერთკაცები უწესრიგოდ იყვნენ შეყრილი დეირ-ალ ბაჰარის კლდეში გამოკვეთილ ერთ აკლდამაში. მეცნიერი, რომელიც კარგად იცნობდა ახალი სამეფოს დინასტიის ფარაონების მოღვაწეობას, მოკრძალებული შიშით შესცქეროდა სარკოფაგებს. „ვერ გამოვრკვეულიყავი, ცხადში ვიყავი თუ სიზმარში. დავხედე ერთ სარკოფაგს და სახურავზე წავიკითხე მეფე სეტი პირველის სახელი, რომელიც მამა იყო რამსეს მეორისა; მისგან რამოდენიმე ნაბიჯზე, გულზე ხელდაკრეფილი, უბრალო კუბოში ესვენა თვით რამსეს მეორე. რაც უფრო ღრმად მივიწევდი დარბაზის სიღრმეში, მით უფრო მეტ საგანძურს ვაწყდებოდი. აქ ესვენენ ამენხოტეპ პირველი და იახმეს პირველი, სამი ფარაონი — რომლებიც ისტორიაში თუთმოსის სახელით იყვნენ ცნობილი. აქვე იყო დედოფალი ამეს ნეფერტიტი. სულ დავთვალე ოცდაჩვიდმეტი კუბო, რომელშიც ესვენენ მეფეებისა და დედოფლების, მეფის ასულებისა და მეფისწულების კარგად შენახული მუმიები“.

ზოგიერთი მათგანი ისე კარგად იყო შემონახული, რომ კაცს

შეეძლო ეცნო ისინი სკულპტურული პორტრეტებისა და ფრესკების მიხედვით, რომლებიც დღემდე ამშვენებენ ახალი სამეფოს დროინდელ ტაძრებსა და აკლდამებს. უფრო მეტიც, მუმიების მიხედვით შეიძლებოდა ნათესაური მსგავსების დადგენა. რამსეს მეორე, რომელმაც 90 წელიწადი იცოცხლა, ტყუპის ცალივით ჩამოჰგავდა თავის მამას სეტი პირველს. ემილ ბურგუშისათვის ცნობილი იყო, რომ ფარაონი სეკენენრა აზულებთან ბრძოლაში დაიღუპა. როდესაც მან იატაკზე გადმოგდებული სარკოფაგის სუფზე აქ ფარაონის სახელი ამოიკითხა, მუმიას მოუბრუნდა და მაშხალის წითელ შუქზე გაარჩია მტრისაგან ნაძგერები მახვილის ნაკვალევი. ის, რაც მეცნიერებისათვის წარწერებიდან იყო ცნობილი, არქეოლოგიურმა აღმოჩენამ ნივთიერად დაადასტურა და ზღაპარი სინამდვილედ აქცია.

ბურგუშ-ბეიმ სამასამდე ფელახს მოუყარა თავი. ჯარისკაცებმა ალყა შემოარტყეს დეირ-ელ ბაჰრის აკლდამის მისადგომებს და ორმოცდარვა საათის განმავლობაში მეფეთა მუმიები აკლდამიდან გამოასვენეს. ეს იყო ფარაონების უკანასკნელი და უცნაური მოგზაურობა. კაიროსაკენ მიმავალი გემი ნელ-ნელა ირწეოდა ნილოსის ტალღებზე. გემბანზე დასვენებულ ფარაონებს — სამიათასი წელი რომ უკუნ ღამეში გაათიეს, კვლავ უნათებდა დასალიერზე დაკიდებული მკვდრის მზე. საღამო ხანი იყო. ნილოსის გაღმა-გამოღმა ნაპირებს მოაწყდნენ ეგვიპტელი ფელახები. ისინი ფეხდაფეხ მისდევდნენ გემს, კაცები თოფებს ისროდნენ, ხოლო თმაგაშლილი ქალები ლოყებს იხოკდნენ და ზარით აცილებდნენ ათასეულ წლებს მიღმა გარდაცვლილ ღმერთკაცებს, რომელთა სხოვნას ლეგენდებში ინახავდა ეგვიპტის მიწა.

ამ აღმოჩენის შემდეგ „მეფეთა ველი" კვლავ მეცნიერთა ასპარეზად იქცა. 1898 წელს ეგვიპტის სიძველეთა სამსახურის გენერალურმა დირექტორმა ლორემ აქ კლდეში გამოკვეთილი, ბრწყინვალედ ნაგები აკლდამა აღმოაჩინა. იგი მეთვრამეტე დინასტიის ფარაონს ამენხოტეპ მეორეს ეკუთვნოდა. სამალავში ამენხოტეპთან ერთად ესვენა რვა ფარაონის მუმია, ყველა გაძარცული. ქურდებს მეფეებისათვის კუბოებიც აღარ შეერჩინათ. სახვევებშემოფლეთილი ფარაონები იატაკზე იყვნენ მორიალებული. აურაცხელი სიმდიდრე ჩაუტანებიათ თურმე ძლევამოსილ ფარაონ ამენ-

სოტეპ მეორისათვის ქვენა სოფელში მარადიული მოგზაურობისათვის. არქეოლოგებმა კი მას სარკოფაგში ერთი გროშის სადირალიც ვერაფერი იპოვეს. ერთადერთი, რაც მძარცველებს მისთვის შეერჩინათ, იყო კუბო, რომელშიც გაძარცული ფარაონი ესვენა.

ლორემ ბრძანა, ხელი არ ეხლოთ ფარაონისათვის. აკლდამა დახურეს და, მეცნიერთა თხოვნით, მთავრობამ მუდმივი გუშაგები მიუჩინა მას, მაგრამ ეგვიპტის პოლიციამ ატომის საუკუნის გარიჟრაჟზედაც ვერ შეძლო, ფარაონისათვის სიმშვიდე შეენარჩუნებინა. ორი წლის შემდეგ აკლდამაში მძარცველები შეიპარნენ და მუმია სარკოფაგიდან ამოათრიეს. სიძველეთა დაცვის მთავარმა ინსპექტორმა მიაგნო ქურდების კვალს და სამაათასი წლის შემდეგ კვლავ შედგა სასამართლო სხდომა, რომელმაც ხემუასისა და პევეროს, ხაპასა და იაროიონის მორეული მთამომავალნი გაასამართლა.

ლორეს შემდეგ „მეფეთა ველზე" 1902 წლიდან 1914 წლამდე გათხრებს აწარმოებდა ამერიკელი თეოდორ დევისი, ხოლო 1914 წელს სიძველეთა დაცვის დეპარტამენტის დირექტორმა, პროფესორმა გასტონ მასპერომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომელიც უფლებას ანიჭებდა ლორდ კარნარვონს და ჰოვარდ კარტერს, გათხრები ეწარმოებინათ „მეფეთა ველზე". მასპერომ საკონსესციო ბლანკი გაუწოდა ჰოვარდ კარტერს და თან ირონიულად დასძინა, „მეფეთა ველმა" ამოწურა თავისი შესაძლებლობანი, იქ საძებნელი აღარაფერია და ყოველგვარი შრომა ფუჭად ჩაივლისო. რას იფიქრებდა პროფესორი, რომ ამ წუთში იგი იძლეოდა ყველაზე ბედნიერ ღია ფურცელს, რომ მისი მფლობელი, იმ დროისათვის არცთუ ისე ცნობილი არქეოლოგი, ინგლისელი ჰოვარდ კარტერი მემნონის უზარმაზარი და მარადიული კოლოსავით აღიმართებოდა ეგვიპტოლოგიური მეცნიერების ცაზე.

ჰოვარდ კარტერი დიდი არქეოლოგების, პიტრისა და დევისის მოწაფე იყო. „ამ უგანათლებულეს კაცს არ აკლდა პრაქტიკული ჭკუა და ფანტაზია". იგი ოცნებობდა, არქეოლოგიური გათხრები დაეწყო „მეფეთა ველზე". მაგრამ საამისო თანხა ვერა და ვერ გამოეძებნა. სწორედ ამ დროს ეგვიპტეში ჩამოვიდა ლორდი კარნარვონი. ამ უმდიდრესმა კაცმა, რომელსაც ბავშვობიდანვე აინტერესებდა სპორტი და სიძველეები, 1906 წელს გათხრები და-

იწყო ეგვიპტეში. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ საამისო ცოდნა არ გააჩნდა და დახმარებისათვის მასპეროს მიმართა.. მასპერომ მას თანამშრომლად ჰოვარდ კარტერი შესთავაზა. ექვსი სეზონი იმუშავეს მათ თებეს ნეკროპოლისის შემოგარენში და არცთუ ისე უმნიშვნელო არქეოლოგიურ აღმოჩენებს ერთობლივი ნაშრომი მიუძღვნეს.

მას შემდეგ კი, რაც მისტერ თეოდორ დევისმა თავი დაანება „მეფეთა ველის" არქეოლოგიურ შესწავლას, კარნარვონმა და კარტერმა ხეობის შესასვლელში პატარა სახლი ააშენეს და ექვსი სეზონი მართლაც რომ ფუჭად აბრუნებდნენ „მეფეთა ველის" მზისგან დასრუკულ, უსიცოცხლო მიწას. მასპერო ისევ ირონიულად იღიმებოდა, სოლო დევისი ღმერთს მადლობას წირავდა, რომ დროულად დაანება თავი არქეოლოგიურ გათხრებს. სწორედ ამ დროს კარტერმა „მეფეთა ველზე", რამსეს VI აკლდამის ახლოს, ხელოსანთა ქოხმახების შემცველ ფენაში რომ დაღრმავდა, ღორღნარევი მიწის ქვეშ კიბის ერთი საფეხური იპოვა.

ეს ამბავი 1922 წლის 4 ნოემბერს მოხდა. იმ ხნიდან დღემდე მილიონობით ადამიანმა გადააბიჯა ამ საფეხურს და იშვიათად მოხდება, რომ არქეოლოგის გარდა ვინმე დაინტერესდეს კლდეში ამოკვეთილი აკლდამისაკენ მიმავალი კიბის დასაწყისით. დაჟინებით ჩავყურებ საფეხურს და გონების თვალით ვხედავ კარტერს...

იმ დღეს სამუშაოზე დააგვიანდა, ლონდონში ლორდისათვის გასაგზავნი წერილი დაწერა, მერე თეთრი პერანგი გადაიცვა და ხეობას შეუყვა. შვიდი წელიწადია დადის ამ გზაზე ჰოვარდ კარტერი, იმედი გადაწურული აქვს. სეზონის დასაწყისში კარნარვონს ეთათბირა. გადაწყვიტეს, თავი დაანებონ „მეფეთა ველს". მასპერო მართალი იყო, როცა უთხრა, ხეობაში საძებნელი აღარაფერიაო, მაგრამ კარტერს გული რაღაცას ეუბნება, ტანი უაზრებს, არ უნდა, სამუდამოდ გამოეთხოვოს „მეფეთა ველს". იგი აქ ტუტანხამონის აკლდამას ეძებდა, იმ ფარაონის განსასვენებელს, რომლის მუმია არც დეირ-ალ-ბაჰარის და არც ამენხოტეპის აკლდამის სამალავში არ აღმოჩნდა. ტუტანხამონი იყო ცნობილი ფარაონის ეხნატონის სიძე, რომელზედაც პაპირუსები ბევრს არაფერს მოგვითხრობენ. კარტერს იგი აქ ეგულება, „მეფეთა ველზე", და კარნარვონს ეუბნება — შეცვალონ თავიანთი გადაწყვეტილება



ტუტანხამონის ოსირისული ქანდაკება.



კიდობანი ტუტანხამონის აკლდამიდან.



ტუტანხამონის აკლდამაში აღმოჩენილი ერთ-ერთი სკივრი.
ტუტანხამონი ეტლში. სკივრის მოხატულობა.



ტუტანხამონი და მისი
მეუღლე.



ტუტანხამონის სამეფო ტახტი.



ფარაონი ჰატშეფსუტი.
ძვ. წ. XVI ს.



ფარაონ ჰატშეფსუტის
ოსირისული ქანდაკება.



ჰატშეფსუტის ტაძარი
დეირ-ალ-ბაჰარში. ძვ. წ. XVI ს.

და ერთი სეზონი კიდევ იმუშაონ. მიუხედავად იმისა, რომ უამრავი თანხა უნაყოფოდ ეხარჯება. ლორდი თანახმაა და კარტერი ძველ ნაცნობ მუშებთან ერთად ისევ ველზეა. მუშები უაღრესად დიდ პატივს სცემენ კარტერს. მისი სახელი ამ მხარეში ლეგენდასავით დადის. შარშანწინ, ლუქსორის ქუჩებში რომ დასეირნობდა, „მასთან მივიდნენ ერთი სოფლის ძალზე აღელვებული თავკაცები". ისინი არქეოლოგს დახმარებას თხოვდნენ ასეთ საქმეში, რომელიც პოლიციის შეფის მოვალეობას შეადგენდა და არა მეცნიერისას. ველის ბოლოში აღმართული მთის დასავლეთ ფერდობზე, რომელიც სოფელ კურნას დაჰყურებს, ავაზაკებს სამალავისათვის მიეგნოთ და განძის გატაცებას აპირებდნენ. კარტერმა რამდენიმე მუშა შეაიარაღა და ხეობაში შევიდა. მთის წვერს რომ მიაღწია, შუადღე გადასული იყო. ერთ ადგილას მან ქიმზე გამობმული თოკი შენიშნა, რომელიც ღრმა ჭაში ეშვებოდა. „ყური მივუგდე და გავიგონე, როგორ მუშაობდნენ ქვემოთ მძარცველები. უპირველეს ყოვლისა, თოკი გადავჭერი და ქურდებს გასაქცევი გზა ჩავუკეტე". ფსკერზე დავარდნილ თოკს შეძრწუნებული დააცქერდნენ საფლავის ქურდები: მათ იგრძნეს მოახლოებული სიკვდილის სიახლოვე და სასომიხდილნი მაღლა იყურებიან. „თოკი რომ გადავჭერი, — განაგრძობს კარტერი, — ჩემი ბაგირი დავამაგრე ქიმზე და ჭაში ჩავეშვი". ეს ნაბიჯი თავგანწირვას უდრიდა. აკლდამის იატაკს ფეხი რომ დაადგა, სიკვდილს თვალებში ჩააშტერდა. ერთ-ერთ კედელთან წერაქვით შეიარაღებული რვა ავაზაკი იდგა, რომლებსაც სახეები ოფლში შეზელილი ჭრაქის ჭვარტლით ჰქონდათ შემურული. უადგილოდ ნათქვამი ერთი სიტყვაც კი სიცოცხლის ფასად შეიძლებოდა დამჯდარიყო. „მძარცველებს წინადადება მივეცი, ან ჩემი ბაგირით გასცლოდნენ აქაურობას, ან არადა, ადგილზე დარჩენილიყვნენ უთოკოდ, ე. ი. სამშვიდობოს გასვლის საშუალებას მოკლებულნი. ბოლოს და ბოლოს, გონიერებამ თავისი გაიტანა".

რვიდან ერთმა, რომელიც ალბათ ყველაზე კარგად გაერკვა შექმნილ ვითარებაში, წერაქვი კედელს ესროლა. აკლდამაში გაისმა კლდეს მიჯახებული რკინის ყრუ ხმაური და მძარცველი თოკს ჩამოეკიდა. მას მიჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე და როცა მერვემაც მიახეთქა კლდეს წერაქვი, კარტერმა შვებით ამოისუნ-

თქა. ის ღამე აკლდამაში გაატარა, მეორე დღეს კი გათხრები დაიწყო. კარგა ხანს მუშაობდა, მაგრამ განსასვენებელი, რომელიც ეგვიპტის ერთადერთ ფარაონ ქალს ჰატშეფსუტს ეკუთვნოდა — გაძარცული აღმოჩნდა. არქეოლოგიის ისტორიაში ასეთი თავგანწირვის ფაქტი ამ დროისათვის უმაგალითო იყო.

საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ კარტერის მოღვაწეობა ეგვიპტის არქეოლოგიის ისტორიაში უმაგალითო იყო. გენიოსის ნებისყოფამ მიიყვანა იგი ტუტანხამონის აკლდამის საფეხურამდე.

იმ წელიწადს გათხრება ახალი დაწყებული ჰქონდა, უმნიშვნელო მიწის სამუშაოც კი არ იყო შესრულებული და იმედგაცრუებული არქეოლოგი რას წარმოიდგენდა, რომ 4 ნოემბრის დილას უდიდეს აღმოჩენას მოახდენდა „მეფეთა ველზე".

ხეობის სიჩუმე ეუცნაურა კარტერს. დროდადრო ჩერდება და ხმებს აყურადებს. მუშები შესვენების დროსაც კი, როგორც ეს სამხრეთელებს ჩვევიათ, ხმამაღლა ყაყანებენ, მაგრამ ახლა ხეობაში ჩქამიც არ ისმის. კარტერმა ნაბიჯს აუჩქარა, პატარა აღმართი აათავა და თვალი შეავლო თხრილის გარშემო მდგარ მონუსხულ მუშებს. ისინი დაჟინებით ჩაჰყურებდნენ იმ ადგილს, სადაც რაის ჰუსეინი და ჰამედ გურგანი რაღაცას ასუფთავებდნენ. ვიღაცამ კარტერი დაინახა და ხეობა სიხარულის ყიჟინამ შეძრა. მერე ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კარტერი თვითონ შეუდგა მომდევნო საფეხურის გასუფთავებას. მეორეს მესამე მოჰყვა, მესამეს — მეოთხე, მეოთხეს — მეხუთე, მეხუთეს — მეექვსე. კიბე, რომელიც მიწის ზედაპირიდან ხუთ მეტრზე აღმოჩნდა, სადღაც ეშვება მიწის სიღრმეში. სად მიდის იგი? ეს ფიქრი მოსვენებას უკარგავს არქეოლოგს. იგი გონების თვალით ხედავს პაპირუსებითა და განძეულებით სავსე განსასვენებელს, რომლის შუაში ძვირფასი ალებასტრის სარკოფაგი დგას ფარაონის ნეშტით. კარტერმა კარგად იცის, რომ ასეთი ფაქტი იშვიათად ახსოვს ეგვიპტის არქეოლოგიის ისტორიას. დაცარიელებულმა აკლდამებმა და დამსხვრეულმა სარკოფაგებმა მრავალი არქეოლოგი ჩააგდო სასოწარკვეთილებაში.

არქეოლოგს წუთი საათად ეჩვენება, დღე წელიწადად, იგი მოუსვენრად უვლის თხრილს გარშემო, თვალს არ აშორებს მუშებს. ისინი წმენდენ საფეხურებს. მეთორმეტე საფეხურის გაწ-

მენდის შემდეგ, როდესაც ნიჩბით ღორღიანი მიწა ამოიღეს, ვიღაცამ კლდეში გამოყვანილი ქვის ჩარჩო შეამჩნია. ეს ადგილი სწრაფად გაასუფთავეს და კარტერმა აკლდამის კარის ზედა ნაწილი გაარჩია. ქვით ამოქოლილი კარი გარედან თიხის სუფთა ხსნარით იყო შელესილი, ხოლო შემდეგ ბეჭდით დალუქული.

დალუქული კარი თავისთავად უკვე დიდი აღმოჩენა იყო. იგი ყოველგვარ ოცნებას აღემატებოდა. „ჩემთვის, როგორც არქეოლოგისათვის, ეს იყო ყველაზე მწვავე მომენტი. ამდენი ხნის შედარებით უნაყოფო შრომის შემდეგ მე ვიდექი ჩემი მუშებისაგან მოშორებით... ვიდექი დიდი აღმოჩენის ზღურბლზე. დერეფნის მიღმა შეიძლებოდა ყოფილიყო ყველაფერი, თითქმის ყველაფერი, რაც გნებავთ. ნებისყოფის უაღრესად დაძაბვა იყო საჭირო, რომ საკუთარი თავი დამემორჩილებინა და კარები არ შემემტვრია ძიების გასაგრძელებლად".

არქეოლოგი აკანკალებული ხელებით ასუფთავებდა საბეჭდავს, რომელზეც ტურა და თერთმეტი ტყვე იყო გამოსახული. არსად ჩანდა ფარაონის სახელი, მაგრამ ამ სახის ბეჭდებით მხოლოდ სამეფო აკლდამები დალუქული. კარტერს აღარ ეყო ინგლისური თავდაჭერილობა, იგი თითქმის ხმამაღლა ყვიროდა, ღმერთს მადლობას წირავდა და მადლიერი იყო თავისი ბედისა, რომ მისმა მუშაობამ „მეფეთა ველზე" უნაყოფოდ არ ჩაიარა. შეეძლო გათხრები გაეგრძელებინა, მაგრამ მისი საქციელი არქეოლოგიის ისტორიაში ამ მხრივაც სამაგალითოა. ჰოვარდ კარტერმა გამოიჩინა თანამოსაქმისა და მეგობრისადმი შესაშური სიყვარული და პატივისცემა, მან აკლდამაში ჩასასვლელი კიბე მიწით ამოავსო, დარაჯები მიუჩინა, ხოლო თვითონ „მეფეთა ხეობას" დაუყვა, ნილოსის გაღმა მხარეს გავიდა და ინგლისში ლორდ კარნარვონს დეპეშა გაუგზავნა: „ბოლოს და ბოლოს ველზე მოხდა შესანიშნავი აღმოჩენა. მივაგენი დიდებულ აკლდამას ხელუხლებელი ბეჭდით. თქვენს ჩამოსვლამდე მიწა ექნება დაყრილი. გილოცავთ." მესამე დღეს ჰამედ გურგანმა კარტერს გადასცა ლორდის პასუხი, ხოლო ორი კვირის შემდეგ კარნარვონი თავის ქალიშვილ ეველინასთან ერთად უკვე ლუქსორში იყო. კარტერმა მოძებნა და „მეფეთა ველზე" ჩამოიყვანა კელენდერი. ეს არქეოლოგი ადრეც მუშაობდა მასთან. 1922 წლის 24 ნოემბერს სამი მამა-

კაცა, ყველანასთან ერთად, გამოვიდა „მეფეთა ველის“ ბოლოში მდგარი რუხი სახლიდან. მთელი ღამის საუბრისა და კამათის შემდეგ ახლა ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა. მათ თითქოს ეშანოდათ მიცვალებულთა ხეობის სამარისებური სიმყუდროვის დარღვევა. ყველანი გრძნობდნენ, რომ დიდი აღმოჩენის ზღურბლზე იდგნენ, მაგრამ მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ეს აღმოჩენა მსოფლიოს შეძრავდა და კაცობრიობის დასასრულამდე ყოველი ახალი თაობისათვის მარადიული სენსაცია იქნებოდა.

სისხამ დილით შეუდგნენ მუშები ქვა-ღორღით დაფარული საფეხურების გასუფთავებას. 24 ნოემბერს, საღამოსათვის, კიბე უკვე გაწმენდილი იყო. თორმეტ საფეხურს კიდევ ორი დაემატა და არქეოლოგები აკლდამის კარს მიადგნენ. „კარის ქვედა საბეჭდავზე წავიკითხეთ სახელი ტუტანხამონი, რომელიც რამდენჯერმე მეორდებოდა“. მის თვალწინ იყო ბეჭედი იმ ფარაონის სახელით, რომლის სამარესაც იგი ეძებდა. კოლეგებმა ეს იცოდნენ და ამ წუთიდან კარტერი არქეოლოგიის გმირად იქცა. მაგრამ საბეჭდავის ნახვიდან დიდი ხანი არ იქნებოდა გასული, რომ ყველაფერი ისევ საეჭვო გახდა. არქეოლოგები სიხარულის ნაცვლად სასოწარკვეთილებამ მოიცვა, კარის ქვედა ნაწილში მათ შეამჩნიეს ხვრელი, რომელიც შემდეგ ვიღაცას ამოექოლა და შეელესა. ქურდებმა, როგორც ჩანდა, აქაც დაასწრეს მეცნიერებს. ელდანაცემი არქეოლოგები დამუნჯებული შეჰყურებდნენ მუშებს. ისინი ქვა-ღორღით ამოვსებულ დერეფანს ასუფთავებდნენ და სილანარევ მიწაში შეთხრილი ნიჩბის ხრაშუნი აღიზიანებდა ლარივით დაჭიმულ ნერვებს. ახლა უკვე აღარავის სჯეროდა სასწაულებრივი აღმოჩენისა, მაგრამ სასწაული მაინც მოხდა. 26 ნოემბერს, როდესაც დერეფანი გაწმინდეს, კარტერმა კარის შემტვრევა დაიწყო. მაგრამ, მოდით, ისევ კარტერს მოვუსმინოთ: „აკანკალებული ხელით კარის მარცხენა ზედა კუთხეში ნახვრეტი გავაკეთე. სიცარიელე და სიბნელე იმაზე მიუთითებდა, რომ ამ კარის უკან ქვა-ღორღი აღარ ეყარა. დაგროვილი გაზებისაგან რომ თავი დამეცვა, სანთელი ავანთე, ნახვრეტი გავაფართოვე და შიგ ხელი შევყავი. შემდეგ აკლდამაში შევიხედე. ლორდი კარნარვონი, ლედი ევილინა და კელენდერი ჩემ უკან იდგნენ. აკანკალებულნი უცდიდნენ საბოლოო განაჩენს. პირველად ვერაფერი დავინახე.

თბილი ჰაერის მასა ოთახიდან ნახვრეტისაკენ დაიძრა და სანთლის ალი აალიცლიცა, მერე თვალი თანდათან შეეჩვია სიბნელეს და ბინდბუნდში ნელ-ნელა ამოტივტივდა ოთახის დეტალები. აქ იყო უცნაური ფიგურები: მხეცების, ადამიანების. ყველგან ბრწყინავდა ოქრო. ერთი წამით, ალბათ ეს ერთი წამი ჩემ უკან მდგომთ საუკუნედ მოეჩვენათ, მე გაკვირვებისაგან დავმუნჯდი. ლორდმა კარნარვონმა მეტი ვეღარ მოითმინა და აღელვებულმა მკითხა: „ხედავთ რამეს?“ ერთადერთი, რაც მე შემეძლო მისთვის მეპასუხა, იყო: „დიახ, შესანიშნავ ნივთებს!“

„გასაოცარი სანახაობა, რომელიც ჩვენი ჯიბის ნათურების შუქზე გადაიშალა, ერთადერთი შემთხვევა იყო არქეოლოგიის ისტორიაში. ჩვენი ნათურების შუქი იყო ის შუქი, რომელმაც გაანათა სამიათასი წლის ბნელით მოცული ადგილი. ოქროს ნივთებით სავსე ოთახში ჩვენ ერთი ადგილიდან მეორეზე ვინაცვლებდით. განძეულით სავსე ოთახი გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენდა... 26 ნოემბერი იყო ჩემთვის ჭეშმარიტი დღე ყველა იმ დღეთა შორის, რომელიც ჩემს წარსულ ცხოვრებას ეკუთვნოდა და რომლის მსგავსი ალბათ აღარასოდეს განმეორდება.“

არასოდეს, არც ერთ არქეოლოგს არ უნახავს ერთად ამდენი სიმდიდრე. აკლდამის წინა ოთახში ერთმანეთზე იყო დახვავებული ოქრომჭედლობის ბრწყინვალე შედევრები, ოქროს ნივთებით სავსე სკივრები, სკულპტურები, სამეურნეო და სარიტუალო დანიშნულების სხვადასხვა ნივთები.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმის შესახებ, რომ არქეოლოგებმა კიდევ ერთხელ ამოავსეს მიწით აკლდამის შესასვლელი. კარტერმა მოიწვია სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, შეიძინა საჭირო მასალები და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა აკლდამის წინა ოთახში მოთავსებული ნივთების ფიქსაციას და მეცნიერულ შესწავლას. აკლდამაში ელექტროშუქი შეიყვანეს და ლამპიონებით გაჩახჩახებული ოთახი მზესავით გაბრწყინდა. მხატვრულ ყალიბში ჩამოსხმული ოქროს ელვარება ამხელდა სამიათას ხუთასი წლის წინათ მოღვაწე ხელოვანთა ტალანტსა და ნატიფ გემოვნებას.

აქ, აკლდამის წინა ოთახში, ოქრო თანდათან გაუფასურდა და არქეოლოგები მხოლოდ ბრწყინვალე ხელოვნებით შესრულებულ-

მა კომპოზიციებმა დაიპყრო, რომლებიც ჭაბუკი ფარაონის ცხოვრების სცენებს ასახავდა. როცა არქეოლოგებმა ერთ-ერთი სკივრის სახურავს საუკუნეების მტვერი მოაცილეს, უნაზესი ფერებით შესრულებულმა მხატვრობამ გააცოცხლა შორეული წარსულის აფრიკის უმდიდრესი და ულამაზესი ბუნების სურათები. ეტლზე ამხედრებული ფარაონი მშვილდ-ისართმომარჯვებული ყალყზე შემდგარ ცხენებს მიერეკება. მის წინ ცხოველთა ჯოგია, დამფრთხალ ჯეირნებს, აფთრებსა და სირაქლემებს. გარეულ თხებსა და ვირებს ნადირობაში გაწრთვნილი ფარაონის ძაღლები მიერეკებიან აფრიკის სიცხით დაგვალულ, ნახევრად უდაბნოს ბუჩქნარებში. ეტლს უკან მისდევენ ფარაონის მცველები, მარეკები და პირფარეშები. სახურავის მეორე ნახევარზე ლომზე მონადირე ტუტანხამონია წარმოდგენილი. მისი ეტლის წინ სასიკვდილოდ დაჭრილი და სიკვდილის შიშით შეძრწუნებული ლომებია გამოხატული.

სკივრის მარცხენა კედელზე საომარ ეტლზე ამხედრებული ფარაონი ისრით მუსრავს შავ ნუბიელებს — ეგვიპტის სამხრეთელ მტრებს. მას უკან მოსდევენ პირფარეშნი, მებრძოლნი და მოისარნი, თავზე დაჰფარფატებენ ძერები, რომლებიც ზემო ეგვიპტის მფარველ ქალღმერთს — ნებესტეს განასახიერებენ. სკივრის მარჯვენა კედელზეც დაახლოებით ასეთივე კომპოზიციაა, იმ განსხვავებით, რომ აქ ფარაონი თავის ჩრდილოელ მტრებს — აზიელებს ამარცხებს; დამარცხებულთ მეფის ქოფაკები ძიძგნიან.

წინა და უკანა კედელზე სფინქსია გამოხატული. აქ ფარაონი ლომს განასახიერებს. იგი მტერს ტორავს და მიწაზე ანარცხებს. ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში შესრულებულ ამ ნახატებს კარტერი ახალი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის უნატიფეს სპარსულ მინიატურებს უტოლებს და დასძენს, რომ ისინი აღორძინების ხანის იტალიელი ოსტატის — ბენეცო გოცოლის მხატვრობის ასოციაციასაც იწვევსო. ეს სკივრი გამოყენებითი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშია, ხოლო მასზე მოთავსებული მხატვრობა, კარტერის სიტყვებით რომ ვთქვათ, დიდად აღემატება ყველაფერ იმას, რაც ამ დარგის ეგვიპტურ ხელოვნებას შეუქმნია. ხელოვნების ეს ძვირფასი ძეგლი განძით იყო სავსე. ოქროთი გაწყობილი მეფის ტანსაცმლისა და სამკაულის ამო-

ლებასა და ფიქსაციას. რომელიც ყუთში უწესრიგოდ იყო ჩაყრილი, არქეოლოგებმა სამი კვირა მოანდომეს.

ამავე ოთახში დიდი ადგილი ეჭირა ფარაონის სარეცლებს, რომლებიც აგრეთვე ოქრომქანდაკებლობის უძველესი და უბრწყინვალესი ნიმუშებია. ეგვიპტოლოგებისათვის ასეთი ტიპის სარეცლება მანამდე მხოლოდ ფრესკებიდან იყო ცნობილი. ახლა კი არქეოლოგების წინაშე იდგა სამი სამეფო საწოლი. ერთი მათგანი გამოხატავდა ორი ხარის დაგრძელებულ ტანს აპრეხილი კუდებითა და დაშოლტილი რქებით. ხარები ხაზეიმო, მედიდურ პოზაში დგანან. მხატვარი რეალისტური მანერით გადმოგვცემს ცხოველის სახეს. მეორე სარეცლის თავები გამოხატავენ ლომის თავებს, ხოლო მესამისა — ფანტასტიკური ცხოველებისას, რომელშიაც ნიანგი და ბეჰემოთი გამოიცნობა.

ამ უზარმაზარ სარეცლებზე აურაცხელი სიმდიდრე იყო დახვავებული. არქეოლოგები თვალს ვერ აშორებდნენ სამეფო ტახტს — როგორც კარტერი წერს — აკლდამაში აღმოჩენილ ყველაზე მნიშვნელოვან ნივთს. იგი ოქროთი, ქაშანურით, მინითა და ფერადი ქვებით იყო შემკული და მოპირკეთებული. მისი ფეხები ლომის თათებს გამოხატავდა, ხოლო ზემოთა ნაწილი ოქროში გამოქანდაკებული ლომის თავებით იყო შემკული. სახელურება გველგვინოსან ფრთოსან გველებს განასახიერებდნენ, რომლებსაც ფრთებით ფარაონის კარტუში უჭირავთ. ტახტის ზურგზე ახალგაზრდა ფარაონი იყო გამოხატული მეუღლითურთ.

„მე შემიძლია უყოყმანოდ ვამტკიცო. — წერდა ერთი წლის შემდეგ კარტერი, — რომ ამ პანელებზე ლამაზი ეგვიპტეში ჯერჯერობით არაფერი აღმოუჩენიათ. მეფე-დედოფალი მზით განათებულ, ყვავილების გირლიანდებით შემკულ სასახლის სვეტებიან დარბაზში არიან. ფარაონი ბალიშებით მოფენილ ტახტზე ზის, ხოლო მის წინ მისი მეუღლე — ტანმშვენიერი ასული დგას, რომელსაც ერთ ხელში თასი უჭირავს, სოლო მეორეთი მეუღლის მხარს ეხება. აქვე, ერთ-ერთ სარეცელზე, იდო კედარის ხისაგან გაკეთებული, ოქროთი მოპირკეთებული მეორე სავარძელი, რომლის ზურგზე მარადისობის სიმბოლური ფიგურაა გამოქანდაკებული. მესამე სავარძელი ბავშვისაა, რომლის სახელურებზე, ქვემოთა გარე კედელზე, დაბალ რელიეფში, მწოლიარე ანტილოპაა

გამოსახული, ხოლო შიგნით — ყვავილები. ეს სავარძელი და სპილოს ძვლით ინკრუსტირებული პატარა სკამები, ჩანს, ტუტანსამონის კუთვნილება იყო ბავშვობაში. როდის გადაჯდა იგი ამ პატარა სკამებიდან ოქროს ტახტზე, ზუსტად არაა ცნობილი. ის კი ცხადია, სამეფო ტახტზე იგი დიდხანს არ მჯდარა. ფარაონის მუმიის შესწავლის შედეგად მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ტუტანხამონი 18 წლისა გარდაცვლილა.

თვრამეტი წლის ფარაონის დანაკრძალავი აკლდამის მხოლოდ ერთ ოთახში — წინა ოთახში 700 ცალი ოქროს ნივთი იყო, მაგრამ ნივთიც არის და ნივთიც. აქ კედელთან მიყრილი საომარი ეტლებიც კი, რომლებიც დაეშალათ და აკლდამაში ისე შეეტანათ, ოქროს საკმაოდ სქელფენიანი ფურცლებით იყო შემოჭედილი. ოქროთი, ფაიანსითა და ფირუზებით მორთული სკივრები სავსე იყო ძვირფასი ნივთებით. მათ შორის ზოგს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ხელოვნების, ასევე რელიგიისა და სოციალური ისტორიის შესასწავლად. ერთ ყუთში ჩაწყობილი იყო სამეფო ინსიგნია, საზეიმო კვერთხები, რომელთა ბოლოები ბრწყინვალედ ნაქანდაკები ადამიანების თავებით მთავრდებოდა. შავი ნუბიელები და თვალის ირისშრილიანი აზიელები გამოსახავენ ეგვიპტის სამხრეთელ და ჩრდილოელ მტრებს. სკივრში აღმოჩენილ ოქროს კოლოფში იდო გველის მოოქრული გამოსახულება, სიმბოლო ეგვიპტის მეათე ნომისა. მეორე ყუთში აღმოჩნდა ოქროს მაგიური სამეფო კვერთხი, ლეოპარდის ტყავისაგან შეკერილი, ოქროთი გაწყობილი ქურუმის სამოსელი. მხეცის თავი ოქროთი და ფერადი მინით იყო შემკული. აქვე აღმოჩნდა ეგვიპტელთაგან ბედნიერების სიმბოლოდ მიჩნეული დიდი ზომის ოქროს სკარაბი (ხოჭო). აქვე უნდა ყოფილიყო ფარაონის ოქროს ქანდაკება, აკლდამის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ნივთი, რომელიც კარტერის აზრით, მძარცველებმა გაიტაცეს. მესამე სკივრში ინახებოდა ბრწყინვალედ ნახელავი ოქროს გულსაკიდი, შემკული სერდოლიკისა და მწვანე მინის დიდი მძივებით. გულსაკიდს შებმული ჰქონდა ოქროს საკიდი გველის გამოსახულებით, რომელიც ქალღმერთს განასახიერებს. ყუთები სავსე იყო ბრწყინვალედ ნახელავი სამკაულებით, ყელსაბამებით, სამეფო კვერთხებით, ოქროს მშვილდ-ისრებითა და სატევრებით, ღვთაებათა

ბეჭდებით, ოქროს ბეჭდებით, ალებასტრის ვაზებით, სამეფო ტანსაცმლით. ყველა ნივთის დასახელებასა და მოკლე აღწერასაც კი საკმაოდ სქელი ტომი ვერ დაიტევდა. მეცნიერებმა ტუტანხამონის აკლდამის ამ ერთ ოთახში მოთავსებული ნივთების აღწერასა და ფიქსაციას ოთხი თვის დაძაბული შრომა მოანდომეს. როგორც კარტერი წერს, ნივთების უმრავლესობა კარგად იყო შენახული, მაგრამ ზოგიერთი დიდი გაჭირვებითა და რისკით გადმოჰქონდათ ლაბორატორიაში, რომელიც იქვე, რამსეს მეოთხის აკლდამაში იყო სახელდახელოდ გამართული. ამ სახელდახელოდ აღჭურვილ ლაბორატორიაში მუშაობდნენ იმ დროის გამოჩენილი მეცნიერები: ქიმიკოსები, ფიზიკოსები, ბოტანიკოსები, ანატომები და სხვა დარგის სწავლულები. მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ტუტანხამონის ნივთების გადარჩენასა და შესწავლაში. მაგალითისათვის ერთი ფაქტიც იკმარებდა: ქიმიკოსებმა გაამაგრეს და მტვრად ქცევას გადაარჩინეს დაქვრივებული მეუღლის მიერ აკლდამაში მიტანილი გვირგვინი. მასში ჩაწნული ყვავილები შემდეგ ბოტანიკოსებმა შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ ფარაონი გარდაიცვალა გაზაფხულზე, როცა მანდრაგორია ყვაოდა.

„მეფეთა ველზე“ კარტერის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები ძეგლის მეცნიერული შესწავლის სანიმუშო და საუკეთესო მაგალითია ყველა დროის არქეოლოგიისათვის.

როგორც თვითონ წერს, ყველა მეცნიერი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით მუშაობდა. „ამ გრძნობას განიცდის ყველა არქეოლოგი, თუ მას „არქეოლოგიური სინდისი“ აქვს. ნივთები, რომელსაც იგი პოულობს, მარტო მას არ ეკუთვნის და ამის გამო უფლება არა აქვს, ისე მოეპყრას მათ, როგორც მოესურვება. გაუფრთხილდეს, რაც მოსწონს, და გადააგდოს, რაც არ მოსწონს. ეს ნივთები ხომ წარსულმა აჩუქა აწმყოს. არქეოლოგი, რომლის ხელშიც ისინი აღმოჩნდება, მხოლოდ პრივილეგირებული შუამავლის როლს ასრულებს და თუ მისი გაუფრთხილებლობითა და უპატივცემლობით ცნობები ნივთის შესახებ მცირდება, ეს იმას ნიშნავს, რომ არქეოლოგიური მეცნიერების თვალსაზრისით, მან უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა. ჩვენ ბედმა გაგვიღიმა, ვპოვეთ ძველეგვიპტური ნივთების უმდიდრესი კოლექცია, ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის, რომელიც კი მანამდე იყო აღმოჩენილი,

და ახლა უნდა დაგვემტკიცებინა, რომ ასეთი აღმოჩენის ღირსნი ვაყავით".

კარტერი უდიდესი გულმოდგინებით აღწერდა ნივთებსა და მათ ადგილსამყოფელს, რისთვისაც შემდეგში მას პედანტობას სწამებდნენ. კაცმა რომ თქვას, ეს სიტყვა არც ისე სალანძღავია. არქეოლოგიურ სამუშაოთა შესრულება გარკვეულ ეტაპზე პედანტურ სიზუსტეს მოითხოვს. ერთი შეხედვით უმნიშვნელო ნივთების დაწვრილმანებულ ფიქსაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომავალი მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის, რომლის დროსაც კარტერს პედანტურობის ნატამალიც არ გამოუმჟღავნებია. იგი ყველაფერს უდიდესი წინდახედულობით აკეთებდა, რათა ნივთები ყოველმხრივ საიმედოდ ყოფილიყო დაცული. აკლდამის გახსნის შემდეგ მთელ ქვეყანას მოედო ფანტასტიკური აღმოჩენების ამბავი. ამიტომ „აკლდამის გაძარცვის მიზნით. ყოველ ღამე თავდასხმას ველოდით. წარსულის მაგალითებით თუ ვიმსჯელებდით, ასეთი საშიშროება საფუძველს მოკლებული არ იყო. ყოველგვარი ღონე ვიხმარეთ, რომ მოსალოდნელი ძარცვა თავიდან აგვეცილებინა. მეფეთა ხეობაში შეიქმნა სადღეღამისო დაცვის რთული სისტემა. კენეს მმართველისაგან გამოგზავნილი ჯარისკაცებისაგან ჩამოყალიბდა სიძველეთა დაცვის ჯგუფი. აკლდამას დარაჯობდა გუშაგთა განსაკუთრებული ჯგუფიც, რომელიც ექსპედიციის ყველაზე სანდო წევრებისაგან შედგებოდა. აკლდამის შესასვლელები იხურებოდა ხისა და ფოლადის გისოსებიანი ჭიშკრებით, რომლებიც საიმედოდ იყო ჩაკეტილი. გასაღებები ებარა ექსპედიციის ერთ-ერთ მონაწილეს, რომელსაც უფლება არ ჰქონდა, ექსპედიციის წევრებს მოშორებოდა და თუნდაც ერთი წუთით ვინმესთვის მიეცა ეს გასაღებები".

ასეთი ორგანიზებული დაცვის ამბავიც, ისე, როგორც მანამდე გაუგონარი სიმდიდრის აღმოჩენისა, მთელ ქვეყანას მოედო და გამდიდრების სურვილით შეპყრობილ მძარცველებს იმედი გადაეწურათ. საეჭვო პირები, რომლებიც დროდადრო ველზე გამოჩნდებოდნენ ხოლმე, რწმუნდებოდნენ, რომ ძველი ღამეული ხელობის გახსენება სასიკეთოს არაფერს მოიტანდა და ექვსი წლის განმავლობაში „მეფეთა ველზე" ირამონისა და ხაპის ნაშიერთაგან არავინ გამოცხადებულა.

სამაგიეროდ, არქეოლოგები დიდ გასაჭირში ჩააგდეს ჟურნალისტებმა. 1922 წლის ზამთარში „მეფეთა ველი" მომთაბარეთა ბანაკს დაემსგავსა. აქ თავი მოიყარეს მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოსულმა ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტებმა და ტურისტებმა. ისინი სეობაში ალამებდნენ და ათენებდნენ. ყოველგვარ ხერხს ხმარობდნენ, რომ აკლდამაში როგორმე შეეღწიათ, ინტერვიუ აეღოთ არქეოლოგებისაგან, ან თუნდაც ერთხელ თვალი მოეკრათ და სურათი გადაეღოთ იქიდან ამოტანილი ნივთისათვის. აკლდამაში მოხვედრა თითქმის შეუძლებლად მიაჩნდათ, მაგრამ, როდესაც კარტერმა თავის ევროპელ კოლეგებს და რამდენიმე თანამდებობის პირს, მათ შორის ტაიმსის კორესპონდენტს, აკლდამის დათვალიერების უფლება მისცა, ჟურნალისტებმა და ტურისტებმა უდიდესი მონდომება გამოიჩინეს. ეგვიპტეში და ინგლისში დაიწყეს დიდი თანამდებობის პირებისა და აკლდამაში მომუშავე არქეოლოგების ნაცნობ-მეგობრების გამოძებნა. რამდენიმე ხნის შემდეგ თებეს ნეკროპოლში გამოცხადდნენ ადამიანები, რომელთაც ხელთ ეპყრათ დიდად პატივსაცემი პიროვნებების სარეკომენდაციო წერილები. კარტერი იძულებული შეიქნა, ზოგიერთი მათგანისათვის ანგარიში გაეწია. რამდენიმე კვირის შემდეგ სარეკომენდაციო ბარათების რიცხვი ფანტასტიკურად გაიზარდა. წერილებს ზოგჯერ ისეთი ხალხი აგზავნიდა, რომლებსაც არქეოლოგებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ. მუდარას ზოგჯერ მუქარა და ლანძღვა-გინება სცვლიდა. მუშაობა თითქმის შეუძლებელი შეიქნა. ყოვლისშემძლე პროტექციამ აქაც თავისი გაიტანა და ნამდვილი საქმე დაამხო. არქეოლოგები იძულებული გახდნენ, მუშაობა შეეწყვიტათ. აკლდამა ამოქოლეს, ლაბორატორიებს დარაჯები მიუჩინეს და თვითონაც „მეფეთა ველიდან" სადღაც გადაიხვეწნენ...

ერთი კვირის შემდეგ ისევ გამოჩნდნენ და მუშაობა განაგრძეს. შუა თებერვალში აკლდამის წინა ოთახი მთლიანად დაცარიელდა. აქ აღმოჩენილი ნივთების უმრავლესობა ახლა კაიროს მუზეუმის საცავებში ინახებოდა. არქეოლოგები მიადგნენ მეორე დალუქულ კარს, რომელსაც სამი ათას სამასი წელიწადი დარაჯობდნენ ქურუმთა მიერ აქ დადგმული ცუშაგთა ქანდაკებები, და რომლის ზღურბლის მიღმა ოცდაცამეტი გრძელი საუკუნის მანძილ-

ზე ადამიანის მზერა არ მისწვდენია. კარტერმა კარის შემტვრევა დაიწყო, ოთახში წერაქვის ყრუ ხმაური გაისმა. აკლდამაში თავმოყრილი ოციოდე კაცი, მეცნიერები და სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებსაც წილად სვდათ პატივი, დასწრებოდნენ ამ უდიდეს აღმოჩენას, სუნთქვაშეკრული შეჰყურებდნენ კარტერს, რომელსაც მეისი და კელენდერი ეხმარებოდნენ. ხმა გამოსცა კარის კედლის ქვებმა და კედელში გაჩენილ მცირე ნახვრეტში ხიზნელემ გამოიხედა. ხოლო როდესაც ბნელი ელექტრონის შუქმა გაკვეთა, არქეოლოგები სახტად დარჩნენ, მათ თვალწინ ოქრო ელვარებდა. ეს არ იყო ოქროს ნივთი, ეს იყო ოქროს კედელი. კარტერმა, მეისმა და კელენდერმა მუშაობა განაგრძეს — ნახვრეტი გააფართოვეს. კედელს დასასრული არ უჩანდა. როდესაც კარი მთლიანად მოხსნეს, მათ თვალწინ აღიმართა ოქროს კიდობანი, ნამდვილი ოქროს სახლი. მისი სიგრძე ხუთი მეტრი იყო, სიგანე — სამი მეტრი და ოცდაათი სანტიმეტრი, ხოლო სიმაღლე ორი მეტრი და სამოცდაცამეტი სანტიმეტრი. ოქროს სახლი მთლიანად ავსებდა ოთახს, რომელიც წინა ოთახზე ერთი მეტრით დაბალი იყო. აშკარა გახდა, რომ ოქროს კიდობანში ინახებოდა სარკოფაგი იმ ფარაონის ნეშტით, რომელსაც ექვსი წლის განმავლობაში ეძებდა არქეოლოგი ჰოვარდ კარტერი. კარტერმა ურდული გადასწია, კარი გამოაღო და სარკოფაგის ნაცვლად მეორე ოქროს კიდობანი დაინახა. კიდობანის კარი დაკეტილი იყო და ხელუხლები ბეჭდით დალუქული. არქეოლოგები მოკრძალებულმა შიშმა შეიპყრო. კარტერმა და კარნარვონმა კიდობანს გარს შემოუარეს და ოთახის აღმოსავლეთ კედელში კიდევ ერთი კარი შეამჩნიეს.

მანამდე და მას შემდეგაც რამდენ არქეოლოგს უმუშავია ნილოსის სანაპიროზე. რამდენ მეცნიერს უოცნებია ძველეგვიპტური კულტურის თუნდაც ერთი უცნობი ფურცელი გადაეშალა. თვით დევისიც კი, რომელიც დიდხანს გულმოდგინედ შრომობდა „მეფეთა ველზე", ალბათ იმის ნახევარსაც დაჯერდებოდა, რაც კარტერმა აკლდამის წინა ოთახში იპოვა. ახლა კი ეს კაცი დაბალი კარის მიღმა იყურებოდა და მის თვალწინ ბრწყინავდა ზღაპრული განძი, უფრო ძვირფასი და უფრო მდიდრული, ვიდრე აკლდამის წინა ოთახში იყო.

აქ იდგა ყველაზე უფრო ლამაზი ნივთი, რაც კი ოდესმე მინახავს. იგი იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ აღფრთოვანება-გაკვირვებისაგან სუნთქვა შემეკრა. ცენტრალური ნაწილი წარმოადგენდა ოქროთი შემოჭედილ ყუთს, რომელსაც კიდობნის ფორმა ჰქონდა და კარნიზებამდე შემოსდევდა წმინდა გველების გამოსახულებანი. გარშემო თავისუფლად იდგა მიცვალებულთა მფარველი ოთხი ღვთაების გრაციოზული ქანდაკება. მათი სხეულები იმდენად ცოცხლად და ბუნებრივად გამოიყურებოდნენ, სოლო მათი სახეები აღვსილი იყო ისეთი თანაგრძნობითა და მწუხარებით, რომ ყურებაც მკრეხელობად მეჩვენებოდა... შესასვლელში კარცხლებზე იდგა შალშემოსხვეული ქანდაკება ტურა — ღმერთი ანუბისი. აქვე მოჩანდა სადგარზე გამოქანდაკებული ხარის თავი — ემბლემა იმქვეყნიური სამყაროსი. ოთახის სამხრეთ კედელთან ეწყო შავი ხისაგან გაკეთებული სკივრები და ყუთები. დაკეტილი და დალუქული. ერთის გარდა, რომლის გამოღებულ კარში მოჩანდა შავ ლეოპარდზე მდგარი ტუტანხამონის ქანდაკება. ოთახის სიღრმეში, ყველაზე შორეულ კედელთან. კიდობნის ფორმის მოოქრული მინიატურული სკივრები იდგა, რომლებშიც, ეჭვგარეშეა, ფარაონის დასაკრძალავი ქანდაკებები ინახებოდა. ოთახის ცენტრში ანუბისისა და ხარის ქანდაკებების მარცხნივ, იდგა სისა და სპილოს ძვლისაგან ბრწყინვალედ ნახელავი კოლოფები, ინკრუსტირებული ოქროთი და ლურჯი ქაშანურით"...

გარდა ამისა, ოთახის სხვადასხვა კუთხეშიც იდგა ოქროს ნივთები. აქვე იყო ფარაონის ქანდაკებები და ოქროთი მოპირკეთებული კიდევ ერთი ეტლი. მხატვრულად დამუშავებული მისი ცალკეული ნაწილები ხელოვნების ნამდვილ შედევრებს წარმოადგენენ. ამ სიმდიდრის და სილამაზის მაყურებელი არქეოლოგების განცდების გადმოცემა, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია. ვინც 1922 წლის 17 თებერვალს ამ გრანდიოზულ არქეოლოგიურ აღმოჩენას დაესწრო, სიტყვას ვერ პოულობდა ზღაპრული სანახაობით აღძრული გრძნობის გამოსახატავად. კარტერმა მაინც დაუშვა ერთი შეცდომა: იმ დროს ევროპაში სიტყვის უბადლო ოსტატები ცხოვრობდნენ, ისინი ალბათ დიდი სიამოვნებით მიიღებდნენ კარტერის მიწვევას, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდ მწერალთაგან ამ მოვლენას არავინ დასწრებია.

1922 წლის შემდეგ ხუთ წელიწადს მუშაობდა კარტერი „მეფეთა ველზე." ხუთი გრძელი სეზონის განმავლობაში აღწერდა იგი აკლდამის ოთახებში დაწყობილ განძეულს. უდიდესი სიფრთხილით გამოჰქონდათ ნივთები და მათ კაიროს მუზეუმის საცავებში აგზავნიდა. ყველაზე ძნელი გამოდგა ოქროს კიდობნების დაშლა. ამ სამუშაოს 84 დღე მოანდომეს. ისინი 5, 5 სანტიმეტრი სისქის მუხის ფიცრებისაგან გაკეთებული, გარედან მოოქრული და მოქანდაკებული იყო. დაშალეს ერთი, მეორე, მესამე და როდესაც მეოთხე კიდობნის კარი გამოაღეს, დაინახეს „სრულიად დაუზიანებელი, ყვითელი. კრისტალური ქვიშაქვის უზარმაზარი სარკოფაგი, რომელიც თითქმის მთელ ყუთს ავსებდა. თითქოს მისი სახურავი ვიღაცას კეთილმა ხელებმა ეს-ეს არის სათუთად დაუშვია. რა დაუვიწყარი, დიდებული სანახაობა იყო!.. კიდობნის ოქროსფერი ბრწყინვალება კიდევ უფრო აძლიერებდა შთაბეჭდილებას. სარკოფაგის ოთხივე კუთხეში მდგარი ფრთებგაშლილი ქალღმერთების ქანდაკებებს თითქოს სურდათ დაეცვათ და დაეფარათ ის, ვინც აქ საუკუნო ძილით განისვენებდა." კარტერმა სარკოფაგის სახურავს, რომლის წონა 1250 კილოგრამი იყო, ჯალამბრის თოკები ჩააბა და ბრძანება გასცა. სახურავი აეწიათ. სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ქვის გრუხუნი და როდესაც სახურავი ჰაერში დაიკიდა, არქეოლოგებს ელდა ეცათ. მათ მხოლოდ გაფისული საფენები დაინახეს. რა იყო ამ საფენების ქვეშ? სასომიხდილი კარტერი ხელის კანკალით მიუახლოვდა სარკოფაგს, აიღო ერთი საფენი, მეორე, მესამე... აკლდამაში მყოფნი თვალს არ აშორებდნენ მას. იგი ცდილობს, არაფერი დააზიანოს. ნელ-ნელა წევს უკანასკნელ საფენს და ადამიანთა სახეებს გაოცება და შიში ერთად აღებეჭდათ. მათ თვალს ჭრის ოქროს ბრწყინვალება, მაგრამ ეს არ არის ოქროს ნივთი ან ოქროს კედელი. იგი მრგვალი ქანდაკების უბრწყინვალესი ნიმუშია, — თვრამეტი წლის ულამაზესი ფარაონის სკულპტურული გამოსახულება, მასიური ოქროსგან გამოქანდაკებული, რომელიც ე. წ. ანტროპოიდური კუბოს სახურავის მოვალეობასაც ასრულებს. „იგი აღემატებოდა ყველაფერ იმას, რაც ამ დარგის ხელოვნებაში კაცს შეეძლო წარმოედგინა." ამ კუბოში იდო მეორე ქანდაკებაც. ისიც მდიდრულად მორთულ ჭაბუკ ფარაონს გამოსახავდა. ეს იყო ფარაონი ღმერთ

ოსირისის სახით. მეორე კუბოში იდო მესამე ქანდაკება. იგი მთლიანად ოქროსი იყო და იმ წუთში არქეოლოგებს მისი მატერიალური ღირებულების განსაზღვრაც კი გაუძნელდათ. კარტერი წერდა, რომ „ეს ბრწყინვალე, შესანიშნავი და უნიკალური ძეგლი, რომლის სიგრძე 1,85 მეტრია, გაკეთებულია ფურცლოვანი 2,5-3 მილიმეტრის სისქის ოქროსაგან. რაოდენ დიდი უნდა ყოფილიყო ფარაონთა სიმდიდრე, რომელიც ერთ დროს „მეფეთა ველზე“ ინახებოდა? აქ დამარხული ორმოცდაშვიდი მონარქიდან ტუტანხამონი ხომ ყველაზე უფრო უმნიშვნელო მმართველი იყო.“

მეცნიერთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ეს აურაცხელი და ნამდვილად ზღაპრული სიმდიდრე საუკუნეების განმავლობაში მთლიანად გაიტაცეს მძარცველებმა, მაგრამ ზოგიერთი არქეოლოგი იმედს არ კარგავს და ისევ ეჭვის თვალით ათვალიერებს „მეფეთა ხეობაში“ პირამიდისებრ ცაში აღმართულ უზარმაზარ მთას და ნილოსის დასავლეთით მოკიაფე ყვითელ კლდეებს. ვინ იცის, რას ინახავს მზით დახრუკული ამ უსიცოცხლო მიწის სიღრმეები. პატიოსანმა ადამიანებმა ხომ გადაარჩინეს მეფეთა მუმიები. მათი რწმენით ხომ საჭირო იყო მონარქებს საიქიოში ქონება ჰქონოდათ. მორწმუნენი სულს არ წაიწყმედდნენ და, შესაძლოა, კიდევ ჰქონდეთ რაიმე გადანახული ლიბიის მთებში. ვინ იცის, იქნებ ჩვენი საუკუნისათვის ეს ერთი გრანდიოზული აღმოჩენაც საკმარისია და „განგებას“ სხვა აღმოჩენები სხვა საუკუნისათვის აქვს შემონახული!

აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმის შესახებ, რომ არქეოლოგებმა კუბოებისა და მუმიის გახსნის შემდეგ იპოვეს აუარებელი ოქროს ნივთი, მაგიური საგნები და ფარაონის ოქროს ნიღაბი, — ხელოვნების შედევრები. სახვევების გაჭრის შემდეგ გამოჩნდა ფარაონის ნეშტი.

მეფის სახე და ფეხები კარგად იყო შემონახული, ხოლო სხეული ზეთებისა და ნელსაცხებლებისაგან მთლიანად დამწვარი და დაზიანებული. ფარაონის მშვიდ სახეს, „რომელსაც კეთილშობილური სწორი ნაკვთები და მკვეთრად გამოსახული ტუჩები ჰქონდა“, სამიათასი წლის შემდეგ ისევ შეეხო ნილოსის მხრიდან მონაბერი სიო. ამ დროისათვის კი ლორდი კარნარვონი, ვინც ჰოვარდ კარტერთან ერთად ეძებდა ტუტანხამონის აკლდამას, დიდი

სანია განისვენებდა ინგლისის ჭაობიან მიწაში. მას არ დასცალდა, ბოლომდე გაეზიარებინა დიდი აღმოჩენის სიხარული. 1923 წელს, ზამთარში, შხამიანმა კოღომ უკბინა და სამი კვირის ავადმყოფობის შემდეგ წამებით აღესრულა. ამ გათხრებს ტრაგიკული დასასრული ჰქონდა. 1927 წელს დამთავრდა აკლდამის არქეოლოგიური შესწავლა, 1930 წელს კი ექსპედიციის არცერთი მონაწილე, ჰოვარდ კარტერის გარდა, ცოცხალი აღარ იყო. ჟურნალისტებს საბაბი მიეცათ და გაზეთებში გაჩნდა ცნობა „ფარაონის შეჩვენების“ შესახებ. როგორც კერამი წერს, მისი ერთ-ერთი ვარიანტი ასე გამოიყურებოდა: „სიკვდილი მსწრაფლ მოუღებს ბოლოს მას, ვინც ფარაონს მყუდროებას დაურღვევს.“ ამ სისულელემ, — განაგრძობს კერამი, — ისე აღაშფოთა არქეოლოგები, რომ მათ საქმეში ჩარევა იკადრეს. ყველაზე პირველად თვით კარტერმა აღიმაღლა ხმა. ცხადია, თავის საქმეს იგი დიდი მოწიწებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა, მაგრამ იმ შიშისა და ძრწოლვის გარეშე, რომელიც ესოდენ იზიდავს სენსაციების მოყვარულ ბრბოს. ფარაონის შეჩვენებას კარტერმა „სასაცილო მონაჭორი“ და „ჩვეულებრივი ცრუმორწმუნეობის თავისებური სახეობა“ უწოდა. შემდეგ მან საკითხი არსებითად განიხილა გაზეთებში გამოქვეყნებულ ყველა ცნობაში ნათქვამი იყო, თითქოს აკლდამაში მყოფ ყოველ ადამიანს სიკვდილი მოელოდა. კარტერი ასაბუთებდა ამ შეხედულების უსაფუძვლობას. მისი სიტყვით, აკლდამა საგულდაგულოდ იყო შესწავლილი და მისი სტერილურობა არავითარ ეჭვს არ იწვევდა. კარტერის უკანასკნელი სიტყვები საკმაოდ მწარედ გაისმის: „საოცარია, რომ ამ სულელურ ლაქლაქში მოვლენების ელემენტარული გაგების ნასახიც კი არ არის. ჩანს, გონებრივი პროგრესის გზაზე ჩვენ არც ისე წინ წავსულვართ, როგორ ეს ზოგიერთებს ჰგონიათ.“ მონაჭორს ფარაონის შეჩვენების შესახებ ყველაზე მეტად ის აქარწყლებდა, რომ ცოცხალი იყო თვით კარტერი, კაცი, რომელმაც აღმოაჩინა ფარაონის განსასვენებელი და რომელმაც ექვსი წელი იმუშავა აკლდამაში. არ დარჩენილა არც ერთი ნივთი, რომელსაც მის ხელში არ გაევლოს. სასიკვდილო თუ იყო ვინმე, ფარაონის წყევლას პირველად მასზე უნდა გაეჭრა. გათხრების დამთავრების შემდეგ არქეოლოგმა კიდევ დიდხანს იცოცხლა. იგი სამოცდაათ წელს მიღწეული გარდაიცვალა 1939 წელს.



ფარაონ ჰატშეფსუტის დედა.



რელიეფი ჰატშეფსუტის ტაძრის კედელზე. ძვ. წ. XVI ს.



სუროთმოძღვარი
ამენხოტეპი, შვილი ხაპუხა.
ძვ. წ. XV ს.



ჰატშეფსუტის ტაძრის
სუროთმოძღვარი სენმუთი
ფარაონის ქალიშვილთან
ერთად. ძვ. წ. XVI ს.



ფარაონ თუთმოს III ტაძრის სვეტის ფრაგმენტი. ანალების დარბაზში. ძვ. წ. XV ს.

სფინქსი განასახიერებს ამენხოტეპ III. ძვ. წ. XV ს.





კარნაკის ნანგრევები.



ფარაონის ქანდაკების ფრაგმენტი
კარნაკში. ძვ. წ. XII ს.

კარტერის მიერ გათხრილ აკლდამაში განისვენებს 18 წლის ტუტანხამონი. ამ ფარაონის წყალობით „მეფეთა ველმა" ახალი სიცოცხლე შეიძინა. აქ ყოველდღიურად ასობით ტურისტი მოდის. როგორც სამიათასი წლის წინათ დღესაც არღვევს მცველთა მძიმე ნაბიჯების ხმა ბნელი ღამის მყუდროებას და გუშაგთა რაზმების შეცვლისას ისევ გაისმის პატრულის პატაკი. არ არსებობს მსოფლიოში სხვა მეორე პიროვნება, რომელიც გარდაცვალებიდან სამიათასზე მეტი ხნის შემდეგ ასე მოსაფრთხილებელი, ცნობილი და პოპულარული გამხდარიყოს. ვინ იყო იგი? ტუტანხამონი იყო ცნობილი ერეტიკოსა მეფის ეხნატონის სიძე. ეხნატონი მამაპაპათა კვალს რომ გაჰყოლოდა, ისტორიაში ამენხოტეპ მეოთხის სახელით უნდა დარჩენილიყო, მაგრამ მისი სახელის შეცვლა ეგვიპტის ისტორიის უდიდეს რელიგიურ და პოლიტიკურ ძვრებთანაა დაკავშირებული.

ძვ. წელთაღრიცხვის 1375 წელს ეხნატონი თოთხმეტი წლისაც არ იყო, როდესაც ეგვიპტის უდიდესი და უმდიდრესი იმპერიის მმართველი გახდა. მისმა მრისხანე და ძლიერმა წინაპრებმა სისხლისმღვრელი ომები აწარმოეს აზიაში და სამხრეთ აფრიკაში. დაიპყრეს პალესტინა, ნუბია, სირია. ევფრატამდე მივიდნენ და არწყინეალე და ძლიერი ბაბილონიც კი იძულებული გახადეს. ხარკი ესადა ეგვიპტისათვის. ნილოსის სანაპიროსაკენ განუწყვეტელ ნაკადად მოედინებოდა ძველი სამყაროს აურაცხელი სიმდიდრე, რომლის დიდი ნაწილი ქურუმებისა და დიდკაცობის ხელში იყრიდა თავს. ოქროთი გაივსო თებეს დიდებული ტაძრება და მეფის მოხელეთა საგანძურები. სიმდიდრემ გაადიდგულა დიდკაცობა. მათ ზომიერების გრძნობა დაკარგეს და ფარაონის ტახტის შერყევა მოინდომეს. ამენხოტეპ IV, ამ ნიჭიერმა მმართველმა, როგორც ჩანს, ბავშვობაშივე იგრძნო მოახლოებული საფრთხე, ხელი აიღო საგარეო ომებზე და საშინაო საქმეების მოწესრიგებას შეუდგა. რელიგიით დაიწყო და გააკეთა ის, რაც ამ ფარაონის მეფობიდან 1400 წლის შემდეგ ქრისტემ, ხოლო 2100 წლის შემდეგ მაჰმადმა მოიმოქმედა. ამენხოტეპ მეოთხემ მრავალღმერთიანობა ერთღმერთიანობით შეცვალა. თავისი ძველი სახელის, ამენხოტეპის ნაცვლად ეხნატონი დაირქვა, რაც ატონის ე. ი. მზის სასურველს ნიშნავს. მზე იყო მისი ღვთაება, რომელიც ძველი ღმერ-

თებისაგან განსხვავებით, მოკლებულია ყოველივე მიწიერს და რომელიც შემქმნელი და მფარველია ყოველივე ამქვეყნიურისა. მის წიაღში მთელი დედამიწა ხარობს და ღელავს. ამ რელიგიურ რეფორმას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მან შეძრა და აღაშფოთა იმ დროის ეგვიპტის უმდიდრესი საზოგადოება და უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიო რელიგიის შემდგომ განვითარებაში. ქურუმებმა ფარაონის მოკვლა განიზრახეს და, როდესაც თავლასხმა მოაწყვეს, სიკვდილს გადარჩენილი ფარაონი რელიგიურ ფანატიკოსად იქცა. იგი სასახლეში ჩაიკეტა, ბრძანება გასცა, დაეკეტათ ყველა ტაძარი. ქურუმები გარეთ გამოყარეს, სასახლის კარის დიდებულების ადგილები უგვარო და უქონელმა ხალხმა დაიკავა. მან ძველი დედაქალაქის მიტოვება განიზრახა და ბრძანა, აეშენებინათ ქალაქი ახეტატონი. თებეს ჩრდილოეთით 450 კილომეტრზე აშენდა ახალი, ბრწყინვალე ქალაქი, სადაც ფარაონმა 15 წელიწადი იმეფა. ამ ქალაქში დაბრძანდებოდა მისი ულამაზესი მეუღლე ნეფერტიტი *, რომლის სახე გენიალურმა მოქანდაკემ ოსტატურად გააცოცხლა მარმარილოში და ქვიშაქვაში. დღეს ეს ქანდაკებები მთელ მსოფლიოშია ცნობილი. ამ ქალაქში, სიმამრის გარდაცვალების შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე წელიწადი დაჰყო ტუტანხატონმა. მალე მან სახელი შეიცვალა ტუტანხამონად, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი მამა-პაპათა რელიგიას დაუბრუნდა და ისევ ძველ დედაქალაქში გადმოსახლდა. სახელდახელოდ აშენებული ახეტატონი გაუკაცრიელდა. დანგრეულ ტაძრებს, სახლებსა და სასახლეებს ქარი უდაბნოდან მოტანილი, მზით გამომშრალი სილის ქვეშ მარხავდა. ასე ჩაიძირა იგი მიწის სიღრმეში და სამიათასი წლის მანძილზე ამ ქალაქის არსებობა აღარავის გახსენებია. ახეტატონის დაღუპვიდან ოცდაცამეტი საუკუნის შემდეგ ტელ-ამარნაში მცხოვრებმა გაგულისებულმა არაბმა ქალმა, სიძველეებით მოვაჭრე ევროპელი თავიდან რომ მოეშორებინა, თიხის ფირფიტა მიუგდო**. ფირფიტაზე დაწერილი ტექსტი აქადურ ენაზე იყო შეღ-

* ეს სახელი ნიშნავს „ლამაზი ქალბატონი მობრძანდება."

** ფირფიტების დიდი კოლექცია (160 ცალი) შეაგროვა არაბმა ვაჭარმა აბდ-ელ-ჰაჯმა და მიუტანა კაიროს მუზეუმის მოხელეს, რომელმაც ეს ფირფიტები ყალბად ჩათვალა. შემდეგ ვაჭარმა იგი ვენელ კოლექციონერს, თეოდორ გრაფს მიჰყიდა. ისინი ნამდვილი გამოდგა და ამჟამად ბერლინის მუზეუმში ინახება.

გენილი და მეცნიერები მიხვდნენ, რომ იგი სამეფო არქივიდან უნდა ყოფილიყო, ხოლო სამეფო არქივი ეგვიპტის რომელიღაც უცნობ დედაქალაქში იყო საძებნელი. მეცნიერები ტელ-ამ-არნაში ჩამოვიდნენ. მიწისქვეშა ვარსკვლავების მაძიებლებმა აქ კარვები დადგეს და დიდი ხნის გულმოდგინე მუშაობის შემდეგ არქეოლოგის ბარმა და ნიჩაბმა წყვდიადს გამოსტაცეს ის, რაც კაცობრიობისათვის დაკარგული იყო. მზემ ისევ გაანათა ტაძრები და სასახლეები, ხოლო სახლებში, რომლებიც აქ ერთ დროს ეხნატონის კარის დიდებულებმა აიშენეს, ახლა უკვე არქეოლოგები ცხოვრობდნენ. აქ მუშაობდა დიდი არქეოლოგი ფლინდერს პიტრი, შემდეგ კი გერმანელთა დიდი ექსპედიცია. მათ აქ აღმოაჩინეს ნეფერტიტის ცნობილი ქანდაკება.

მეორე მსოფლიო ომის წინ ტელ-ამ-არნაში მუშაობდა ინგლისელი ჯონ პენდლბერი, რომელიც ომის დროს კუნძულ კრეტას ოკუპაციისას გერმანელმა პარაშუტისტებმა დახვრიტეს.

არქეოლოგებმა მსოფლიოს ამ უძველეს ქალაქში, რომელსაც ორი ათეული წლის ისტორია ჰქონდა, იპოვეს ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები და, რაც მთავარია, ტელ-ამ-არნის ცნობილი არქივი, რომელმაც შუქი მოჰფინა მსოფლიო ისტორიის მრავალ საკითხს.

ტელ-ამ-არნიდან 2000 კილომეტრზე ხეთების დედაქალაქ ხათუსაში, რომელსაც ახლა თურქები ბოღაზქოის ეძახიან, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს არანაკლებ საინტერესო სამეფო არქივი. ამ არქივის მრავალი ათასი ფირფიტიდან ორი ეკუთვნის ეგვიპტის დედოფალს, ტუტანხამონის დაქვრივებულ მეუღლეს ან-ხესენამონს. „ჩემი მეუღლე გარდაიცვალა. მე გავიგე, რომ შენ გყავს მოზრდილი ვაჟიშვილები. გამომიგზავნე ერთ-ერთი მათგანი, მე ცოლად გავყვები მას და იგი გახდება ეგვიპტის მბრძანებელი," — ასე წერდა იგი ხეთების მეფეს და ამ წერილიდან ჩანს, რომ დედოფალს თავის ქვეყანაში დასაყრდენი გამოცლილი აქვს. ძლიერი ხასიათის ქალს სურს, თავისი მდგომარეობა სხვა ქვეყნის მეშვეობით შეინარჩუნოს. მაგრამ ხეთების მეფემ დააგვიანა. მან შვილის ნაცვლად დედოფალს შიკრიკი გაუგზავნა და კითხულობდა: „სად იყო აქამდე შვილი განსვენებული მბრძანებლისა, რა მოუვიდა მას". საპასუხო წერილში ან-ხესენ-ამონი ხეთების მეფეს წერდა:

„რატომ მოგატყუებ მე შენ. მე არ მყავს შვილი, ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, გამომიგზავნე შენი ერთ-ერთი ვაჟიშვილი და მე მას ეგვიპტის მბრძანებლად ვაქცევ."

მეფემ გადაწყვეტილება მიიღო, ნილოსის სანაპიროსკენ დიდი ამალით გაისტუმრა თავისი ერთ-ერთი ვაჟი. მაგრამ უკვე გვიან იყო. ეგვიპტის ტახტს ეი დაეპატრონა. იგი იყო ეხნატონის უერთგულესი მეგობარი და მისი უპირველესი ხემირი, ხოლო მისი მეუღლე — ეხნატონისა და ნეფერტიტის შვილების ძიძა და აღმზრდელი. როგორც ჩანს, ეი დიდხანს უმიზნებდა ფარაონის ტახტს და მეფის ოჯახის მიმართ შექსპირის იაგოს როლი ითამაშა. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ მისი ხელით გაგზავნილმა საწამლავმა გამოასალმა წუთისოფელს თვრამეტი წლის ტუტანხამონი. ეის გვარმა ვერ გააგრძელა ეგვიპტის ფარაონთა დინასტია. ეტყობა, მის უკან იდგა კაცი, რომელიც თავის სვლებს ანგარიშობდა. ეს იყო სამხედრო მინისტრი ხორემხები. მან ძალაუფლება ძალდატანებით ჩაიგდო ხელში და ეგვიპტის მბრძანებელი გახდა. ამ ორი ფარაონის მეფობის შემდეგ არენიდან ქრება ეხნატონის თითქმის ყველა ოჯახის წევრი. წერილობითი წყაროები მათ შესახებ დუმან და არქეოლოგებს რომ არა, დღესაც არაფერი გვეცოდინებოდა ეხნატონის შვილებსა და მის სიძეზე, წუთისოფელს უდროოდ გამოსალმებულ ტუტანხამონზე, რომელიც სხვა მონარქებისაგან განსხვავებით, დღესაც განისვენებს იმავე სარკოფაგში, რომელშიაც იგი დიდი, ძალიან დიდი ხნის წინ ჩაასვენეს.

ეგვიპტელები და განსაკუთრებით კაურნელი ფელახები მოწიწებით წარმოთქვამენ მის სახელს. „მეფეთა ველის" შესასვლელში გრძელი, ძალიან გრძელი დახლია გაშლილი. იანვრის თაკარა მზის ქვეშ დგანან კაურნელი ვაჭრები და ყიდიან ტუტანხამონისა და ეგვიპტის სხვა მეფეთა და დედოფალთა, ხემირებისა და ქურუმების ქონებას, რომელიც აქ ერთ დროს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს და რომლებსაც მათი მიბაძვით დღეს ნილოსის სანაპიროზე გამართულ სახელოსნოში ამზადებენ ასლების გადაღებაში გაწაფული ხელოსნები. ყველა კაურნელი თავს მოვალედ თვლის, ბედი მოსინჯოს და მოგატყუოს. გვერდზე გაგიხმობს, უბიდან ქანდაკებას ან რომელიმე რელიეფის ნატეხს ამოიღებს.

ამ დროს სახეზე უდიდესი შიში და საიდუმლოება აქვს აღბეჭდილი. ასლს ორიგინალად ასაღებს და ზღაპრულ ფასს ითხოვს, მაგრამ როდესაც მყიდველის სახეზე დამცინავი ღიმილი გაიკიაფებს, კაურნელი არ იბნევა და თიხისაგან გამოძერწილ რომელიმე ფარაონის ქანდაკებას ან ტაძრის კედლიდან გადმოღებული რელიეფის ასლს ახლა უკვე გროშებად გთავაზობთ. რას იზამ, ეს მათი ძირითადი შემოსავლის წყარო და საუკუნეებით გამომუშავებული ჩვეულებაა.

კაურნელები რომ ამ სათაკილო საქმისთვის ჩამოეშორებინათ, მთავრობამ საგანგებო ზომები მიიღო. ნილოსის ჭალაში სახელმწიფო ხარჯზე სახლები აუშენა მათ და სახნავ-სათესი მიწებიც გამოუყო, მაგრამ ისინი მიწათმოქმედებას ვერ შეეგუენ. ხუთიოდე წლის შემდეგ შესანიშნავი ორსართულიანი სახლები მიატოვეს და ლიბიის კლდეებში შედგმულ მიწურებს დაუბრუნდნენ. ეტყობა, კაურნელები ისევ გულმოდგინედ ეძებენ რაღაცას თებეს მთებში. მე ვნახე კაცი, რომელიც ადამიანის ფეხს ყიდდა. ეს იყო მუმიის ნაწილი, რომელიც სარკოფაგიდან კი არა, მიწიდან იყო ამოღებული და იმდენად გამოფიტული, რომ უკვე ზიზღსაც აღარ იწვევდა. ევროპელი და ამერიკელი ტურისტები, სხვა სიძველეებთან ერთად, ეტყობა, ასეთ რამეებსაც ყიდულობენ. ვინ იცის, რასულივით კიდევ მიიყვანოს რომელიმე კაურნელმა „მეფეთა ველის“ ან დეირ-ალ-ბაჰრის მზით დაცხავებულ ქარაფებთან რომელიმე მეცნიერი და ისევ გაცოცხლდეს ქვესკნელში მთვლემარე რომელიმე ძველეგვიპტური ლეგენდა.

## ტაძრები ძველ თებეში

ეგვიპტის ისტორიაში და, კერძოდ, ეგვიპტის სამეფო კარის ისტორიაში, ქალები დიდ როლს თამაშობდნენ. მაგრამ რაც თებეს სამეფო კარზე სამიათას ექვსასი წლის წინათ მოხდა, არც მანამდე და არც მის შემდეგ დიდხანს არ განმეორებულა მონარქიული სახელმწიფოს ისტორიაში. ძველი წელთაღრიცხვის მეთექვსმეტე საუკუნეში გაერთიანებული ეგვიპტის ტახტზე ქალი ავიდა.

მას ჰატშეფსუტი ერქვა. იგი იყო შვილი თუთმოს პირველისა, იმ ფარაონისა, რომელმაც პირველმა გამოაკვეთინა საკუთარი განსასვენებელი „მეფეთა ველის“ ქარაფებში. როგორც ისტორიიდან ჩანს, ეგვიპტელი მეფეები ხოგჯერ ცხრა მთას იქით მიდიოდნენ საქორწინოდ. მათ დედოფლებად აზიელი ასულებიც მოჰყავდათ. მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, სისხლის აღრევას არ ერიდებოდნენ და, საკუთარი ქონება და უფლებები რომ არ დაეკარგათ, დას ღვიძლ ძმაზე ათხოვებდნენ. სწორედ ასე მოიქცა თუთმოს პირველი. მან თავისი ქალიშვილი ჰატშეფსუტი თავის ვაჟს თუთმოსს შერთო და იგი ფარაონად გამოაცხადა. მაგრამ ჩანს, თუთმოსი ამ ქორწინების ერთგული მაინცდამაინც არ ყოფილა. მას ვილაც უგვარო ქალთან შვილი შეეძინა, რომელიც ეგვიპტის ისტორიაში თუთმოს მესამის სახელითაა ცნობილი. თუთმოს მესამე ეგვიპტის ერთ-ერთი უნიჭიერესი და ძლევამოსილი ფარაონი იყო, მაგრამ ვიდრე ნამდვილი ფარაონი გასდებოდა, ოცი თუ ოცდაშვიდი წელიწადი მოუსდა ცდა და ბრძოლა. არასრულწლოვანი თუთმოს მესამე, ისევე, როგორც მისი მამა, თავის დაზე დანიშნეს, ფარაონად აკურთხეს და რეგენტად დედინაცვალი დაუნიშნეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰატშეფსუტს რეგენტობა არაფრად ეპიტნავებოდა. მან გადააბიჯა მაშინდელი წარმოდგენების ზღვარს, თუთმოსი სახელმწიფო საქმეებს ჩამოაშორა და თავისი თავი ფარაონად გამოაცხადა. იგი 27 წელიწადი მართავდა ეგვიპტის უმდიდრეს და უძლიერეს იმპერიას.

დედოფალი არაფრით ჩამორჩებოდა თავის წინაპრებს. დიდი ომები გადაიხადა აზიასა და სამხრეთ აფრიკაში. მაგრამ დღეს ისტორიაში იმით უფრო ცნობილი, რომ თებეში ააშენა ბრწყინვალე ტაძრები და თუ მამამისმა, თუთმოს პირველმა, დასაბამი მისცა „მეფეთა ველის“ ხუროთმოძღვრების ისტორიას, მისმა ქალიშვილმა საძირკველი ჩაუყარა სატაძრო ხუროთმოძღვრების ახალ სტილს, რომელმაც შემდგომში უდიდესი გავლენა იქონია მსოფლიო ხუროთმოძღვრების განვითარებაზე. ჰატშეფსუტის ბრძანებით ძველი წელთაღრიცხვის მეთექვსმეტე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაიწყო და ამავე საუკუნის დასასრულს დამთავრდა ტაძრის მშენებლობა თებეს დასავლეთით, დეირ-ალ-ბაჰარის ცადაწვდენილი ქარაფოვანი კლდეების ძირში. წარწერებიდან ცნობი-

ლია და არქეოლოგიური გათხრებითაც დამტკიცდა, რომ ნილოსის სანაპიროდან ტაძრებამდე 6 თუ 7 კილომეტრის მანძილზე მიემართებოდა გზა და ამ გზის ორივე მხარეს, ყოველ ათ მეტრში, აღმართული იყო სფინქსები. ქვიშაქვისაგან შესანიშნავად ნაქანდაკები სფინქსები შემკული იყო ყველა სამეფო ატრიბუტით და განასახიერებდა ფარაონს, მაგრამ წინა ათასწლეულების სფინქსებისაგან განსხვავებით, რომლებიც მამაკაცის მკაცრსა და ძლიერ სახეს გამოხატავდა, აქ წარმოდგენილი იყო ლამაზი და ნაზი ქალბატონი. ჰატშეფსუტის ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე თავდაპირველად მხოლოდ კლდეები ჩანს. ქართველი კაცისათვის ძნელი წარმოსადგენია ასეთი მკაცრი პეიზაჟი, როგორიც დეირ-ელ-ბაჰარის მხარეშია. ქვიშაქვის ჩამოფხავებულ სვეტებში და ცადაწვდენილ კლდეებზე სიცოცხლის ნიშანწყალი არ შეინიშნება. კლდეებს მოყვითალო-რუხი ფერი გადაკრავს და კაცი გრძნობს, რომ აქ სიცხით გათანგულ რუს მდუმარებას იშვიათად თუ დაარღვევს რომელიმე სულიერის სუნთქვა. ამ უმკაცრესი პანორამის ფონზე თეთრად კიაფობს მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ნაგებობა. იგი კლდეების ძირში სამ ტერასაზეა განლაგებული. ტაძრის ფასადები ოთხკუთხედი ბოძების გრძელი ჯერითაა გაფორმებული, რომელიც ტერასებზე მიდგმული მონუმენტური კიბის ორსავ მხარეზეა ჩარიგებული და რომლის ბოლოებზეც ღვთაება ოსირისის უზარმაზარი ქანდაკებებია აღმართული. სფინქსებს შორის მიმავალი გზა შედიოდა და ახლაც შედის ტაძრის ქვედა ეზოში. წარწერებიდან ცნობილია, რომ ამ უსიცოცხლო მიწაზე ძველი წელთაღრიცხვის მეთექვსმეტე საუკუნეში პაპირუსებით გარშემორტყმული ტბა ლივლივებდა. ცადაწვდილი პალმების ჩრდილებქვეშ, აყვავებულ სკვერებში, დიდებულები დასეირნობდნენ. კიბის კედელზე გამოსახული იყო შესასვლელის მცველი ლომები. კიბეები მეორე ტერასის შუა ეზოში შედის. აქ ტაძრის ფასადს 22 თეთრი სვეტი ამშვენებს, ხოლო კედლები დაფარულია ბრწყინვალედ შესრულებული რელიეფებით. ისინი მოგვითხრობენ ფარაონი ქალის ძლევამოსილ ლაშქრობაზე. ერთ კომპოზიციაში წარმოდგენილია დაბრუნება პუნტების * ქვეყნიდან. მუ-

* თანამედროვე სომალი.

შები გემიდან ეზიდებიან მათ ქვეყანაში მოპოვებულ ნაირნაირ სამარ ნივთებს და მათ შორის შორეული ქვეყნიდან მოტანილ, ტაძრის ეზოში დასარგველ ხეებსაც კი. აქვეა გამოსახული ტყვედ ჩავარდნილი პუნტების ბელადი, თავისი მოკლეფეხება მსუქანი ცოლით. კომპოზიციის ყველა დეტალი მკაფიოდაა გამოსახული. ტაძრის კედლებზე ამოკვეთილი ბარელიეფების, ფრესკებისა და ბრწყინვალედ ნახელავი ჩუქურთმების აღწერას ერთი მოზრდილი ტომიც ვერ დაიტევდა, თუმცა ტაძრის ძირითადი სამკაული მაინც ქანდაკებაა.

სვეტებით შემკულ სამლოცველოში, სადაც არქიტექტურის ისტორიაში პირველად გამოიყენეს თაღი, ათობით ქანდაკება იდგა. არქეოლოგები ფიქრობენ, რომ ტაძრის სამლოცველოებს 400-მდე ქანდაკება ამშვენებდა. საკუთრივ ტაძარში ოცდაორი სფინქსი, ღვთაება ოსირისის ორმოცი და ულამაზესი, მუხლმოყრილი ქალბატონის ოცდაათამდე ქანდაკება იდგა. დედოფლის ტაძარი აურაცხელი სიმდიდრით ბრწყინავდა.

არქეოლოგებმა თებეში აღმოაჩინეს აკლდამა, რომელიც თხუტის ეკუთვნოდა. ის იყო დედოფლის კარზე აღზევებული დიდებული ხელოვანი, რომელიც ტაძრის მომპირკეთებელ მხატვარხელოსნებს ხელმძღვანელობდა და ხელთ ეპყრა საგანძურის გასაღები. თხუტი აკლდამის ფასადზე მოთავსებულ წარწერაში გვამცნობს, რომ ტაძრის გარეთა შესასვლელს ამშვენებდა შავი სპილენძის გრანდიოზული კარი, მოპირკეთებული ოქროსა და ვერცხლის შენადნობით, რომელსაც ახლა ელექტრონს უწოდებენ. შიგა კარები გაკეთებული იყო ნამდვილი კედარის ხისაგან და შემკული ბრინჯაოს დეტალებით. ტაძრის ვრცელი იატაკი „მოპირკეთებული იყო ოქრო-ვერცხლით და ლამაზი იყო ცის ჰორიზონტივით". წარწერების ტექსტები ნაწილობრივ დაადასტურა აქ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა, რომლებსაც „მეტროპოლიტენ მუზეუმის" თანამშრომლები აწარმოებდნენ წლების მანძილზე. არქეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს ბრწყინვალედ გაფორმებული მონუმენტური კიბის მოაჯირები, რომელთა საშუალებით სამ ტერასაზე აღმართული ტაძრის პირველი, მეორე და მესამე ეზოები და მათ მიღმა მდგარი სამლოცველოები იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. კიბის მოაჯირის ქვედა ნაწილი წარმოად-

ვენს კობრას თავს, რომლის დაკლაკნილი ტანი ზემოთ მიუყვება ტურასაზე შედგმულ უზარმაზარ მოაჯირს. გველს ზურგზე შევარდენი აზის. ბრწყინვალედ ნაქანდაკები ეს კომპოზიცია სიმბოლურად განასახიერებს ეგვიპტის ერთიანობას. ჰატშეფსუტის ტაძარი გრანდიოზული ნაგებობაა. მისგან დიდად არის დავალებული შემდგომი ეპოქების ხუროთმოძღვრება. სწორედ აქ, ამ ტაძარში სრულყვეს ყველაზე მეტად ხატორული და, ე. წ. პროტოდორიული კაპიტელები, რომლებიც ათასი წლის შემდეგ შეითვისა ბერძნულმა დორიული ორდერის სატაძრო ხუროთმოძღვრებამ. ჰატშეფსუტის ტაძრის სხვა მრავალი კომპონენტიც შემდგომ ეპოქებში არქიტექტორთა შთაგონების წყარო იყო. ახალი სამეფოს ამ ახალი სატაძრო სტილის შემქმნელი და დამფუძნებელი იყო ხუროთმოძღვარი სენმუთი. ჰატშეფსუტის ტაძრის კედლებზე შემორჩენილია მისი პორტრეტები. ერთ-ერთი მათგანი გრაფიკულადაა შესრულებული. კედლიდან იმზირება გენიალურ შემოქმედთა შორეული წინაპარი, ძველი წელთაღრიცხვის მეთექვსმეტე საუკუნის ინტელიგენტი. მას შუბლზე შეჭრილი და კისრამდე ჩამოშვებული გრძელი თმა, თვალის ირიბი ჭრილი, სწორი ცხვირი და ოდნავ წამოწეული სქელი ტუჩები აქვს. ხუროთმოძღვარს, ისე როგორც ეს ნამდვილ მაესტროს შეეფერება, ყელზე პეპელას მსგავსი ბაფთა აქვს გამოსკვნილი. ამ კაცის ფანტაზიამ გადააბიჯა მაშინდელი წარმოდგენების ზღვარს. გარდა იმისა, რომ მან შექმნა ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი — სამეფო ტაძარი, საკუთარი აკლდამაც ამ ტაძარშივე გამოკვეთა. როგორც ჩანს, დიდოსტატისთვის იმდენად ძვირფასი იყო თავისი ქმნილება, რომ სურდა, სამუდამო განსასვენებელი მის კედლებში ჰქონოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი იყო „შთამომავლობით დიდებული, ერთადერთი სემირი, საგანძურის ბეჭდის შემნახველი, ამონის სახლის უფროსი, ამონის სახლის საიდუმლოთა უფროსი, ამონის საცხოვრისის უფროსი, მეფის ყველა სამუშაოს ხელმძღვანელი, ორივე მიწის ბრწყინვალე ძეგლთა შემქმნელი, ამონის ქურუმი, ამონის ჯოგის უფროსი, დღესასწაულთა ხელმძღვანელი და ფარაონის უფროსი ქალიშვილის აღმზრდელი", მის მიერ სამეფო ტაძარში საიდუმლო აკლდამის გამოკვეთა ეგვიპტის რელიგიისა და სოციალური კანონის შებღალვა იყო. სამეფო ტაძარში ხუროთმოძღვ-

რის აკლდამის გამოკვეთა სხვა დიდებულთაგან მის გამოყოფას და საკუთარი თავის გაღმერთებას ნიშნავდა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ შემოქმედის ასეთი ნაბიჯი საბედისწერო უნდა გამხდარიყო მისთვის. როდესაც შეიხ-აბდ-ელ-კურნაში იპბელა დიდებულების განსასვენებელი აღმოაჩინეს № 71 აკლდამაში, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის მეთექვსმეტე საუკუნეში მცხოვრებ დიდებულს, სუროთმოძღვარ სენმუთს ეკუთვნოდა, არქეოლოგებს არაფერი უნახავთ და არც ჰატშეფსუტის ტაძრის პირველ ეზოში აშენებულ საიდუმლო აკლდამაში აღმოჩენილა შემოქმედის ნეშტი. მას „მეტროპოლიტენ მუზეუმის" თანამშრომლებმა მიაკვლიეს და გათხარეს აკლდამა თავისი ფორმით ჩამოჰგავს სამეფო აკლდამებს. შედგება დერეფნებისა და დარბაზებისაგან, რომელთა ჭერი, ისე, როგორც სამეფო აკლდამებისა, ასტრონომიული სიმბოლოებითაა მოხატული, ხოლო კედლები საღმრთო წარწერებითა და ხუროთმოძღვრის პორტრეტებითაა დამშვენებული.

ჰატშეფსუტის გარდაცვალების შემდეგ ფარაონმა თუთმოს მესამემ ნაწილობრივ დაანგრია სამულველი დედინაცვლის მიერ აღმართული ტაძარი. მან ბრძანა: ასობით ქანდაკება ტაძრიდან გამოეტანათ, დაემსხვრიათ და მაღაროში ჩაემარხათ.* დედოფლის სახელი, რომელმაც თავისი მეფობით შეურაცხყო ფარაონთა ტახტი, ყველგან წაშალეს. მისი გამოსახულებანი ამოჩეხეს, სანაცვლოდ დედოფლის მამის, თუთმოს პირველისა და მისი მეუღლის, თუთმოს მეორის სახელები და რელიეფური გამოსახულებანი გამოაქანდაკეს ისე, როგორც ბურბონების დაბრუნების შემდეგ, ნაპოლეონის ხსენებისათვის ენას ჭრიდნენ, თუთმოს მესამის მეფობას დროსაც ჰატშეფსუტის სახელს ვერავინ წარმოთქვამდა. მან განიზრახა, ხსოვნიდან წაეშალა დედოფლის სახელი, მაგრამ, ჩანს, ერთი პიროვნებას, როგორ ძლიერ გონებასა და ძალაუფლებასაც არ უნდა ფლობდეს იგი, არ ძალუძს მიწის პირიდან წაშალოს მეორე გენიალური პიროვნების სახელი. ისტორია მონარქების ნება-სურვილს არ ემორჩილება. დღეს ნაპოლეონი უფრო პოპულარულია, ვიდრე რომელიმე ბურბონი. ჰატშეფსუტი კი ძველი

---

* „მეტროპოლიტენ მუზეუმის" თანამშრომლებმა ქანდაკებების ნამსხვრევებით სავსე ორმოები აღმოაჩინეს.

მსოფლიოს ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო პიროვნებაა. იგი უხსოვარ დროში შეეცადა, მოპირდაპირე სქესს გაითანასწორებოდა, და ამით აღმოსავლეთში მონის დონემდე დაყვანილი ქალის ღირსებები აემაღლებინა. მან შთამომავლებს დაუტოვა შესანიშნავი ნაგებობა, რომლის ხუროთმოძღვრებაში, ისე, როგორც პოეტესის ლექსში, ქალის სინაზე იგრძნობა.

სამხრობის ხანი იყო, როდესაც გემმა აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ აიღო გეზი. შესანიშნავი ამინდი იდგა. დეკემბერ-იანვარი წლის საუკეთესო თვეებია ეგვიპტეში. ზომიერად თბილა. წყალი ნილოსში დაბალ დონეს აღწევს და ლურჯად კამკამებს. უზარმაზარ ცისფერ ზოლს მზე ალაგ-ალაგ ოქროსფრად ავარაყებს, მდინარე თავის სიღრმეში ხატავს უღრუბლო ფირუზისფერ ზეცას და სანაპიროს გასწვრივ ალანძულ პალმის ხეების სილუეტებს. გემის სავსმოდებულ კიჩოს ტალღები ოდნავ გასაგონი ხმით ეტლაშუნებენ. იგი ნილოსის წყალში ჩაყანგული და ჩაბერებული აღმოსავლელი მოხუცის ფლეგმატური სიდინჯით იმოკლებს გზას სანაპიროსაკენ. ლურჯი ცის ფონზე თანდათან იხატება რუხი პილონების დაგრძელებული სილუეტები. ეს კარნაკისა და ლუქსორის ტაძრის ფასადებია. ძველ სამყაროში, პირამიდების შემდეგ, არსად აღმართულა ისეთი გრანდიოზული ნაგებობანი, როგორიც თებეს აღმოსავლეთ სანაპიროზე აგებული ღვთაება ამონ-რას ტაძრებია. ამონ-რას ტაძარი, რომელიც ახლა კარნაკის ტაძრად იწოდება მის მახლობლად გაშენებული პატარა არაბული სოფლის სახელის მიხედვით, ძველად ეგვიპტის საიმპერიო დედაქალაქის, თებეს ნაწილი იყო და იპეტ-სუდ იწოდებოდა.

აქ, ჯერ კიდევ ჰიქსოსების შემოსევამდე, ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის დასაწყისში აშენებდნენ საკულტო ნაგებობებს. თებეს ოლქის ემბლემა, რომლის ღვთაება ამონი იყო, ძველი წელთაღრიცხვის ოცდამეშვიდე საუკუნეში მცხოვრები ფარაონის, მენკაურას პირამიდაში ნაპოვნი ქანდაკების შუბლზეა გამოხატული. იმ დროისათვის თებე ეგვიპტის ერთ-ერთი ძლიერი ნომი იყო. მეორე ათასწლეულის დასაწყისში მისი ნომარქოსები ისე გაძლიერდნენ, რომ თავს მთელი ზემო ეგვიპტის ბატონ-პატრონად თვლიდნენ. ჰიქსოსებმა რომ ეგვიპტე დაიპყრეს, აქაურმა ნომარქებმა თავისუფლება შეინარჩუნეს. ისინი დამპყრობლებს გა-

მეუდმებით უთვალთვალებდნენ და შემდეგ ფარაონ იახმესის მეთაურობით კიდევაც დაამხეს ჰიქსოსების ბატონობა. სწორედ ის იახმოსი გახდა ახალი სამეფოს დინასტიის ფუძემდებელი. მან თებე ეგვიპტის დედაქალაქად გამოაცხადა და კარნაკში უდიდესი სამშენებლო სამუშაოები წამოიწყო. წერილობითი წყაროები მოგვითხრობენ, რომ ფარაონმა აღადგინა დანგრეული ტაძარი, შესწირა მას აურაცხელი საგანძური, ოქროსა და ვერცხლის საკურთხევლებმა გააბრწყინა ტაძრის დარბაზები და ძვირფასი კედარისაგან გამოქანდაკებული ღვთაება ამონ-რას მკერდსა და შუბლზე ისევ აელვარდა პატიოსანი ქვებით მოოჭვილი გულსაკიდები და დიადემები. ეს მოხდა ძველი წელთაღრიცხვის მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულს და იმ ხნიდან მოყოლებული ათას ხუთასი წლის მანძილზე ეგვიპტის ყველა მონარქი თავს მოვალედ თვლიდა, ძველი მსოფლიოს საიმპერიო ქალაქის საკულტო ცენტრში ღვთაება ამონ-რას სახელზე დიდი ნაგებობა აღემართა და სამუდამოდ უკვდავეყო თავისი სახელი.

პირამიდების სიმაგრე უნდა ჰქონოდა ნაგებობას, ორმოციოდე საუკუნისათვის რომ გაეძლო. ისიც უნდა ითქვას, რომ პირამიდა, ფაქტიურად, ერთმანეთზე დადგმული და ერთმანეთზე მისადაგებული ქვების მთაა, რომლის შიგნით შედარებით მცირე სივრცეა დატოვებული. ტაძარი კი დანაწევრებული, ერთმანეთთან მისადაგებული და ერთმანეთისაგან დაშორებული კონსტრუქციების რთული კომპლექსია; ორმოცი საუკუნე ძალიან დიდი დროა ასეთი ნაგებობისათვის. უმტკიცესი რკინა-ბეტონით ნაშენი სახლებიც კი ასორმოცდაათ-ორას წელიწადზეა გაანგარიშებული. ძველი სამყაროს სამშენებლო ტექნიკის ამ უნიკალურ ძეგლს ხანგრძლივი დრო-ჟამის ბოროტებისა და ნგრევის დაღი აზის. დღეისათვის კარნაკის ტაძარი დანგრეული გრანდიოზული ნაგებობაა. შორიდანვე მოჩანს ცაში შეტყორცნილი ობელისკები, ქანდაკებები. რელიეფებით შემკული უზარმაზარი კედლები და მიწაზე დახვავებული ვეება ლოდები, კაპიტელები და უნატიფესი ჩუქურთმებით შემკული გრანდიოზული სვეტები. ვიდრე ტაძრის პილონამდე მიაღწევდე, სფინქსებს შორის მიმავალ გზაზე უნდა გაიარო. ქვის პოსტამენტებზე წვანან ლომისტანიანი ცხვრები. მათ წინ კი, მკერდის არეში, დგას ნატურალური ზომის ადამიანის ქანდაკება. ეს

სკულპტურული კომპოზიციები ყველა ერთნაირია, არც ერთი მათგანი არ მოითხოვს ცალკე შეთვალიერებას, მათი ერთნაირი გამოხედვა ადამიანს აიძულებს, შეუჩერებლივ იაროს წინ, ამონის საუფლოსაკენ. აქ მოსულ ადამიანებს დღესაც კი მოკრძალებული შიში ეუფლებათ. როგორიღა იქნებოდა ამონის ტაძარში მოსული ღვთისმოსავის სულიერი მდგომარეობა მაშინ, ათასწლეულების წინათ. ადამიანის ხელით შექმნილი ეს კოლოსები ჭეშმარიტად გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს. ტაძრის კარიბჭესთან დგანან ოცმეტრიანი ქანდაკებები, ხოლო მათ მიღმა დარბაზებია. ერთ-ერთი, ეგრეთ წოდებული, პიპოსტილური დარბაზის ფართობი ხუთიათას კვადრატულ მეტრს აღემატება. მისი ჭერი დაფუძნებულია სვეტებზე, რომელთა სიმაღლე ოც მეტრს აღწევს. ამ სვეტის გრანდიოზულობა რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისია, ითქვას, რომ მის პაპირუსის ყვავილის ფორმის კაპიტელზე ფეხზე მდგარი ასი კაცი მოთავსდება. ოცდაოთხი ათას სამასი კვადრატული მეტრი ფართობი უკავია ტაძრის კედლებსა და სვეტებზე ამოკვეთილ, ბრწყინვალედ შესრულებულ რელიეფებს, რომლებიც მოგვითხრობენ სეტი პირველისა და რამსეს მეორის ანალებს. მკვლევარებმა გამოიანგარიშეს, რომ მარტო ოთხიათას კვადრატულ მეტრ ფართობზე სანადიმო სცენებია გამოსახული. სამეფო სუფრაზე მსახურები მაღალფეხიან ჭიქებში ულამაზესი ალებასტრის ჭურჭლებიდან ასხამენ ღვინოს. პაერში შესროლილი შხეფები იმაზე მიუთითებენ, რომ ეს უძვირფასესი, შამპანური ჯიშის ღვინოა, რომელსაც ეგვიპტის სოფლებშიც აყენებდნენ და ფინიკიელ ვაჭრებსაც შემოჰქონდათ როგორც თავიანთი, ისე დასავლეთისა და აღმოსავლეთის შორეული ქვეყნებიდან.

კარნაკს სრულიად სამართლიანად უწოდებენ ქვის მატიანეს. იგი ეგვიპტის ისტორიის თავისებური არქივია, რომლის კედლებზე, პილონებზე და სვეტებზე შემოინახა ღმერთებისა და ფარაონებისადმი მიძღვნილი ჰიმნები, ცნობები ისტორიის მნიშვნელოვან ამბებზე, ანალები ფარაონთა ძლევამოსილ ლაშქრობებზე, მოთხრობები და პოემები რამსეს მეორის მიერ ხეთებთან ომებზე და სხვა.

№ 11 დარბაზს მკვლევარებმა „წინაპართა დარბაზი" შეარქვეს ამის გამო, რომ აქ სამოცდაერთ კარტუშში ფარაონების სახელებია

ჩასმული. თავის დიდებულ წინაპრებს მსხვერპლს წირავს თუთმოს მესამე. № 10 დარბაზს „ბოტანიკური ბაღი" ჰქვია. აქ ნილოსის ქვეყნის ფაუნა და ფლორაა წარმოდგენილი. მაყურებელს ხიბლავს ძვ. წელთაღრიცხვის მეთხუთმეტე საუკუნეში შესრულებული ბრწყინვალე პეიზაჟები. ერთ-ერთ დარბაზს „ანალების" დარბაზი ეწოდება იმის გამო, რომ აქ სიუჟეტები აზიაში თუთმოს მესამის ლაშქრობებზე მოგვითხრობს. საუკუნეების განმავლობაში მრავალი გენიოსი მხატვარი და ხუროთმოძღვარი იღვწოდა კარნაკის ტაძრის გასამშვენიერებლად. ბევრი გრანდიოზული საკულტო ნაგებობა აღმართეს აქ ხუროთმოძღვრებმა, მხატვრები ხატავდნენ მათ კედლებს, დარბაზებს ქანდაკებებით ამშვენებდნენ. შეწირული ქანდაკებების რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ „ამონის სახლის" ერთ-ერთი სამალავიდან არქეოლოგებმა ქვის 779 და ბრინჯაოს 17 ათასი ქანდაკება ამოიღეს. კარნაკის ტაძარი ძველი ეგვიპტური ხელოვნების ნამდვილი საგანძურია.

პირველი გრანდიოზული ტაძრის მშენებლობა დაკავშირებულია ინენის სახელთან. ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიის ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს, რომ ინენის სახით ეგვიპტის ხუროთმოძღვრებას ჰყავდა გენიალური შემოქმედი. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მან საფუძველი ჩაუყარა „მეფეთა ველის" მიწისქვეშა ხუროთმოძღვრებას, მაგრამ მისი მთავარი დამსახურება მაინც ის არის, რომ მან პირველმა შეიმუშავა ახალი სამეფოს ტაძრის ცალკეული ფორმები და დასაბამი მისცა ხუროთმოძღვრების ახალ სტილს. ამის შესახებ იგი თავის ავტობიოგრაფიაში წერს: „მე ვეძებდი იმას, რაც სასარგებლო იყო. ჩემი გონება ხარობდა ახლის ძიებით. მე შევასრულე სამუშაო, რომლის მსგავსი არ უწარმოებია ჩემს წინაპრებს. ის, რაც მე განგებამ მომანიჭა, გამეკეთებინა, იყო დიადი. მე ვეძებდი შთამომავლობისათვის. ეს იყო ოცნება ჩემი გულისა. ჩემი თვისება იყო ცოდნა, რისთვისაც განდიდებული ვიქნები მომავალ საუკუნეებში ჩემი მიმდევრებისაგან". ასე წერდა სამიათას ექვსასი წლის წინათ მოღვაწე ხუროთმოძღვარი. იგი დარწმუნებული იყო თავის თავში და არც შემცდარა — შთამომავლობამ სამუდამოდ დაიმახსოვრა მისი სახელი.

თუთმოს პირველის გარდაცვალების შემდეგ, ძვ. წ. აღრიცხვის XVI საუკუნის ბოლო ხანებში, კარნაკის ხუროთმოძღვრები იყვნენ

საპუსენები, პუმირა და ისუტა. საპუსენება, ქურუმთა ბრწყინვალე გვარის წარმომადგენელი, როგორც ჩანს, საკმაოდ ნიჭიერი ხუროთმოძღვარი იყო. ფარაონი ქალის ბრძანებით, მან კარნაკში ააშენა ტაძარი, რომელსაც ასე ეწოდებოდა: „ჰატშეფსუტი ღვთიურია ძეგლებში". ეს ტაძარი ამჟამად აღარ არსებობს, რადგან კარნაკში უდიდესი სამშენებლო სამუშაოები წამოიწყო და გაასრულა კიდევაც ფარაონმა თუთმოს მესამემ და მან აქაც, ისე, როგორც დეირ-ელ-ბაჰარში, ნაწილობრივ დაანგრია საძულველი დედინაცვლის მიერ აშენებული ტაძრები. ხელოვნების ისტორიკოსები თვლიან, რომ თუთმოს მესამის მიერ აშენებული ზოგიერთი ნაგებობა, რომლებიც ადრე აგებული ბრწყინვალე ტაძრების ადგილზე აშენდა, საკმაოდ უნიჭოდ იყო შესრულებული და არავითარი როლი არ უთამაშია ეგვიპტის ხუროთმოძღვრების ისტორიაში. თუთმოს მესამის მიერ კარნაკში აგებული ტაძრებიდან ყველაზე სრულყოფილი ხებ-სედის ტაძარია, სადაც იმართებოდა იუბილეები და კორონაცია. ამ თავისებური ტაძრის ერთ-ერთ დარბაზს ოცდათორმეტი ოთხკუთხა ფორმის სვეტი ამშვენებს. აქვეა ოცი სრულიად განსხვავებული სვეტი. ისინი ფარაონის კარვის საყრდენი ხის კეტების იმიტაციას წარმოადგენენ. ქვაში გამოკვეთილმა ამ სვეტებმა დაკარგეს ხის სინატიფე, ვერც სასურველი ფორმა მიიღეს და ათას ხუთასი წლის მანძილზე ეგვიპტელ ხუროთმოძღვრებს გარკვეულ სამსახურს უწევდნენ, როგორც უნიჭობის მაგალითი. თუთმოს მესამის დროს კარნაკში ტაძრების მშენებლობისა და გადაკეთების იდეას მის მთავარ არქიტექტორს მიაწერენ. მან ისე, როგორც ყოველ უნიჭო შემოქმედს სჩვევია, თავი მლიქვნელობით უფრო ისახელა და ფარაონის საამებლად მენხეპერასენები დაირქვა, რაც ნიშნავს — „ცოცხლობდეს თუთმოს მესამე". ავტობიოგრაფიაში იგი ბევრით ვერაფრით ამაყობს და მხოლოდ იმით კმაყოფილდება, რომ წერს, სამუშაოებს ვხელმძღვანელობდი და იმას ვაკეთებდი, რაც მის უდიდებულესობას სურდა და მოსწონდაო.

არც თუთმოს მესამის მემკვიდრეებს — ამენხოტეპ მეორესა და თუთმოს მეოთხეს გაუკეთებიათ რაიმე მნიშვნელოვანი კარნაკში. სამაგიეროდ, მომდევნო ფარაონმა — ამენხოტეპ მესამემ კარნაკში უდიდესი სამუშაო ჩაატარა. მან აქ გრანდიოზული დარბაზი ააგო

დერეფნით, რომელსაც ოცმეტრიანი სვეტების ორი მწკრივი ამშვენებს. სვეტების კაპიტელები პაპირუსის გაშლილ ყვავილებს გამოსახავენ. მანვე ააშენა ტაძრები ღვთაების მონტუსა და მუტის სახელზე, ბრწყინვალედ გაფორმებული ეზოები და სვეტებიანი დარბაზები. ეს ტაძრები ახლა ნანგრევებადაა ქცეული. წარწერებიდან კი ვგებულობთ, რომ მათ ინტერიერებს ერთ დროს გრანიტისა და დიორიტისაგან გამოკვეთილი ექვსასამდე ქანდაკება ამშვენებდა.

„დიდმა ფარაონმა" ამენხოტეპ მესამემ კარნაკსა და ლუქსორს შორის გზა გაიყვანა, გზის ორივე მხარეს გრანდიოზული სფინქსები აღმართა და საიმპერიო ქალაქის ორი უდიდესი საკულტო ცენტრი ერთ არქიტექტურულ გიგანტად აქცია.

ლუქსორის ტაძარი, რომელიც აშენებულია ღვთაება ამონრას, მუტისა და ნონსუს სახელზე, დღეს ქალაქ ლუქსორის სახელს ატარებს; ძველად კი ისე, როგორც კარნაკი, იგი ეგვიპტის დედაქალაქ თებეს ერთ-ერთი უბანი იყო და იპეტ-რესად იწოდებოდა. ლუქსორის ტაძარი სადღეისოდ ყველაზე კარგადაა შემონახული. იგი კლასიკური ძეგლია. ამ ტაძრის გრანდიოზულობა რომ წარმოვიდგინოთ, საკმარისია, ითქვას, რომ მისი სიგრძე 190 მეტრია. მაგრამ, რაც მთავარია, იგი გრანდიოზულია შთანაფიქრით, გეგმის მთლიანობით, დიდებული და ლამაზი კოლონადით, სრულყოფილი რელიეფებითა და ქანდაკებებით. ლუქსორის ტაძარში, რომელიც აშენებულია ძველი წელთაღრიცხვის მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, თითქმის დასრულდა იმ შემოქმედთა არქიტექტურული ძიებანი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს და შექმნეს საკულტო ნაგებობის კლასიკური ტიპი. კლასიკური ტაძრის ზუსტი აღწერილობა მოცემული აქვს დიდ ბერძენ გეოგრაფს სტრაბონს და ეს აღწერილობა მით უფრო ძვირფასია, რომ სადღეისოდ ყველაზე კარგად შემონახულ ლუქსორის ტაძარსაც კი ბევრი რამ აკლია.

ტაძარი უმთავრესად ნილოსის სანაპიროზე იყო აგებული. ნავსაყუდელის მხრიდან ტაძრისაკენ მიემართებოდა სფინქსებით დამშვენებული გზა, რომელიც ტაძრის ფასადთან მთავრდებოდა. ტაძრის პილონებზე აღმართულ ანძებზე სახელმწიფო დროშები ფრიალებდა, პილონების წინ იდგა ცაში ატყორცნილი გრანიტის

ობელისკები და ფარაონთა გრანდიოზული ქანდაკებანი. პილონებს უკან მდებარე უზარმაზარ ეზოს სამი მხრიდან სვეტების სამი რიგი აკრობდა. ეზოს მიღმა მდებარეობდა დიდი მრავალსვეტებიანი ჰიპოსტილური დარბაზი. მის შუა რიგზე, რომელიც მთავარ ნავს წარმოადგენდა, აღმართული იყო ულამაზესი კაპიტელებით შემკული ვეება სვეტები. მთავარი ჰიპოსტილური დარბაზის მიღმა მდებარეობდა მეორე ჰიპოსტილური დარბაზი რელიგიური რიტუალებისათვის. ტაძარი მთავრდებოდა სამლოცველოებით და ყოველი მათგანის წინ ღვთაებათა ქანდაკებებით დამშვენებული პატარა ეზოები იყო.

ეგვიპტური რელიგიის მიხედვით ღვთაებათა სამებას ჰქონდა სამი სამლოცველო: ერთი — მთავარი — ამონ-რას, ორი — მის მარცხნივ და მარჯვნივ — ღვთაება მუტსა და ღვთაება ხონსუს. ამ მთავარი სატაძრო კომპლექსის უკან, ცენტრალურ ღერძზე, მოთავსებული იყო სხვადასხვა დანიშნულების სათავსოები, საგანძურის საწყობი (სადაც ინახებოდა ტაძრის აურაცხელი სიმდიდრე), ბიბლიოთეკა, არქივი და ა. შ. მთელი ამ ნაგებობის უკან კი, ვეებერთელა პარკში, ცისფრად ლივლივებდა წმინდა ტბა.

ამ საკულტო ნაგებობის კლასიკური კანონის შემქმნელად ითვლება ამენხოტეპი, შვილი ხაპუსი, რომელიც ფარაონ ამენხოტეპ მესამის მთავარი ხუროთმოძღვარი იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლუქსორის ტაძრის ამშენებლად მიიჩნევენ მეორე ხუროთმოძღვარსაც, რომელსაც აგრეთვე ამენხოტეპი ერქვა, მაგრამ არ იყო შვილი ხაპუსი. რაც შეეხება ხუროთმოძღვარ ამენხოტეპს — ხაპუს შვილს, როგორც ეს წარწერებიდანაა ცნობილი, იგი ძველი ეგვიპტის ერთ-ერთი გენიალური შემოქმედი იყო. მის ხსოვნას ინახავს კარნაკში აღმოჩენილი მისი რამდენიმე ქანდაკება. ერთი მათგანი, სადაც მოხუცი დიდოსტატია წარმოდგენილი, ეგვიპტური პორტრეტული ხელოვნების შედევრადაა მიჩნეული. ხუროთმოძღვარი შეურყეველი პოზით ზის ქვის პოსტამენტზე. ამ კაცის გამოხედვაში საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი გენიოსის თავდაჯერებულობა იგრძნობა. მისი სახელი ლეგენდად გადადიოდა საუკუნეებიდან საუკუნეებში. როდესაც ბერძნები ეგვიპტეს გაეცნენ, ამენხოტეპი — შვილი ხაპუსი, ისე როგორც იმხოტეპი, გააღმერთეს, სახელი შეუცვალეს და ახლა უკვე ამენოფისის

პაპის შვილის სახელზე ტაძრებში სამლოცველოებს აგებდნენ.

ამენხოტეპ მესამის დროს სამეფო კარის ხუროთმოძღვრები იყვნენ აგრეთვე ამენხოტეპი, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ლუქსორის ტაძრის აშენებლადაა მიჩნეული, და ტყუპი ძმები გორა და სუთი.

აქამდე მე მხოლოდ აკლდამებისა და ტაძრების მშენებლობას შევეხე, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ეგვიპტელები თავიანთ სიცოცხლეს მხოლოდ საიქიო ცხოვრების მოწყობას ალევდნენ.

არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ საშუალო არისტოკრატი ეგვიპტელის სახლი სამოცდაათიოდე ოთახისაგან შედგებოდა. ვენახებსა და ხეხილის ბაღებში ჩადგმულ შესანიშნავ არქიტექტურულ ნაგებობას ორიათას ხუთასი კვადრატული მეტრი ფართობი ეკავა. ოთახებს ამშვენებდა შავი და წითელი ხის ნატიფი ავეჯი. საცხოვრებელი ოთახები, ჩვეულებრივ, მეორე სართულზე იყო განლაგებული. ისინი დაკავშირებული იყო სასტუმრო და სასადილო დარბაზებთან, რომელთა კედლების ქვედა ნაწილი თეთრად, ხოლო ზედა — მკვეთრი ფერებით იყო შეღებილი. შავი ხის სვეტების მწვანე კაპიტელები ცისფრად შეღებილ ჭერს ებჯინებოდა. წითელი და შავი ხის მასიურ მოჩუქურთმებულ კართა მიღმა აბაზანისა და საპირფარეშოს კედლები და იატაკი თეთრი მარმარილოს ფილებით იყო მოპირკეთებული. სადარბაზო ოთახის მიმდებარე დერეფნიდან სახლის სახურავზე კიბე ადიოდა. ბრტყელ სახურავზე დაკიდებული ბაღები ჰყვაოდა. აქ ფერად-ფერად ყვავილებსა და დეკორატიულ ხეებს შორის, ცისფერი ფილებით მოპირკეთებულ აუზში წყალი ლივლივებდა. ჩალის სავარძელში ჩამსხდარი ეგვიპტელი დიდებულები სამხრეთულ ღამეში ნილოსიდან მონაბერი ნიავით იგრილებდნენ მკერდს. აქვე იმართებოდა სანახაობები და სანადიმო სუფრები, რომელსაც, როგორც იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა. რამდენიმე პაპირუსი არსებობს, რომლებზედაც ჩამოთვლილია სამეფო და საშუალო ეგვიპტელის მენიუ. ეს უკანასკნელი შედგებოდა თექვსმეტი დასახელების პურფუნთუშეულისაგან, ათი სხვადასხვა ხარისხის ხორცისაგან, თერთმეტი სხვადასხვა ჯიშის ხილისაგან, ოთხნაირი ლუდისაგან და ექვსი

ჯაშის ყურძნის ღვინისაგან, რომელსაც, როგორც სტრაბონი წერს, ამდენად კეთილშობილი თვისებები ჰქონდა, რომ მოხუცებული ადამიანის გამოცოცხლებაც კი შეეძლო. ამავე ხელნაწერებში ჩამოთვლილია სხვადასხვა ნანადირევი და სხვადასხვა სანელებლებით შეკაზმული ათასნაირი კერძი.

ამ ფუფუნებითა და სიმდიდრით სავსე სახლების დასავლეთით, ერთიოდ კილომეტრზე, არქეოლოგებმა გათხარეს და შეისწავლეს ეგვიპტის უღარიბესი ფენის კვარტალები, იმ ადამიანთა საცხოვრებლები, რომელთა ხელმაც აღმართა ეგვიპტის მარადიული ძეგლები. ათასეული წლების მანძილზე მუშაობდნენ ისინი შავი მიწის მიღმა, მზით გადაყვითლებული ლიბიის ზეგანზე, საიდანაც მათ კირქვის, გრანიტისა და მარმარილოს მთები დაძრეს და ნილოსის სანაპიროზე სასახლეებად, ტაძრებად და პირამიდებად აღმართეს. ეს მასალა ყველაზე უფრო გამძლე აღმოჩნდა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ძველი ხალხების მიერ შექმნილი ცივილიზაციებიდან ეგვიპტური ძეგლები ყველაზე უფრო გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს. საკაცობრიო კულტურის განვითარებაში მათ განსაკუთრებული და უდიდესი როლი შეასრულეს. თანამედროვე ცივილიზაციის ზოგიერთი მიღწევის საწინააღმდეგოდ, რომელიც ადამიანური ქედმაღლობის ტრაგიზმითაა დამუხტული და კაცობრიობას კატასტროფით ემუქრება, ეგვიპტური ცივილიზაცია ადამიანის მარადიულ არსებობას გულისხმობდა. ამ მხრივ იგი შესანიშნავი მაგალითია და ეგვიპტის საძველეთა სასაფლაოები კაცობრიობას სადღეისოდაც დიდ სამსახურს უწევს.

იანვარი დგებოდა, ასუანში რომ ჩავედი. რამდენიმე ხანს ალექსანდრიაშიც ვიყავი და აი თვითმფრინავი ისევ პირამიდების თავზეა. მშვიდობით, ეგვიპტე! ფარუკის ზღაპრულ სასახლეში, უსაზღვრო ლურჯ ზღვასა და თეთრ პალმების ტყეს შორის ოქროსფრად მოკიაფე ქვიშაზე ცოტა ხანს კიდევ გავეფიცხებოდი მზეს. დიდი ალექსანდრეს მიერ დაარსებულ ალექსანდრიის ქუჩებს კიდევ შევათვალიერებდი, რომაული თეატრის მარმარილოს სავარძელზე ჩამოვჯდებოდი და იმ ადგილებსაც მოვინახულებდი, სადაც არქიმედი და არგონავტიკის ავტორი, აპოლონ როდოსელი ისხდნენ. მაგრამ დიდხანს აქაც ვერ გავჩერდებოდი. როგორც სიმღერაშია, სული სამშობლოსაკენ მო-

ასწრაფვის. რეა საათაა პაერშა ვარ ჩამოკიდებული და მიწას ჩავყურებ. გადავუფრინე ერთ კონტინენტს, მეორეს, სადაც არის მესამეს მივაღწევ და ვუცდი, როდის გამოჩნდება თეთრი მწვერვალების იქით რუს მთაზე შემოდგმული ჯვრის მონასტერი. აი ისიც. ეს ძეგლი სიამაყით გავსებს, გაძლიერებს და გეფერება. მიწაზე რომ ხარ, შენთან არის და ცაშიც შენთან არის. თვითმფრინავში თანამგზავრი მეკითხება, რა პარალელი შეიძლება გაივლოს ჩვენსა და ეგვიპტის ძეგლებს შორის? — არავითარი, ის სუროთმოძღვრების სულ სხვა სამყაროა. ოღონდ მისი აღმშენებელიც ისევე გენიოსია, როგორც ხენმუთი. მის კედლებს შორის კი ისევ ისმის იმ უძველესი ხალხის სიტყვა, ვინც იგი აღაშენა.

ეგვიპტის წარსულს აგერ უკვე 200 წელიწადია იკვლევენ ცივილიზებული სამყაროს მეცნიერები. ამ კულტურის შემქმნელი ერი, დიდი ხანია, აღიგავა მიწის პირიდან. ნილოსის სანაპიროზე ალბათ, ახლაც ცხოვრობს ხალხი, ძველ ეგვიპტელთა შთამომავალი, მაგრამ როცა ენა დადუმებულია, ერიც აღარ არსებობს. ეს სიბრძნე კარგად იცოდნენ ეგვიპტის დამპყრობლებმა — ასურელებმა, სპარსელებმა, ბერძნებმა და რომაელებმა. ისინი ცდილობდნენ, ამ ბუმბერაზი, ახლად დაპყრობილი ხალხისათვის დაევიწყებინათ მშობლიური სიტყვა, რათა ადვილად და სამუდამოდ დაპატრონებოდნენ მათ მიწა-წყალს. უკვე პტოლემაიოსების კარზე ბევრი გადაგვარებული ეგვიპტელი ბერძნულ ენაზე მეტყველებდა და თავიც მოჰქონდა, რომ საკუთარი აღარ ახსოვდა. მწერლის გამოთქმა რომ ვისმაროთ, დაპყრობილ ერს, ვიდრე ენა არ დაუკარგავს, სულ მუდამ ხელში აქვს იმ ცისის გასაღები, რომელშიც იგი ზის. მაგრამ ეგვიპტელებმა დაკარგეს ეს გასაღები და მასთან ერთად საკუთარი თავიც.

დღეს მათ მიერ შექმნილი კულტურა მთელი მსოფლიოს კუთვნილებაა. ამიტომაც გავბედე, ორიოდე სიტყვა მეთქვა საკაცობრიო კულტურის ამ შესანიშნავ ძეგლებსა და მის მკვლევარებზე.

## შინაარსი


| | |
|---|---|
| დანგრეული ქალაქები . . | 5 |
| ესკულიოს უძველესი ნაგებობა | 13 |
| პირამიდები ლიბიის ზეგანზე | 24 |
| აკლდამები მეფეთა ველზე | 46 |
| ტაძრები ძველ თებეში . | 85 |

ს. ბ. № 327

რედაქტორი მარინე სოსაძე
მხატვარი ჯ. ყაველაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ღლონტი
ტექნიკური რედაქტორი ზ. ღონღუა
კონტროლიორ-კორექტორი ლ. კალანდარიშვილი
კორექტორი თ. ენდელაძე
გამომშვები ნ. კაკაშვილი

გადაეცა ასაწყობად 21/XII-77 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/III-78 წ.
ანაწყობის ზომა 6×9
ქაღალდის ზომა 60×84 1/16
ნაბეჭდი თაბახი 6,04+ჩასაკრავი 0,93
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,96
საბეჭდი ქაღალდი № 1
ტირაჟი 15.000
შეკვ. № 68, უე 00332
ფასი 45 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი,
მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», Тбилиси,
ул. Марджанишвили № 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. 7
Тбилисская книжная фабрика, Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7



